

საქართველოს კულტურული

მემკვიდრეობის ძეგლები



№ 16

2020



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია  
Georgian National Academy of Sciences

სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
Centre for Preservation and Studies of Antiquities

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

№ 16

Monuments of Georgian Cultural Heritage

№16

თბილისი  
Tbilisi  
2020

უაკ (UDC) 902/904 (479.22)  
გ295

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძღვ. გ. ნარიმანიშვილი) მიერ სოფ. ბეჭთაშენის და სოფ. დაშ-ბაშის (წალკის მუნიციპალიტეტი) 2019-2020 წლებში ჩატარებული გათხრების დოკუმენტური ანგარიშების კრებულს.

მთ. რედაქტორი  
გოდერძი ნარიმანიშვილი

**Editor-in-chief**  
**Goderdzi Narimanishvili**

**სარედაქციო საბჭო:**

ამირანაშვილი ჯუანშერი  
კვაჭაძე მარინა  
მელიქიშვილი ლია  
მინდიაშვილი გიორგი  
შანშაშვილი ნინო

**Editorial Board**

Amiranashvili Juansher  
Kvatchadze Marina  
Melikishvili Lia  
Mindiashvili Giorgi  
Shanshashvili Nino

ISBN 99928-0-794-6  
ISBN 99928-0-795-4

- © სიმკერვალი დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
Centre for Preservation and Studies of Antiquities  
© ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი  
Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

## სარჩევი

ნარიმანიშვილი გოდერძი ბეჭთაშენის ტერიტორიაზე დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტების გადარჩენითი არქეოლოგია -----	4
ნარიმანიშვილი გიორგი არაბული ანბანით შესრულებული წარწერები თრიალეთიდან -----	68
ნარიმანიშვილი გოდერძი დაშ-ბაშის ტერიტორიაზე დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტების გადარჩენითი არქეოლოგია -----	74
ლიანა ბითაძე დაშ-ბაშის კრანიოლოგიური მასალა -----	151
გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე, დიმიტრი ნარიმანიშვილი, გიორგი კარელიძე დაშ-ბაშის კანიონში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე არქეოლოგიური კვლევის I ეტაპის ანგარიში -----	163
გოდერძი ნარიმანიშვილი, დიმიტრი ნარიმანიშვილი „დაშ-ბაშის კანიონის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (IV უბანი) არქეოლოგიური კვლევის I ეტაპის ანგარიში -----	235
გოდერძი ნარიმანიშვილი, დიმიტრი ნარიმანიშვილი შპს „კაას ლენდის“ კუთვნილ ტერიტორიაზე (დაშ-ბაშის კანიონი) არქეოლოგიური მონიტორინგის ანგარიში -----	247
გოდერძი ნარიმანიშვილი, დიმიტრი ნარიმანიშვილი, გიორგი კარელიძე დაშ-ბაშის კანიონში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (II უბანი) არქეოლოგიური კვლევის II ეტაპის ანგარიში -----	254

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გოდერძი ნარიმანიშვილი

ბეჭთაშვილის ტერიტორიაზე დაზიანებული არქეოლოგიური

ობიექტების

გადარჩენითი არქეოლოგია

(ანგარიში)

## პროექტის წინა ისტორია

თრიალეთის სიძველენი ას წელზე მეტია იქცევენ არქეოლოგების ყურადღებას. პირველი არქეოლოგიური სამუშაოები XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო.

1876 წელს სოფ. ალექსანდერსკილფში, ამ სოფლის მკვიდრმა, შემდგომში საიმპერატორო მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრმა, დავით შულცმა არქეოლოგიური გათხრები აწარმოა სოფლის მიდამოებში და სოფ. გუნია-ყალასთან. მიმოიხილა ბარმაქისზის (დღევანდელი ქ. წალკა) მიდამოები, სადაც მისი აზრით საყურადღებო ძეგლებს მიაკვლია. მოპოვებული მასალები გადასცა ა. კომაროვს [შულ्य, 1907, გვ. 3].

1881 წელს სოფ. ავრანლოს სკოლის მასწავლებელმა ა. იოაკიმოვმა აღწერა წალკის არქეოლოგიური ძეგლები და ნაწილობრივ გამოაქვეყნა მოპოვებული ინფორმაცია [Иоакимов 1882, გვ. 7-9]. სოფ. წინწყაროსთან მან მიაკვლია სამაროვანს. აქვე აკრიფა ობსიდიანის იარაღები. მასალები გამოაქვეყნა ა. უვაროვმა [Уваров, 1887, გვ. XXXV, ტაბ. XXXIX].

1881 წელს V არქეოლოგიურ ყრილობაზე ა. უვაროვმა აჩვენა იოაკიმოვის მიერ მოპოვებული იარაღები და თიხის ჭურჭლები [Уваров 1887]. სოფ. ავრანლოსთან კი, იოაკიმოვმა ციკლოპური ნაგებობა დააფიქსირა, რომელთანაც კაჟის ისრისპირი და სხვა ნივთები აღმოუჩენია [Уваров, 1887]

XIX ს-ის 80-იან წლებში ა. უვაროვმა ყურადღება მიაქცია მდ. ხრამის ხეობაში არსებულ ბუნებრივ გამოქვაბულებს და თრიალეთში აღმოჩენილ ობსიდიანის მრავალრიცხოვან იარაღანატკეცებს [Уваров, 1887, გვ. XXXV, ტაბ. XXXIX].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1881 წელს თბილისში ჩატარებულ V არქეოლოგიურ ყრილობას, რომლის ყურადღების ცენტრში, მრავალ საკითხთან ერთად, ამ რაიონში არსებული ქვის ხანის ძეგლების და ე.წ. ციკლოპური ნამოსახლარების შესწავლის აუცილებლობის საკითხიც მოექცა. იმ საკითხთა სიაში, რომელთა შესახებაც ყრილობისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდება იქნებოდა სასურველი, რიგით მეთერთმეტე იყო საკითხი მეგალითური ძეგლების შესწავლის შესახებ კავკასიაში [Труды, 1887, გვ. VII].

1889 წელს ი. ჭავჭავაძემ აღნიშნა წალკაში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა [მუმლაძე, 2002. გვ. 98].

1896 წელს არქეოლოგიურ გათხრებს წალკაში აწარმოებდა ე. თაყაიშვილი. მან სოფ. კარიაკში, ხაჩკოვში, ბაიბურთში, სარვანსა და ბეჭთაშენში სხვადასხვა ეპოქის რამდენიმე სამარხი გათხარა [თაკაშვილი, 1896; ჩარკვიანი, 2002]. შემდგომში მან არაერთხელ მოაწყო ექსპედიცია წალკაში [თაკაშვილი, 1907, 1913].

1903 წელს სოფ. წინწყაროს მასწავლებელმა ს. კორხანიდიმ შეისყიდა არქეოლოგიური ნივთები და მოსკოვის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილებას წერილი და მასალა გაუგზავნა. იგი იტყობინებოდა, რომ ერთ-ერთი ტბის ნაპირას წარმართული ხანის სამაროვანი აღმოაჩინა, სოფ. წინწყაროსთან ყორღანი, სოფ. გუნია-ყალასთან კი – ციკლოპური ნაგებობის ნაშთები [გრენ, 1907, გვ. 44]. აღმოჩენის ადგილის შესასწავლად მივლინებული იქნა ა. გრენი. მან სოფ. ბეჭთაშენის, შეპიაკის, წინწყაროს და გუნია-ყალას მიდამოების მიმოხილვისას მიაკვლია ქვის ხანის სადგომებს, შეაგროვა ობსიდიანის იარაღები, ყურადღება მიაქცია გუნია-ყალას „ციკლოპურ“ გალავანს, მიუთითა აქვე არსებულ მეგალითურ ძეგლზე და სამარხებზე [გრენ, 1907].

1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „Археологические экскурсии, разыскания и заметки“ ე. თაყაიშვილმა ნარდევანის ციხე აღწერა, როგორც „настоящая циклопическая постройка“ [თაკაშვილი, 1913, გვ. 36, 37], სოფ. წინწყაროსთან კი აღნიშნული აქვს ყორღანი, რომელზეც ეკლესიის ნანგრევები იდგა [თაკაშვილი, 1913, გვ. 22].

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან თრიალეთის მეგალითური ძეგლების კვლევას იწყებს ლ. მელიქშეთ-ბეგი. 1924 წელს იგი ექსპედიციას აწყობს აღბულახსა (თეთრიწყარო) და წალკაში; 1929 წელს - ჯავახეთსა და წალკაში; 1932 წელს - ტაბაწყურის რაიონსა და წალკაში; 1935-36 წლებში აგრძელებს სამუშაოებს წალკის რაიონში. ამ უკანასკნელი ექსპედიციის დროს გათხარა სოფ. შეპიაკსა და სოფ. სანომერს შორის არსებული მენპირი-ვეშაპი [მელიქშეთ-ბეგი, 1938].

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩატარებულ სამუშაოებს, რომელიც ხრამპესის მშენებლობასთან იყო დაკავშირებული.

მშენებლობის ზონაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის მიზნით საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოსთან არსებულ კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებასთან შეიქმნა კომპლექსური ექსპედიცია, რომლის არქეოლოგიურ რაზმს ბორის კუფტინი ხელმძღვანელობდა.

წალკის წყალსაცავის მშენებლობასთან დაკავშირებით ბ. კუფტინმა წალკის რაიონში არაერთი პირველხარისხოვანი ძეგლი შეისწავლა. ამ მონაცემების საფუძველზე მის მიერ პირველად იქნა შემუშავებული კავკასიის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია და ქრონოლოგია, გამოვლენილ იქნა ახალი არქეოლოგიური კულტურები.

პირველ რიგში აღსანიშნავია ტომის ბელადთა თუ მეოთხა დასაკრძალავი გრანდიოზული ყორდანები, რომელთა დარბაზებში მანამდე უცნობი, მდიდრული და უნიკალური მასალა აღმოჩნდა. ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული ყორდანებიდან მომდინარე ოქროსა და ვერცხლის სამკაულებმა, შტანდარტებმა, ჭურჭლებმა, ვერცხლის და ბრინჯაოს იარაღმა, შავპრიალა და მოხატულმა კერამიკამ საფუძვლიანად დაიმკვიდრა ადგილი არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მსოფლიო კულტურის საგანძურში.

თრიალეთის (წალკის) არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. ბ. კუფტინი) საველე სამუშაოებს აწარმოებდა 1936-1940 და 1947-1948 წლებში.

არქეოლოგიურად შესწავლილი იქნა პალეოლითური ძეგლები (ქ. წალკის მიდამოებში); ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარები (ბეშთაშენი, ოზნი), სამარხები (დაშ-ბაში, ოზნი, ბარმაქსიზ (წალკა) - მანგლისის გზაზე) და ყორდანები (№№ IV, X, XI, XII, XIII, XIX, XXII, XXIV, XXV, XXVII, XL, XLVI); შუაბრინჯაოს ხანის ყორდანები (№№ I-III, V-IX, XIV-XVIII, XXIII, XXVIII-XXXI, საბიდახჩას №5, XXXII-XXXIX, XLI-XLV); გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლარები (ბეშთაშენი) და სამაროვნები (ბეშთაშენი, ბაიბურთი, სანთა, წინწყარო, დარაკოვი, თაქ-ქილისა, ოზნი, ავრანლო); ძვ.წ. V - ახ.წ. IV ს-ის სამაროვნები (ბეშთაშენი, კარიაკი, დაშ-ბაში, კუშჩი, ნერონ-დერესი). ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ძეგლების ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია [Куфтин, 1941; Куфтин, 1948; Жоржикашвили, Гогадзе, 1974; კუფტინი, 1949; მენაბდე, დავლიანიძე, 1968; ჯაფარიძე, 1969; გოგაძე, 1972; გაგოშიძე, 1982], ნაწილი კი საქართველოს ეროვნული მუზეუმის თრიალეთის ფონდშია დაცული.

1947 წელს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ გ. გობეჯიშვილის ხელმძღვანელობით გათხრები ჩაატარა სოფ. გუნია-ყალასთან და სოფ. ხადიკთან [გძელიშვილი, 1950; გძელიშვილი, 1954].

1957 წელს თრიალეთში მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ხელოვნების მუზეუმის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ო. ჯაფარიძე). 1958 წელს ექსპედიციამ იმუშავა ზემო წალკასა და ტაბაწყურის ტბის მიდამო-

ებში [ჯაფარიძე, 1960; ჯაფარიძე, 1962; ჯაფარიძე, 1964; ჯაფარიძე, 1969]. ზემო წალკაში, ტაბაწყურისაკენ მიმავალი გზის პირას, ადგილ საბიდ-ახჩაზე გაითხარა ხუთი ყორლანი [ჯაფარიძე, 1960].

1963-1974 წლებში წალკაში მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ხრამის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიცია (თავდაპირველად ნ. ბერძნიშვილის, შემდეგ მ. გაბუნიას ხელმძღვანელობით). ექსპედიციის ძირითად მიზანს ქვის ზანის ძეგლების კვლევა წარმოადგენდა [ბერძნიშვილი, 1963; გაბუნია, 1965; გაბუნია, 1972; გაბუნია, 1976; განუჩა, 1974].

1989 წლიდან დღემდე წალკის რაიონში სამუშაოებს აწარმოებს არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვ. გ. ნარიმანიშვილი). ექსპედიციის ძირითად მიზანს წარმოადგენს რაიონის ტერიტორიაზე არსებული „ციკლოპური“ ნამოსახლარების და სიმაგრეების აღნუსხვა, ფიქსაცია, ქრონოლოგიის და ტიპოლოგიის გარკვევა. პარალელურად მიმდინარეობს ახალმშენებლობების დროს გამოვლენილი ან ბუნებრივი პროცესების შედეგად დაზიანებული ძეგლების შესწავლა. 1996 წლიდან ინტენსიურად მიმდინარეობს წალკის წყალსაცავის ტერიტორიაზე გამოვლენილი ძეგლების კვლევა-ძიება.

მკვლევართა და მოგზაურთა განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის იქცევდა წალკის რაიონში მდებარე ე.წ. ციკლოპური ციხე-სიმაგრეები და ნამოსახლარები. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი არქეოლოგიური ძეგლების რიცხვს განეკუთვნებიან არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ ასეთი ძეგლების გავრცელების არეალშიც; განსხვავდებიან რა ხმელთაშუაზღვისპირეთის მეგალითური ნაგებობებისაგან, ცენტრალური ანატოლიის ამ ტიპის ძეგლებთან ერთად ერთ, თავისებურ და ერთგვაროვან კულტურულ არეალს ქმნიან.

წალკა-თრიალეთის ექსპედიციამ გათხრები ჩაატარა საბეჭდავის (ელი-ბაბა), ბეშქენაშენის (ბეშთაშენი), ზემო ბეშქენაშენის (აი-ილია), კნოლეს, თეზის (ავრანლო) და უწყლოს (სანთა) „ციკლოპურ“ ნამოსახლარებზე და სიმაგრეებზე. დღეისათვის ცნობილი ამ ტიპის ძეგლების დიდი ნაწილი (ბარეთი, კარიაკი, საბეჭდავი, კნოლე, ბეშქენაშენი, ზემო ბეშქენაშენი, ლიპი, უწყლო, კოხაჯი, თეზი, ცრიცი, ხევლრმა, ლოშო) აიგეგმა და აიზომა არქიტექტურულად, ტო-

პოგრაფიულად, გამოყენებული იქნა აეროარქეოლოგიური მეთოდები [ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი, მინდიაშვილი და სხვ. 1998].

სოფ. ბეშთაშენთან მიკვლეულ იქნა ძველი ქვის ხანის და მეზოლითური ეპოქის ღია ნასაღვომევები.

სოფ. ავრანლოსთან დაფიქსირდა ადრებრინჯაოს ხანის მძლავრი ნამოსახლარი და გვიანი ბრინჯაოს ხანის გორანამოსახლარი.

სოფ. ბეშთაშენთან და სოფ. სანთასთან გაითხარა შუა ბრინჯაოს ხანის ყორლანები.

გვიანი ბრინჯაოს ხანის გორანამოსახლარი აღმოჩნდა სოფ. რეხასთან, მდ. ქციის მარჯვენა ნაპირზე.

გვიანბრინჯაოს ხანით დათარიღებული, ველზე გაშლილი ნამოსახლარები სოფ. კარიაკთან და სოფ. სანთასთან (წყალსაცავის ფსკერზე) მდებარეობენ.

გვიანბრინჯაო-რკინის ხანის სამაროვნები გაითხარა სოფ. ბეშთაშენთან, წყალსაცავის ფსკერზე, კოლეს და საბეჭდავის ნამოსახლარებთან.,

ძვ.წ. IV-I სს. მრავალფენიანი ნამოსახლარი და სამაროვანი სოფ. ბეშთაშენთან, „ციკლოპური“ ნამოსახლარის სამხრეთით, მდინარის მარჯვენა ნაპირზე იქნა შესწავლილი.

შუასაუკუნეების ხანის ნამოსახლარის ნაშთები გაითხარა სოფ. ბეშთაშენთან, გარყლუპის და სამეხრეოს ნასოფლარებზე.

ექსპედიციის განსაკუთრებული ყურადღების საგანია წალკის წყალსაცავის ტერიტორია. როგორც აღვნიშნეთ, ამ მიდამოებში XX ს-ის 30-40-იან წლებში ინტენსიური გათხრები მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, როგორც ირკვევა, მრავალი ძეგლი შეუსწავლელი დარჩა.

წალკის წყალსაცავი სეზონური რეგულირებისაა, წყლის მინიმალური დონე ნოემბერ-მარტშია, რაც დროდადრო არქეოლოგიური ძეგლების გამოჩენას იწვევდა და ექსპედიცია შეძლებისდაგვარად სწავლობდა მათ.

1998 წელს წყლის დონის მკვეთრად დაცემის შედეგად რამდენიმე კვადრატული კმ ფართობი გაშიშვლდა. გამოჩნდა არა მხოლოდ ბ. კუფტინის მიერ გათხრილი ყორლანები, არამედ სხვადასხვა ეპოქისა და ხასიათის ახალი ძეგლები.

ექსპედიციის მიერ ჩატარებული სამუშაოების ყოველწლიური ანგარიშები ინახება საქართველოს არქეოლოგიურ კომისიაში. ახალი აღმოჩენების შესახებ ინფორმაცია მოცემულია სხვადასხვა სტატიებსა და პუბლიკაციებში [შანშაშვილი, ნარიმანიშვილი 1996;

ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 1996; ნარიმანიშვილი, შანშაშვილი 1997; შანშაშვილი, ნარიმანიშვილი, 1998; ნარიმანიშვილი 2003ა; ნარიმანიშვილი 2004; ნარიმანიშვილი 2005; ნარიმანიშვილი, მახარაძე და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი, დავლიანიძე და სხვ. 2004; ნარიმანიშვილი, ამირანაშვილი და სხვ. 2005; **Нариманишвили, Амиранашвили 2004;** **Амиранашвили, Нариманишвили 2005;** Narimanishvili, Shanshashvili 1997; **Нариманишвили, Шаншашвили 2000;** Narimanischvili, Schanschaschvili 2001; **Narimanishvili, Shanshashvili 2001a].**

### **არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების შესახებ.**

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტები მდებარეობს სოფ. ბეჭთაშენის სამხრეთით, იქ სადაც თბილისი-წალკის ავტომაგისტრალი და ბაქო-ყარსის რკინიგზის ხაზი ერთმანეთს კვეთს. რკინიგზის ზიდის ჩრდილოეთით, დაახლ. 100 მეტრის დაცილებით დაფიქსირდა ყორღანების ჯგუფი და გვიანი შუა საუკუნეების სასაფლაო (ტაბ. I-XXVI).

ყორღანი და სამაროვანი განფენილია დამრეც ვაკეზე. სამაროვანზე დღეისათვის რამდენიმე სამარხი შეინიშნება. სამ მათგანზე ქვის სტელაა აღმართული.

1999 წელს ორივე ძეგლზე შედგა შესაბამისი „სააღრიცხვო ბარათი“, რომლის საფუძველზეც ისინი კულტურული მემკვიდრეობის სააგენტომ აღრიცხვაზე აიყვანა. ამ ძეგლების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნებულია (George Narimanishvili, Heritage of Arabic Language in South Caucasus: Arabic Inscriptions From Trialeti; გოდერძი ნარიმანიშვილი, ნ. შანშაშვილი, მ. კვაჭაძე, თრიალეთი, კულტურულ-ისტორიული მემკვიდრობა, თბ. 2018).

2020 წლის 14 აგვისტოს დაფიქსირდა ორივე ამ ობიექტის დაზიანების ფაქტი, რომლის შესახებ ეცნობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს. იმავე დღეს სააგენტოს თანამშრომლებმა ლევან ჭავჭავაძემ და ქეთევან დიღმელაშვილმა მოინახულეს დაზიანებული ძეგლები.

2020 წლის 18 აგვისტოს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიამ საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მომართა ამ ობიექტების არქეოლოგიური გათხრების ჩატარების თაობაზე.

წინამდებარე ანგარიში ეხება რკინიგზის ზიდთან, გაზის მიღების გაყვანის დროს დაზიანებული ბრინჯაოს ზანის ყორლანისა და გვიანი შუა საუკუნეების სამაროვანის არქეოლოგიურ შესწავლას.

**2020 წელს ბეჭთაშენის მიღამოებში გამოვლენილ არქეოლოგიური ობიექტებზე  
ჩასატარებელი იყო შემდეგი სამუშაოები:**

1. პუმუსის მოხსნა ყორლანზე  $15.0 \times 15.0$  მ ფართობზე სიღრმით 0.2 მ.
2. ყორლანის ქვაყრილის ( $15.0\text{მ} \times 15.0$  მ) პრეპარაცია და მიწის გატანა 10 მ-ის დაცილებით ურიკით.
3. ყორლანის სამარხის კამერის პრეპარაცია და მიწის გატანა 10 მ-ის დაცილებით ურიკით.
4. ყორლანის გათხრისას გამოვლენილი ობიექტების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია.
5. დაზიანებული სამარხების გამოვლენის მიზნით სამშენებლო თხრილის ორივე პროფილის გაწმენდა 50 მ სიგრძეზე.
6. დაზიანებული სამარხების პრეპარაცია და გათხრა.
7. სამაროვნის გათხრისას გამოვლენილი ობიექტების გრაფიკული და ფოტოფიქსაცია.
8. დოკუმენტური ანგარიშის შედგენა.

**სამუშაო ვადები:**

ექსპედიციამ ველზე იმუშავა 10 სამუშაო დღის მანძილზე (19-30 სექტემბერი),  
ლაბორატორიულ სამუშაოებს კი 2 დღე დაეთმო (1-2 ოქტომბერი).

**სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგებმა, ასისტენტებმა, ანთროპოლოგმა,  
არქიტექტორმა და 6 მუშამ.**

**სამუშაოთა მიმდინარეობა:**

ყორდანი №2 (ტაბ. II-XVII). რამდენადაც მიმდებარე ტერიტორიაზე 1992 წელს  
გაითხარა ერთი ყორდანის ნაშთი, 2020 წელს გათხრილი ყორდანი №2 ყორდანის  
სახელწოდებით მოვიხსენიებთ.

თავდაპირველად გაიწმინდა მშენებლობის დროს დაზიანებული მონაკვეთები. შემდეგ  
დაიწყო პუმუსის აღება  $15 \times 15$  მ ფართობზე. მიწის ფენის 0.3 მ სიღრმეზე მოხნის  
შემდეგ დაფიქსირდა ონტენსიური ქვაყრილი. რამდენადაც ქვაყრილი სცილდებოდა

თავდაპირველად მონიშნულ ფართობს, თხრილი გაფართოვდა და მისმა ზომამ 20 X 18 მ-ს მიაღწია.

თხრილში გამოიკვეთა წრიული ქვაყრილი, რომლის დიამეტრი 18 მეტრია. პრეპარაციის შედეგად გაირკვა, რომ ყრილი ძირითადად კრომლეხს ეკუთვნის, რომლის სიგანე 4 მეტრია. კრომლეხი დიდი და საშუალო ზომის ბაზალტის ქვებითაა შედგენილი. გარე პერიმეტრი კი წვრილი ქვითაა გამაგრებული.

სამუშაოებმა აჩვენა, რომ ყორლანის ყრილი თავდაპირველად მაღალი ძაბვის ბოძებისათვის ამოღებული ორმოებითაა დაზიანებული, შემდეგი დაზიანება რკინიგზის საზის გაყვანის დროს მომხდარა, როდესაც ყორლანის ყრილის ერთი მეოთხედი ჩამოუჭრიათ. ყორლანი ნაწილობრივ ხვნის დროსაც დაზიანებულა. ამაზე მიუთითებს ქვაყრილში ჩარჩენილი გუთნის პირის ნატეხები.

კრომლეხის ცენტრი ბაზალტის საშუალო ზომის ქვების არაინტენსიური ყრილითაა შევსებული. ყრილის, რომლის სისქე 0.3 მ-ზე მეტია, აღების შემდეგ დარჩა 10 მ დიამეტრის სივრცე, სადაც დაფიქსირდა თიხის ორი ჭურჭლის ფრაგმენტი და ობსიდიანის ისრისპირი. კიდევ ერთი ჭურჭელი აღმოჩნდა კრომლეხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში.

კრომლეხის შიდაპირთან, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, დაფიქსირდა ბაზალტის ხელსაფქავი და სანაყი.

აღსანიშნავია, რომ კრომლეხის პრეპარაციის დროს, მის ყველა მონაკვეთზე ობსიდიანის ანატეტეცები დაფიქსირდა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ ყორლანი დაზიანდა სხვადასხვა დროს მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების დროს. ის წარმოადგენს უორმოო ყორლანს, რომელსაც ფართო კრომლეხი აქვს. როგორც ჩანს, დასკრძალავი მოედანი მიწის ზედაპირიდან 0.4-0.5 მ სიღრმეზე მოუწყვიათ, შემდეგ მიცვალებული ან მისი ფერფლი (მიცვალებულის ნაშთები გათხრების დროს არ დაფიქსირდა) მიწაზე დაუსვენებიათ, შემდეგ ჩაუწყვიათ ინვენტარი და მიწისა და ქვების ყრილით დაუფარავთ.

ყორლანის სიახლოვეს მდგარა 2.1 მ სიმაღლის მენტირი (ტაბ. II, IV, XVI, XIX), რომელიც ამჟამად გადაადგილებულია და ყორლანის ყრილის დასავლეთით, 5.0 მ

დაცილებით გდია. მენპირი დაზიანებულია, ერთი მხარე ჩამოტეხილი აქვს. მეორე მხარეს კი ზიგზაგისებური ორნამენტი დაუყვება.

ჩვენ, მენპირი ვერტიკალურად გაფაყენეთ. ის იმდენად მოვაცილეთ გაზის მილისათვის გაჭრილ თხრილს, რომ არქოლოგიური გათხრების შემდეგ განახლებული მიწის სამუშაოების დროს არ ძოხდეს მისი დაზიანება.

## **№2 ყორდანის გათხრების დროს აღმოჩნდა (ტაბ. XX-XXIII):**

1. ჯამის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № წ-20.1.2020), თიხის, მოწითალო კეცით, ზედაპირი დაფარულია მომწვანო ფერის ჭიქურით, რომელზეც შემორჩენილია ყავისფერი საზებით გამოყვანილი ორნამენტის ფრაგმენტი. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ზედაპირზე. 22.09.2020.
2. ქოთნის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.2.2020), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, წვრილი მინარევებით კეცში, ოდნავ პირგადაშლილია. ერთ ფრაგმენტიზე შეინიშნება ლარები. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის მთელ ფართობზე. 22.09.2020.
3. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.3.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, ზედაპირი ლეგა-მონაცრისფრო აქვს. ორ ფრაგმენტზე შემორჩენილია წვრილი ამოღარული საზებით შედგენილი ორნამენტის ფრაგმენტი. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის მთელ ფართობზე. 23.09.2020.
4. ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი (ინვ. № წ-20.4.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილი თეთრი მინარევებითა და ობსიდიანის ნატეხებით კეცში, უხეშად ნაძერწი. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილში, პირველ სექტორში. 23.09.2020.
5. ჭურჭლის პირის ფრაგმენტი (ინვ. № წ-20.5.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, ზედაპირი ლეგა-შავო აქვს. პირი ვერტიკალურია. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის მთელ ფართობზე. 23.09.2020.
6. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.6.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, ზედაპირი ლეგა-შავო აქვს. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის მთელ ფართობზე. 23.09.2020.

7. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.7.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, მსხვილი თეთრი მინარევებით კეცში, უხეშად ნაძერწი. აღმოჩნდა № 2 ყორლანის ქვაყრილში, მესამე სექტორში. 23.09.2020.
8. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № წ-20.8.2020), თიხის, მოყვითალოდ გამომწვარი. აღმოჩნდა № 2 ყორლანთან, ელექტრობოძის მახლობლად. 23.09.2020.
9. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.9.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. ზედაპირი შავადაა ოდნავ გაპრიალებული, შემკულია ამოღარული ხაზებით შედგენილი სამკუთხედებისა და ირიბი ნაჭდევების ორნამენტით. აღმოჩნდა № 2 ყორლანის ქვაყრილში. 24.09.2020.
10. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.10.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, უხეშად ნაძერწი. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს. აღმოჩნდა № 2 ყორლანის ქვაყრილში. 24.09.2020.
11. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.11.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, ზედაპირი შავი აქვს. პირგადაშლილია. აღმოჩნდა № 2 ყორლანის ქვაყრილში. 24.09.2020.
12. ჭურჭლის ყურის ფრაგმენტი (ინვ. № წ-20.12.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, ზედაპირი შავი აქვს. ყური მართკუთხა ფორმისაა. აღმოჩნდა № 2 ყორლანის C სექტორში. 28.09.2020.
13. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.13.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, ზედაპირი შავი აქვს. პირგადაშლილი და ბაკომომრგვალებულია. აღმოჩნდა № 2 ყორლანის C სექტორში. 28.09.2020.
14. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.14.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. წვრილი თეთრი მინარევებით კეცში. პირგადაშლილი და ბაკომომრგვალებულია. აღმოჩნდა № 2 ყორლანის C სექტორში. 28.09.2020.
15. ჭურჭლის პირის, გვერდის და ძირის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.15.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი. წვრილი თეთრი მინარევებით კეცში, უხეშად ნაძერწი. პირგადაშლილი და ბაკომომრგვალებულია. ძირი ბრტყელი აქვს. აღმოჩნდა № 2 ყორლანის D სექტორში. 28.09.2020.

16. საფხეკი (ინვ. № წ-20.16.2020), ობსიდიანის, მართვულთხა ფორმის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილში. 23.09.2020.
17. ისრისპირი (ინვ. № წ-20.17.2020), ობსიდიანის, ქუსლამოლარული. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილში. 23.09.2020.
18. საფხეკი (ინვ. № წ-20.18.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ცენტრალურ ნაწილში, ქვაყრილში. 23.09.2020.
19. სალესი (ინვ. № წ-20.19.2020), რიფის ქვის, ფრაგმენტული. მოგრძო ფორმის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
20. სანაყი (ინვ. № წ-20.20.2020), რიფის ქვის, ფრაგმენტული. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
21. სასრესი (ინვ. № წ-20.21.2020), ქვის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
22. საფხეკი (ინვ. № წ-20.22.2020), ანდეზიტის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
23. საკიდი (ინვ. № წ-20.23.2020), ქვის, ოვალური ფორმის, გახვრეტილი. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
24. საფხეკი (ინვ. № წ-20.24.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
25. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № წ-20.25.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში,. 23.09.2020.
26. ანატკეცები (ინვ. № წ-20.26.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის მთელ ტერიტორიაზე,. 23.09.2020.
27. ანატკეცები (ინვ. № წ-20.27.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილის ალაგებისას, ქვების ქვეშ. 25.09.2020.
28. ნატეხი (ინვ. № წ-20.26.2020), ობსიდიანის. დაფარულია კაჭრით. აღმოჩნდა № 2 ყორდანის B სექტორში, კრომლეხის გარე ზედაპირზე. 27.09.2020.
29. სასრესი (ინვ. № წ-20.29.2020), ქვის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილში, №2 ჭურჭელთან (ინვ. № წ-20.13.2020). 27.09.2020.

30. ანატკეცები (ინვ. № წ-20.30.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ქვაყრილში, №2 ჭურჭელთან (ინვ. № წ-20.13.2020). 27.09.2020.
31. ანატკეცები (ინვ. № წ-20.31.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის A სექტორში, კრომლეხის პრეპარაციის დროს. 27.09.2020.
32. ანატკეცები (ინვ. № წ-20.32.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის D სექტორში, კრომლეხის პრეპარაციის დროს. 27.09.2020.
33. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ-20.33.2020), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი. წვრილი მინარევებით კეცში, უხეშად ნაძერწი. ზედაპირი მონაცრისფრო აქვს. აღმოჩნდა № 2 ყორდანის D სექტორში, კრომლეხის შიდაპირთან. 28.09.2020.
34. სალესი (ინვ. № წ-20.34.2020), რიყის ქვის, ფრაგმენტული. აღმოჩნდა № 2 ყორდანის D სექტორში, კრომლეხის პრეპარაციის დროს. 27.09.2020.
35. ხელსაფქავი (ინვ. № წ-20.35.2020), ბაზალტის, მართკუთხა ფორმის. აღმოჩნდა № 2 ყორდანის ცენტრალურ ნაწილში, A სექტორის კუთხეში. 27.09.2020.

სამაროვანი მდებარეობს №2 ყორდანის აღმოსავლეთით 200 მეტრის დაცილებით. სამაროვნის სრული ფართობი 60 X 70 მეტრია. სამშენებლო სამუშაოების დროს ის დაზიანდა 30 მეტრის სიგრძეზე (ტაბ. I, XXV, XXVI).

ჩვენს მიზანს წარმიადგენდა გაზსადენისათვის გაჭრილი თხილის ორივე პროფილის გასუფლავება, დაზიანებული სამარხების რაოდენობის დადგენა და მშენებლობისას ამოყრილი მიცვალებულთა ძვლების შეგროვება.

ამ მიზნით თხრილის ორივე პროფილი ჩამოიწმინდა (ტაბ. XXXVII-X IV). გაირკვა, რომ დაზიანებულია 8 სამარხი, რომელთაგან №№ 5,6 სამარხები პრაქტიკულად სრულადაა დანგრეული. ამ სამარხებიდან მხოლოდ რამდენიმე ძვალია შემორჩენილი.

დადგინდა, რომ სამარხი ორმოები აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზეა დამხრობილი, მიცვალებულები წვანან გვერდზე, ოდნავ მოხრილ პოზაში. ძირითადად ოროსამარხებია (№№ 1,3,4), გვხვდება დაუმუშავებელი ქვებით ამოშენებული სამარხი კამერები (№№ 2,5?), სამრხების იატაკები სხვადასხვა დონეზეა, მინიმალური სიღრმე 1.3 მეტრია. უმეტესობა 1.5 მეტრზეა გამართული. ნაწილი სამახებისა (№№ 2,7,8) უფრო ღრმად ჩანს ჩაჭრილი. ამ სამარხებში დაკრძალულთა ჩონჩხებამდე ჩვენ არ ჩავსულვართ, რადგან გაზის მილი მათ თავზე, დაახლ 0,5-ით მაღლა გადის და აქ მიწის მოჭრა მშენებლების მიერ აღარ ივარაუდება. ყველა სამარხს მიწის პირზე ქვაყრილი ჰქონია. ზოგიერთზე კი ქვის სტელაც ყოფილა აღმართული (ტაბ. XXVI-XXVIII). № 8 სამარხის სტელაზე არაბული წარწერაა განთავსებული (ტაბ. XXVII,2, XXVIII,2, XXXIV, XXXV,1), რომელიც იუწყება, რომ აქ განისვენებს იბნ ნამაზ ალია სარბანის თემიდან, რომელიც 1850 წელს გარდაცვლილა. ამ სამარხის დასაკრძალავი კამერა სამშენებლო სამუშაოების დროს არ დაზიანებულა. მოირღვა მხოლოდ ქვაყრილის ნაწილი.

ჩვენს მიერ სრულად აღიწერა სამაროვანი, აქ არსებული საფლავები (ტაბ XXXVI) და სტელები.

აღსანიშნავია, რომ არცერთ მიცვალებულს არტეფაქტები ჩატანებული არ ჰქონიათ. გაზის მილისათვის გაჭრილ თხრილში გამოვლენილი სამარხები დაკონსერვდა. მათ თავზე დაიყრა 30 სმ სისქის გაცრილი მიწა და დაიტკეპნა (ტაბ. XLV-XLVI), რომლის ზედაპირი თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.3 მ-ის სიღრმეზეა.

ამდენად, წარწერების მიხედვით<sup>1</sup> შეიძლება ითქვას, რომ სამაროვანი ეპუთვნის სარგანის ტომის ერთ-ერთ მომთაბარე თემს, რომლსაც დღევანდელი სოფ. ბეჭთაშენის მიდამოებში საიალალო მეურნეობა პქონდა მოწყობილი.

## დასკვნა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სამშენებლო სამუშაოების განახლება რკინიგზის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია.

## რეკომენდაცია.

ყორდანის ტერიტორიაზე გაზის მილი ჩაიდოს ადრე გაჭრილ თხრილში, რათა მაქსიმალურად იქნას შენარჩუნებული ყორდანის ქვაყრილი.

სამშენებლო სამუშაოები არ წარიმართოს მენჭირის სიახლოეს, რათა არ მოხდეს მისი დაზიანება.

სამაროვანზე ადრე გაჭრილი თხრილი არ იქნას დაღრმავებული 1.3 მ სიღრმეზე მეტად.

სამაროვნის ტერიტორიაზე მილის ჩადების დროს სასურველია არქეოლოგის მეთვალყურეობა.

<sup>1</sup> წარწერების შესახებ ინფორმაცია იხილეთ აქვე გიორგი ნარიძანიშვილის სტატიაში.

ტაბულების აღწერილობა:

- I. გათხრების საერთო ხედი.
- II. ყორდანის საერთო ხედი დაზიანებამდე.
- III. ყორდანის საერთო ხედი დაზიანებამდე.
- IV. მენჭირის ხედი სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე.
- V. დაზიანებული ყორდანის ხედი გათხრების დაწყებამდე.
- VI. დაზიანებული ყორდანის ხედი გათხრების დაწყებამდე.
- VII. დაზიანებული ყორდანის ხედი გათხრების დაწყებამდე.
- VIII. ყორდანის საერთო ხედი ზევიდან.
- IX. ყორდანის საერთო ხედი ჩრდილოეთიდან.
- X. ყორდანის საერთო ხედი დრონიდან.
- XI. მუშაობის პროცესი.
- XII. ყორდანის საერთო ხედი.
- XIII. 1. თიხის ჭურჭელი; 2. ობსიდიანი.
- XIV. თიხის ჭურჭელი №3.
- XV. ყორდანის გათხრების ფინალური ეტაპი.
- XVI. მენჭირის ხედი სამუშაოების დასრულების შემდეგ.
- XVII. ყორდანის სერთო ხედი დრონით.
- XVIII. ყორდანის გეგმა.
- XIX. მენჭირი. ჩანახატი.
- XX. ყორდანში აღმოჩენილი არტეფაქტები.
- XXI. ყორდანში აღმოჩენილი არტეფაქტები.
- XXII. ყორდანში აღმოჩენილი არტეფაქტები.
- XXIII. ყორდანში აღმოჩენილი არტეფაქტები.
- XXIV. სამაროვანი. საერთო ხედი.
- XXV. სამაროვნის სიტუაციური გეგმა.
- XXVI. სამაროვნის ხედი დაზიანებამდე.
- XXVII. სტელები. ხედი სამაროვნის დაზიანებამდე.
- XXVIII. სტელები სამაროვნის დაზიანების შემდეგ.

- XXIX. სამახები დაზიანების შემდეგ.
- XXX. სამარხები დაზიანების შემდეგ.
- XXXI. სამაროვნის დაზიანებული ნაწილის გეგმა და ჭრილები.
- XXXII. სამაროვნის საერთო ხედი დაზიანებამდე და შემდეგ.
- XXXIII. სამაროვნის საერთო ხედი დაზიანებამდე და შემდეგ.
- XXXIV. №8 სამარხის სტელა.
- XXXV. სტელები.
- XXXVI. დაუზიანებელი სამარხები.
- XXXVII. თხრილის ხედი პროფილების გასუფთავების შემდეგ.
- XXXVIII. თხრილის ხედი პროფილების გასუფთავების შემდეგ. დეტალი.
- XXXIX. თხრილის ხედი პროფილების გასუფთავების შემდეგ. დეტალი.
- XL. ხედი თხრილის ფსკერის გასუფთავების შემდეგ.
- XLI. დაზიანებული სამარხების ხედი.
- XLII. დაზიანებული სამარხების ხედი.
- XLIII. დაზიანებული სამარხების ხედი.
- XLIV. დაზიანებული სამარხების ხედი.
- XLV. თხრილის ფსკერზე გამოვლენილი სამარხების დაფარვა მიწით.
- XLVI. თხრილის ფსკერზე გამოვლენილი სამარხების დაფარვა მიწით.

I



1



2



1



2



1



2



1



2

V



1



2



1



2



1



2





X



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1




2




1



2



1




2


ბეჭისმარი  
რკინიგზის ხედთან  
ეფექტური #2  
2020




0 10 20 30




обз. #2



обз. #15



обз. #9,11









обз. #20



обз. #19




обз. #35



1



2





1



2



1



2



1



2



1




2



1



2





1



2



1



2



1



2



1



2



1



2







1



2

XL









1



2



1



2





## გიორგი ნარიმანიშვილი

### არაბული ანბანით შესრულებული წარწერები ბეჭთაშენიდან

სამაროვანი მდებარეობს სოფ. ბეჭთაშენის სამხრეთით, თბილისი-წალკის საავტომობილო გზის პირას (ტაბ. I). იგი განვითილია დამრეც ვაკეზე სამაროვანზე დღეისათვის 23 სამარხი შეინიშნება. სამ მათგანზე ქვის სტელაა აღმართული (ტაბ. 2).

**სტელა №1.** ბაზალტის ქვის (ტაბ. 3), მართკუთხედი, თავმომრგვალებული (150X60). მიმართული აღმოსავლეთით. ქვას გარშემო აშია შემოუყვება, რომლის ორივე მხარეს ამოკვეთილია ხუთ-ხუთი ექვსფურცლიანი ვარდული. წარწერა ამოკვეთილია ოთხკუთხა ჩარჩოში, რომელიც ღრმად არის შეჭრილი ქვის ზედაპირიდან. ჩარჩოს თავზე მოთავსებული ორსტრიქონიანი წარწერა ჯერჯერობით არ იკითხება. ჩარჩოში ამოკვეთილი წარწერა რვასტრიქონიანია, რელიეფური, ნაწილობრივ დაზიანებული, ხელი ნასხი. სტრიქონები ერთმანეთისაგან რელიეფური ხაზებითაა გამოყოფილი. პირველი სამი სტრიქონი დაზიანების გამო არ გაიშიფრა.

წარწერის თარგმანი ასეთია:

1. ყველაფერი იღუპება (წარმავალია)
2. გარდა მისი სახისა
3. . . .
4. ესე არს საფლავი განსვენებულისა
5. პატიებულისა . . .
6. იბნ ნამაზ ალისა
7. . . .
8. წელსა 1267 (1850) ჩვ. წ.

**სტელა № 2.** ბაზალტის ქვის (ტაბ. IV), მართკუთხედის ფორმის (87X30), თავმომრგვალებული, მიმართული აღმოსავლეთით, შუაზეა გატეხილი. წარწერას გარშემო აშია შემოუყვება, მის მარჯვენა მხარეს ამოკვეთილია ხანჯალი, მარცხენა მხარეს კი – ერთი სტრიქონი, რომელიც არ იკითხება. წარწერისთვის შექმნილია ჩარჩო, რომელიც ღრმად არის ჩაჭრილი ქვის ზედაპირიდან. წარწერაც და ორნამენტიც რელიეფურად არის შესრულებული. წარწერა შედგება შვიდი სტრიქონისგან, ხელი ნასხი. ისინი ერთმანეთისაგან რელიეფური ხაზებით არის გამოყოფილი.

თარგმანი ასეთია:

1. ქსე
2. არს საფლავი განსვენებულისა პატიებულისა
3. ღვთისმოსავისა. . .
4. ალი გალიდ მულასი
5. . . .
6. . . .
7. 1317 (1899) ჩვ. წ.

**სტელა № 3.** ბაზალტის ქვის. მიმართული აღმოსავლეთით. შემორჩა მხოლოდ სტელის ნატეხი (ქვედა ნაწილი) და იქ გამოსახული თოფი და ბოლო სტრიქონის ფრაგმენტი, რელიეფურად შესრულებული.

### დასკვნა

აღწერილი სამაროვნების გარდა თრიალეთში კიდევ გვხვდება საფლავის ქვები არაბული ანბანით შესრულებული წარწერებით. ისინი განლაგებულია აზებაიჯანული სოფლების ტერიტორიაზე და მოქმედ სასაფლაოებზეა განლაგებული.

საფლავებზე აღმართულ სტელებზე ამოკვეთილი წარწერების მიხედვით სამაროვნები XVIII ს-ის დასასრულიდან XX ს-ის დასწყისამდე ფუნქციონერებდნენ. წარწერებში ჩართული ყურანის სურები და სტელების სხვადასხვა ადგილებში ამოკვეთილი ალაპისა და მუჭამედის სახელები მიუთითებენ, რომ სამარხებში მუსლიმური სარწმუნოების მიცვალებულები არიან დაკრძალულნი.

ამ პერიოდში თრიალეთში არსებული პოლიტიკური სიტუაციის თანახმად ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაკრძალულები მომთაბარე თურქმანი ტომებიდან იყვნენ. ეს ხალხები საქართველოში „ელის“ სახელით იყვნენ ცნობილნი.

სამაროვნები თურქმანული მოდგმის ტომებს ეკუთვნის. ორი მათგანი (ბეშთაშენი, თიქმა-დაში) დამჯდარ, მიწათმოქმედ მოსახლეობას არ ეკუთნის. მინაიასარის სამაროვანი მართალია აქ არსებული სოფლის მოსახლეობას ეკუთვნის, ისინი ყოფილი მომთაბრეების შთამომავლები არიან და აქ დასახლების შემდეგაც მესაქონლეობას მისდევდნენ.





1



2



1



2



1



2

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

გოდერძი ნარიმანიშვილი

დაშ-ბაშის ტერიტორიაზე დაზიანებული  
არქეოლოგიური ობიექტების გადარჩენითი  
არქეოლოგია

(ანგარიში)

თბილისი

2020

## პროექტის წინა ისტორია

დაშ-ბაშის კანიონი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის (ქციის) ხეობაში, ზღ. დ. 1110-1448 მ. ქალაქ წალკიდან დაახლ. 3 კმ-ზე, სოფ. დაშ-ბაშის (თრიალეთის ახალქალაქი) მიდამოებში. წარმოადგენს ბუნების ძეგლს. ბუნების ძეგლი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. შეესაბამება IUCN III კატეგორიას. 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 41 ბუნების ძეგლია. დაშ-ბაშის კანიონი ევროპის კანიონებს შორის ერთ-ერთი დიდი კანიონია.

დაშ-ბაშის კანიონი გამოიჩინა ბიომრავალფეროვნებით. მის ფერდობებზე მიწისქვეშა წყლების მრავალი გამოსასვლელი და ჩანჩქერია, რაც სრულიად განსხვავებულ მიკროლანდშაფტს ქმნის თავისებური მიკროკლიმატით და ფაუნით. ჰავა ზომიერად ნოტიოა. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა საკმაოდ მაღალია. იანვრის საშუალო ტემპერატურა -4-6, ხოლო ივლისის +16-18 გრადუსია.

ძეგლი მდებარეობს ლავურ მაღლობზე, ვულკანოგენურ ქანებში ჩაჭრილ კალაპოტში. დაშ-ბაშის კანიონი ბუნების ძეგლია და საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია. მისი ფართობია 669 ჰა. სიგრძე 8 კმ-ს აღწევს. დაბა წალკიდან სოფ. არუხლომდე მდინარის ხეობა წარმოადგენს ვიწრო, ღრმად ჩაჭრილ კანიონს, რომლის ფსკერის სიგანე იცვლება 150-დან 400 მეტრამდე. ამ მონაკვეთზე მდინარის ხეობის ფერდობები აგებულია ვულკანური ქანებით და თითქმის ვერტიკალურია. ხეობის ფსკერი ჩახერგილია დიდი ზომის კლდოვანი ნამსხვრევებით. დაშ-ბაშის წყაროების წყლები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ჰიდროკარბონატული მაგნიუმიან-ნატრიუმიან-კალციუმიანია. მდინარის მიმდებრე ფერდობებზე გავრცელებული მცენარეულობა სხვადასხვა სახეობრივი შემადგენლობისაა, რაც განპირობებულია მდინარის ორივე მხარის სანაპირო ტერასების და მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი ფერდობების სხვადასხვაობით. ზღ.დ 1200-1600 მ-ის სიმაღლეზე გავრცელებულია იფნარ-მუხნარ-რცხილნარი ტყის ფორმაცია. ჭალის ტყე, რომელიც მდ. ხრამის ხეობის ძირზეა გავრცელებული, უმეტესად წარმოდგენილია წნორით, შავი ვერხვით და იფარით, რომელსაც ერევა ნეკერჩხლის სხვადასხვა სახეობა. ბუჩქოვანი მცენარეებიდან დაფიქსირდა ჭანჭყატი, მაყვალი, ასკილი. ბალახოვან საფარში ჭარბად არის ღოლო, ველური პიტნა, ნარი, ჭინჭარი, დიყი და სხვა.

დაშ-ბაშის კანიონში არსებული ბიომრავალფეროვნება ორიგინალურ მიკროკლიმატს ჰქმნის. ის მნიშვნელოვან სამიგრაციო და თავშესაფარ ფუნქციას ასრულებს ცხოველებისათვის. მაღალი ტყის ზონაში ბინადრობს მურა დათვი. მდინარის მიმდებარე ჭალებში და სტეპებში არის კაგასიური მგელი, მელა, ტურა, ტყის კატა, კვერნა, დედოფალა, ევროპული კურდლელი, მინდვრის თაგვი, ტყის თაგვი, წყლის მემინდვრია, თხუნელა, ზღარბი და ლამურისებრნი. მდ. ხრამის ხეობაში და მის მიმდებარე მაღალ პლატოზე სათიბებში და სასაძოვრე ტერიტორიებზე დაფიქსირებულ იქნა ფრინველთა შემდეგი სახეობები: ველის კაკაჩა, შავთავა გრატა, ტყის ჭვინტაკა, მინდვრის ბელურა, მინდვრის ტოროლა, შოშია, მწყერი, გნოლი, კაკაბი, სვავი. ლიტერატურული წყაროების და მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, მდ. ხრამში ბინადრობს თევზის შემდეგი სახეობები: მურწა, მდინარის კალმახი, მტკვრის წვერა, ჩვეულებრივი ქაშაყი, ხრამული და სხვა.

თანამედროვე სოფ. დაშ-ბაში უძველესი ქართული სოფლის - თრიალეთის ახალქალაქის ტერიტორიაზეა გაშენებული. თრიალეთის ახალქალაქი მდებარეობდა მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ეძანის აღმოსავლეთით, სოფ. ნადვალეთის ჩრდილოეთით. ახალქალაქის ქვევით ქციას ერთვის აბანოს ხევი. „თრიალეთის ახალქალაქი ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. აქ სხვადასხვა დროს თრიალეთის ერისმთავართა, საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა საჯდომი იყო. ბოლო დროს კი, თვით ვახუშტი (ბატონიშვილი) ბაგრატიონსაც, როგორც ამ მხარის მმართველს, ადგილსამყოფელი თრიალეთის ახალქალაქში ჰქონდა“.<sup>2</sup> უდიდესი სიყვარულით აღწერს ვახუშტი თრიალეთს: „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა . . . მოსავლით ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა“.<sup>3</sup>

ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვახტანგ VI მეფობის დროს, 1721 წლიდან ქვემო ქართლის გამგებელი და მოწინავე ლაშქრის სარდალია. იმავე წელს მან გივი თუმანიშვილთან ერთად ჩაატარა სადროშოს აღწერა, 1724 წელს კი ვახტანგ VI-სთან ერთად საქართველო დატოვა.<sup>4</sup>

<sup>2</sup>. რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ძეგლები. – მმ №30, 1972, გვ. 69-77.

<sup>3</sup>. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ. 42.

<sup>4</sup>. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. რედ. ე. თაყაიშვილი. მსწრაფლმშეჭდავი „მმობა“ თბილისი, 1907. გვ. VII; ვახუშტი 1941, გვ. IX.

1676-1717/24 წლებში ახალქალაქის მოურაობა ეძღვა გერმანიზმილებს, როგორც „იმათ მამა-პაპას ქონიათ”. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე (შანავაზ-ზანი), 10 გამომლები და 3 ბოგანო ყმა: მამასახლისი დათუნა, ნადირაშვილი როსება, ნასყიდაშვილი გოგიტა, ლვინიაშვილი ბერია, რევაზაშვილი მახარა, ჩალრალნიძე სენია, ზუბიაშვილი თამაზა, ტერტერაშვილი ასლუა, ხეჩატურაშვილი დათუნა, ლომუაშვილი დათუნა, ბოგანო ნასყიდა მოლაშქრე, ბოგანო ლამაზა მოლაშქრე, ბოგანო გზირი.<sup>5</sup>

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ცხოვრობდა 55 კომლი სომეხი. დღეს აქ მათი შთამომავლები სახლობენ.

ექ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს ერთ-ერთი სახლის საძირკველში აღმოჩნდა სპილენძის თეფში მხედრული წარწერით, XVII ს-ზე არა უადრესი. მასზე წარწერა იყო: „ქ: ნადირას: შვილი ელისბარისია“. თეფში იყიდა თავადამა ო. აფხაზმა და გადასცა საჩუქრად ტიფლისში ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული საზოგდოების მუზეუმს.<sup>6</sup>

თრიალეთის ახალქალქი გაშენებული ყოფილა მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც მდინარის მიერ წარმოქმნილი კანიონი ყველაზე ღრმაა. ამ ადგილზე აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მდინარე მკვეთრად სამხრეთისაკენ უხვევს და წარმოქმნილია ბუნებრივი კონცხი, რომელიც სამი მხრიდან კანიონის ფრიალო კედლებითაა შემოფარგლული. კონცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მაღალი მთაა. მის წვერზე საუკუნოვანი მუხა დგას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა წმინდა ხედ მიიჩნევს, აქვე წმ. სოფიოს ნიშია. ამ მთის ძირში გადის ქ. წალკიდან მომავალი გზა. ეს გზა ძველი არ არის და XIX ს-ში ჩნდს გაჭრილი. ახალქალაქის დასავლეთით ღია სივრცეა, საიდანაც ძველი წალკიდან (დღევანდელი გუნია-ყალა) მომავალი გზა შემოდიოდა, რომელიც ახალქალაქის სამხრეთ ნაწილში გადიოდა და ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებული მცირე კლდეკარით მდ. ქციის (ხრამი) ხეობაში ჩადიოდა.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს ამ ადგილებს: „ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა. გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად

<sup>5</sup>. მასალანი... 1907, გვ. 14-15 ლორთქიფანიძე ო. ქვემო ქართლი, ტ. I-II, თბილისი. 1935, გვ. 286.

<sup>6</sup>. Такайшвили Е. 1913: Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, вып. III. Тифлис. стр. 78

და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარ რ მეტი, სიგანით რპ მხარი და მეტიცა. ეძანს ქვევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა დარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი. უდ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა მას ერთსა დღესა შ“.<sup>7</sup>

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ორი ძველი ქართული ეკლესია იყო. სოფელთან მიახლოვებისთანავე ჩანს მდ. ქციის ქარაფოვანი კლდის კიდეზე, დაბალ ბორცვზე აღმართული წმ. გიორგის ტაძარი. ის ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესია, ნაგებია თლილი ქვით. ეკლესიის გუმბათი არ შემორჩენილა (XX საუკუნეში ჩატარებული რესტავრაციის დროს ეკლესია გადაიხურა სადა კონუსური ფორმის სახურავით). ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი – დასავლეთის მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთის მკლავის დასავლეთ კედელში. ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილია X-XI სს-ის მიჯნით დათარიღებული რამდენიმე წარწერა: სამხრეთის კარის თავზე მდებარე დიდი ზომის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა - „მადლითა ღმრთისათა ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ ერისთავი.“ აღმოსავლეთის ფასადის მდიდრულად მოჩუქურთმებული სარკმლის საპირეში ჩართულია წარწერა - „ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ-ერისთავი“.

გარდა ქტიოტორთა წარწერებისა ეკლესიას ამკობს მლოცველთა მოსახსენებელი წარწერები: აღმოსავლეთის ფასადზე ექ. თაყაიშვილი კითხულობს „ქრისტე შეიწყალე მელქისედეპ და შვილნი“, ნ. შოშიაშვილის მიხედვით: „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ე)ლქი(სედეპ) (მალაქია?) და შ(ვ)ილნი“. სამხრეთის კარის ჩარჩოზე, მარჯვნივ თაყაიშვილის მიხედვით წერია - „ქრისტე შეიწყალე მელქისედექ კათალიკოზი“, შოშიაშვილის წაკითხვით - „ქ(რისტ)ე შ(ეიწყალ)ე მ(ე)ლქ(ი)ს(ედე)ქ“. საკურთხევლის სამხრეთის კედელზე - „ქრისტე შეიწყალე ჯაგანა“. ეკლესიის სამხრეთ სარკმელს ამკობს ბარელიეფი - ხელის გამოსახულება, რომელსაც ჯვარი უჭირავს; ამ სარკმლის მარჯვნივ მეორე ჯვარია გამოსახული, რომელსაც ამკობს ხუცური წარწერა: „ქრისტე შეიწყალე“. სამხრეთის კარის მახლობლად დეკორატიული ტრომპის ზედაპირზე ანგელოზის რელიეფური გამოსახულებაა წარწერით „წმინდა.“ სამხრეთ კარის ჩარჩოზე, მოსახსენიებელი წარწერის ქვევით შედრული

<sup>7</sup>. ვახუშტი 1941, გვ. 41-42.

წარწერაა: „წმინდაი გიორგი ნაქალაქევისა“. ამ წარწერის მიხედვით ეპლესია წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებული.

ექ. თაყაიშვილის აზრით, ეს ეპლესია აგებული უნდა ყოფილიყო ბაგრატ IV მეფობის დროს, XI საუკუნეში, რადგან კათალიკოზი მელქისედეკი და რატი II ლიპარიტ II-ის ძე ცხოვრობდნენ ბაგრატ IV-ის დროს. ნ. შოშიაშვილი და ლ. რჩეულიშვილი დაშ-ბაშის ტაძარს X-XI სს-ის მიჯნით ათარიღებენ.<sup>8</sup> იმის გათვალისწინებით, რომ XI ს-ის დასაწყისში თრიალეთს ბალვაშები დროებით აღარ განავებენ, დაშ-ბაშის ეპლესიის აგების თარიღად X ს-ის მიწურული (988 წლამდე) უნდა მივიჩნიოთ და რატი I ერისთავთ-ერისთავს დაგუკავშიროთ.

ეპლესიის შიგნით ე. თაყაიშვილის დროს ყოფილა მხედრული წარწერებით და ადამიანების, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებით შემკული საფლავის ქვები. ასეთი ქვები ამჟამად ეპლესიის სამხრეთით გვხდება, ძირითადი სამაროვანი კი ჩრდილოეთით, ბორცვის ძირშია გამართული.

წმ. გიორგის ეპლესიის წინ შეიმჩნევა ციკლოპური ზღუდის ნაშთი. როგორც ჩანს, ციკლოპურ სიმაგრეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით, რადგან სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მისადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა მდ. ქციას ღრმა კანიონი დაქანებული კლდეებით. თრიალეთის მსგავსი ტიპის ციკლოპური სიმაგრეები გვიანბრინჯაორებინის ხანით თარიღდება. ლ. მელიქეთ-ბეგის აზრით, სოფელ დაშ-ბაშის თავზე არსებული ქვათა გროვა მეგალითური სისტემის ციხის ნაშთს წარმოადგენს<sup>9</sup>. ის აღნიშნავს, რომ დაშ-ბაშის წმ. გიორგის ეპლესიის წინ შეიმჩნევა „ციკლოპური ზღუდის ნაშთი: როგორც ეტყობა, ციკლოპურ ციხეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით, რამდენადაც სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მისადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა ღრმა ხრამი დაქანებული კლდეებით“. ამ ზღუდის ანალოგად მას მიაჩნია პორომის სადგომი სომხეთში<sup>10</sup>.

სოფლის დასავლეთ ნაწილში, წმ. გიორგის ეპლესიის სამხრეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე ღვთისმშობლის ეპლესია დგას. ძველი ქართული ეპლესიის ნაგრევებზე ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას XIX ს-ში ეპლესია აუშენებია. ის დღეს დანგრეულია.

<sup>8</sup>. შოშიაშვილი ნ. ლაპიდარული წარწერები. ტ. I. თბილისი. 1980, გვ. 243-246; თაკაშვილი 1913, სტ. 74-76; რჩეულიშვილი ლ. რატ ერისთავთ-ერისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქში. - ქართული ხელოვნება. №7, სერია A, 1971, გვ. 111-126; რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ძეგლები. – მმ №30, 1972, გვ. 69-77.

<sup>9</sup>. მელიქეთ-ბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი. 1938, გვ. 13.

<sup>10</sup>. მელიქეთ-ბეგი 1938, გვ. 54.

შემორჩენილია მხოლოდ აფსიდი და სამხრეთი კედელი. ეკლესიაზე ყოფილა წარწერები, რომელიც დღეისათვის შემორჩენილი არ არის. XIX საუკუნის ბოლოს, როცა ექ. თაყაიშვილმა აღწერა დაშ-ბაშის ეკლესიები, ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე შემორჩენილი იყო ცხრასტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტი, თაყაიშვილმა გაარჩია მე-3 და მე-4 სტიქონები: „ღმერთო ადიდე ერისთავთ-ერისთავი რატი“. შოშიაშვილი ამატებს მე-5 და მე-9 სტიქონების ნაწილს „... ადიდენ ღმერთმან ერისთავთ-ერისთავი რატი ... ელთა (ახალქალაქელთა?) ... ენი კდ“. ამავე კარის მარცხნივ ამოკვეთილ ხუთსტრიქონიანი წარწერიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი გრაფება. წარწერიანი ქვა ყოფილა ეკლესიის ეზოშიც (ქვა ექ. თაყაიშვილმა ჩამოიტანა თბილისში და გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს. ქვა ამჟამად დაკარგულია). მასზე თაყაიშვილი კითხულობს: „ქრისტე, სახელითა ღმრთისაითა ჩუენ, ახალქალაქელთა დაუწერეთ დაწერილი და შეწირული, შენგან კითხვითა(?) რატ ერისთავთ-ერისთავისა... “. წარწერის სრული ტექსტი „ქრისტე, სახელითა ღმრთისა თა ჩუენ, ახალქალაქელთა დაუწერეთ დაწერილი და შეწირული, შენგან კითხვითა რატ ერისთავთ-ერისთავისა: წირვიდნენ ჯუარისა საყდრისა. ვინ აღმოიყითხოთ დაწერილი ...თა. ვინ...“.<sup>11</sup> ამ წარწერიდან ნათელია, რომ ზემოხსენებული ეკლესია აგებული, ან განახლებული უნდა ყოფილიყო ახალქალაქელების, ან ახალქალაქელების პატრონის მიერ რატ ერისთავთ-ერისთავის დროს. უეჭველია, რომ წმ. გიორგის ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული რატი და ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერის რატი ერთი და იგივე პირია.

ადგილობრივმა მოსახლეობამ უკანასკნელ წლებში გაასუფთავა ეკლესიის ინტერიერი და ეზო. არქიტექტურული დეტალები და ძველი სამშენებლო ქვები დასაწყობებულია ეკლესიის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ღვთისმშობლის ეკლესია წმ. გიორგის ეკლესიის თანადროული უნდა იყოს.

**წმ. გიორგის მეორე ეკლესია** სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით, მთაზე დგას. ეკლესია აშენებულია თანაბარი ზომის დამუშავებული ქვის კვადრებით, კედლების წყობაში გამოყენებულია ძველი ეკლესიის ქვები. იგი წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთით ნახევაწრიული აფსიდით. აფსიდში ჩრდილოეთ მხარეს ნიშია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, იგი არქიტრავულია. შესასვლელის თავზე ჩაშენებულია ქვა ჯვრის გამოსახულებით. სარკმლები გაჭრილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედელში.

<sup>11</sup>. თაკაშვილი 1913, სტ. 77-78; შოშიაშვილი 1980, გვ. 247-248.

კარნიზად გამოყენებულია ძველი ეკლესიის კარნიზები. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა, რომელზეც ძველი კაპიტელი დევს, აქეა ქვაჯვარის ერთ-ერთი მკლავი, რომელზეც ჯვრებია ამოკვეთილი. ეკლესიის მახლობლად სამი თანამედროვე ნაგებობა დგას. ერთ-ერთს წმ. პავლეს სამლოცველოს უწოდებენ. წმ. გიორგის ეკლესია აგებულია VIII-IX საუკუნეებისა, გადაკეთებულია XIX საუკუნეებისა, მეორე ნახევარში ბერძნების მიერ.

სოფ. დაშ-ბაშის სკოლის ეზოში დიდი სამაროვანი მდებარეობს. აქ 1937-38 წლებში გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV ათასწლეული), გვიანი ბრინჯაოს ხანის, ანტიკური ეპოქისა და ადრეული შუასაუკუნეების სამარხები.<sup>12</sup> ამჟამად სკოლის ეზო მოსწორებულია, დიდი ნაწილი უკავია სპორტულ მოედანს. სამარხების კვალი მიწის ზედაპირზე არ შეინიშნება.

სოფ. დაშ-ბაშში, მთის სამხრეთ ძირთან, სადაც ციკლოპური გალავნის ნანგრევებია, გვიანრომაული და სასანიდური პერიოდის სამაროვანზე 1936 წელს აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის („მტკვარ-არაქსის“ კულტურა) სამარხი. სამარხი წარმოადგენს ქვის ფილებით მოგებულ ქვაყუთს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ვერტიკალურად დაყენებული ქვა ზღუდავდა. მისი ზომებია 1.1 X 1.5 მ. გადახურული იყო დიდი ქვით. მიცვალებულის ჩონჩხი უწესრიგოდ იყო დალაგებული, მისი თავის ქალა და ყბა ორ სხვადასხვა ჯამში იდო. ძვლები იმდენად ცუდად იყო შემონახული, რომ ძნელია საუბარი, იყო აქ მეორადი დაკრძალვა, თუ დარღვეულია პირველადი.<sup>13</sup> ინვენტარს 7 თიხის ჭურჭელი წარმოადგენდა, რომლის მიხედვით, სამარხი ძვ.წ. III ათასწლ. პირველი ნახევრით დათარიღდა.<sup>14</sup>

სოფ. დაშ-ბაშის სკოლასთან 1936 წელს გაითხარა სამი ქვაყუთი. პირველი წარმოადგენდა გრძელ და ვიწრო ქვაყუთს, რომელიც 6 ქვის ფილისგადნ შედგებოდა. მიცვალებულის კარგად შენახული ჩონჩხი ზურგზე იყო გაშოტილი. ინვენტარი არ იყო ჩატანებული. ორი სამარხი გაითხარა ერთმანეთთან ახლოს, სკოლიდან ჩრდილო-დასავლეთით, სკოლის მოედანზე. ორივე წარმოადგენდა 4 ქვის ფილისგან შემდგარ მოკლე ქვაყუთს. მათ გადახურვა არ ჰქონდათ. ორივეში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ მოკრუჩულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ინვენტარს წარმოადგენდა წითლად

<sup>12</sup>. კუფტინ, дневник 1939 года, стр. 18, 42.

<sup>13</sup>. კუფტინ Б. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941, стр. 117.

<sup>14</sup>. ჯორჯიკაშვილი Л., Гогадзе Э. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси. 1974, с. 6.

გამომწვარი დოქტები, მუქი ფერის კოჭობი და ერთ-ერთში იდო რკინის შუბი.<sup>15</sup> სოფ. დაშ-ბაშთან აღმოჩნდა აგრეთვე, ძვ.წ. V-IV სს-ის მცირე ზომის 3 ქვაყუთი.<sup>16</sup>

მდ. ხრამის კანიონში მღვიმე-ქვაბთა კომპლექსებია გამართული. მღვიმე-ქვაბთა კომპლექსები გამოკვეთილია ქარაფოვან კლდეში. მღვიმეთა პირველი კომპლექსი კანიონის დასაწყისშივეა.

დაშ-ბაშის კანიონი წალკის ხიდთან იწყება და სოფ. დაშ-ბაშთან სრულდება. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ქცია „თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების“.<sup>17</sup>

მდ. ქციაზე გადებული წალკის ძველი ხიდის ჩრდილოეთ ბურჯში ჩაშენებულია ეკლესიის ქვები, მათ შორის ასომთავრულწარწერიანი ქვა. ერთ-ერთი წარწერა ექ. თაყაიშვილმა ასე წაიკითხა: „სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ წმიდად ეს ეკლესია, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისა, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან, საგარეოს(?) შინ(ა) ჟამთას ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ“. წარწერას ექ. თაყაიშვილი 1059-1072 წლებში, ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის ტიტულისა და მისი გადაცვალების თარიღებს შორის ათავსებს. „რაც შეეხება მირიანს, როგორც ჩანს, ის იგივე მირიან თარხონის ძე უნდა ყოფილიყო, რომელიც წინა წარწერაშია (მანგლისთან ნაპოვნი გნ) მოხსენიებული“. მირიან თარხონის ძის აგებულად მიაჩნია მას ვერის ეკლესია, ასევე ქალაქი და სასახლე ატენის სიონის მახლობლად, რაზეც მისი აზრით ატენის სიონზე ამოკვეთილი წარწერა მიუთითებს.<sup>18</sup>

იმავე ბურჯის ერთ-ერთ ქვაზე შემდეგი წარწერაა: „მამად მთავარი წურწყაბელი ერისთავი გრიგოლ... (სუ)ლსა მირიანის მშობელთ სასუფეველსა შნსა“. გრიგოლ წურწყაბელი, ექ. თაყაიშვილის აზრით, ერისთავიც იყო და ეპისკოპოსიც, მსგავსი საერო უფლებებით სარგებლობდა ტბეთის ეპისკოპოსიც. მეფის კუროხევის დროს წურწყაბელი ეპისკოპოსი მეთორმეტე ადგილზე იყო. ექ. თაყაიშვილის აზრით, ხიდის მშენებლობისას გამოყენებული ქვები შესაძლებელია მოზიდეს სოფ. გუნია-ყალადან (ისტორიული წალკა), სადაც უნდა მდგარიყო წალკელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო უნდა ყოფილიყო ამ რეგიონში.<sup>19</sup>

<sup>15</sup>. კუფტინ 1939, სტ. 42.

<sup>16</sup>. გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები. ტ. III. თბილისი. 1982, გვ. 57-59.

<sup>17</sup>. ქართლის ცხოვრება IV, 1973, გვ. 219.

<sup>18</sup>. თაკაშვილი, 1913, სტ. 68-72.

<sup>19</sup>. თაკაშვილი 1913, სტ. 72-73.

კანიონის დასაწყისშივე, ზიდიდან 50 მ-ის დაცილებით, მდინარის მარცხენა ნაპირზე გამოქვაბულია. 1936 წელს მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა ბ. კუფტინმა და მეზოლითური ეპოქის იარაღები მოიპოვა, თუმცა ქვედა ფენებამდე არ დასულა.<sup>20</sup> იგი წარმოადგენს ბუნებრივ გამოქვაბულს, რომელიც გაჭრილია მდინარის კლდოვან, ციცაბო ნაპირზე. ამ ადგილიდან იწყება კლდეში ნაკვეთი და ბუნებრივი გამოქვაბულების მთელი სისტემა, რომელიც მდინარეს თითქმის შესართავამდე მიუყვება.

წალკის კანიონში (ეძანი, ბარმაქსიზი) 1936 წელს ბ. კუფტინმა ზედა პალეოლითური (ეპიპალეოლითური) გამოქვაბული გათხარა. პალეოლითური სადგომი წარმოადგენს მოედანს კლდის ქვეშ არსებულ ღია გამოქვაბულში. გათხრები წარმოებული იყო მის შუა ნაწილში, რომელიც ებჯინებოდა იქ არსებულ ღორის სადგომის ქვის კედელს. ღორის სადგომი მხოლოდ ერთი წელი არსებობდა ამ გამოქვაბულში, მაგრამ საკმაოდ დააზიანა მიწის ზედაპირი.<sup>21</sup> ბ. კუფტინის აზრით, ხრამის ხეობაში არსებული მრავალრიცხოვანი გამოქვაბულების კვლევა დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს და სავარაუდოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ეტაპებს და ფაზების მთელ სერიას ადგილობრივი ზედაპალეოლითური ინდუსტრიის განვითარებაში.<sup>22</sup> გამოქვაბულში მოპოვებული ქვის ინდუსტრია ძირითადად ობსიდიანის იარაღებით არის წარმოდგენილი, რომელიც სავარაუდოდ ფარავნის ტბისკენ მიმავალ უღელტეხილზე მოიპოვებოდა. წითელი და ნაცრისფერი კაჟის იარაღი უფრო ხშირად ობსიდიანის იარაღის ფორმებს იმეორებენ. ობსიდიანის იარაღის უმრავლესობა საშუალო და მცირე ზომის ლამელებს წარმოადგენენ, მათ დაბოლოვებაზე ხშირად საფხექებია წარმოდგენილი, ერთგვარი კომბინირებული იარაღებია. გვხვდება სფერული ნუკლეიდური იარაღი მოკლე ფაცეტებით, აგრეთვე სეგმენტისებური ლამელები, ზოგჯერ მათი მინიატურული სახეობა. გამოქვაბულში აღმოჩნდა რამდენიმე ასეული ობსიდიანის და კაჟის იარაღი. ოსტეოლოგიური მასალა ძირითადად ცხენის ძვლებით და კბილებითაა წარმოდგენილი. სავარაუდო, პალეოლითში, დიდი ზომის ველური ცხენი წალკაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და ძირითადად სანადირო ცხოველს წარმოადგენდა.<sup>23</sup>

წალკიდან იწყება კლდეში ნაკვეთი და ბუნებრივი გამოქვაბულების ახალი სისტემა, რომელიც მდ. ქცია/ხრამს თითქმის შესართავამდე მიუყვება.

<sup>20</sup>. კუფტინ, дневник 1936 года, стр. 51-52.

<sup>21</sup>. კუფტინ 1936 стр. 135-136

<sup>22</sup>. კუფტინ 1936, стр. 43

<sup>23</sup>. კუფტინ 1936, стр. 44

გამოქვაბულთა მეორე კომპლექსი მდ. ქციაზე არსებული პირველი ჩანჩქერის დასვლეთითაა. ის ძლიერაა დაზიანებული. მის დასავლეთით, მდ. ხრამის კანიონის თავზეა ნასოფლარი მარიამი. ის მდებარეობს ქ. წალკის ხიდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.5-ის კმ დაცილებით, სამანქანო გზის პირას, სოფ. ახალიკის გადასახვევთან. ი. ლორთქიფანიძის მიხედვით სოფ. მარიამი, ან მარიამნი მდებარეობდა „ქციის მარცხნა მხარეზე, გარყოფის სამხრეთით, აბანოს ჩრდილო-დასავლეთით. 1719 წლის სიგელის მიხედვით მოსაზღვრეა, თრიალეთის სოფლის ჩრდილისუბნის, მებატონეა გოსტაშაბაშვილი. ტოპონიმი მერიემი (მარიამი), გვხვდება სამხრეთ საქართველოში „დიდი არტაანის ლივაში“. ს. ჯიქიას აზრით, ამ სოფელში იქნებოდა ღვთისმშობელის ეკლესია.

1591 წელს სოფ. მარიამის ნახევარი ებობა ორანე ბარათაშვილს, 1693 წელს მეფე ერეკლე I უთარხნებს პაპუნა გოსტაშაბაშვილს თრიალეთში ნასოფლარ მარიამს. 1713 წლისათვის სოფელი აღდგენილი ჩანს, რამდენაც აქ გოსტაშაბაშვილებს ჰყავდათ 19 გამომღები და 3 ბოგანო ყმა. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე - გოსტა-შაბაშვილი, 8 გამომღები და 3 ბოგანი ყმა. გოსტაშაბაშვილი ამილლაბარის ყმები იყვნენ: მამასახლისი ივანე, ლომიტაშვილი გიორგი, აბროსაშვილი შერმაზანა, ზაალაშვილი ბერია, კონიაშვილი ბასილა, კონიაშვილი გიორგი, ლომიტაშვილი დათუნა, იაშვილი ქიტია, ბოგანო ბერია მოლაშქრე, ბოგანო ბასილა, ბოგანო თანდილა.

ნასოფლარის ტერიტორიაზე 1990 წლამდე მხოლოდ ძველი ეკლესიის ქვებით შედგენილი ტრილითის ფორმის ნიში იდგა, რომლის ერთ-ერთ ქვაზე ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი იყო შემორჩენილი. 1991 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ნიში მოარღვია და წმ. დიმიტრის სამლოცველოს მშენებლობა წამოიწყო. ამ ტერიტორიაზე ჩატარდა მცირე არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც დადგინდა ძველი ეკლესიის გეგმა, აღმოჩნდა სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი და წარწერიანი ქვები, რომლებიც ეკლესიის საკურთხეველში იქნა მოთავსებული. სამლოცველოს მშენებლობა 1993 წელს დასრულდა. წარწერიანი ქვები ჩაშენებულ იქნა სამლოცველოს კედლებში. მოგვიანებით სამლოცველო შელესეს და შეათეთრეს ისე, რომ წარწერები აღარ ჩანს. ეკლესიის ეზოში ადამინისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებით შემკული საფლავის ქვები და ქვაჯვარის ბაზისია. ნასოფლარის ტერიტორიაზე, 1936 წელს ბ. კუფტინმა შუასაუკუნეების 6 უინგენტარო ქვაყუთი გათხარა.<sup>6</sup> ოდნავ ქვევით, წალკისაკენ მიმავალი გზის პირას კი ადრებრინჯაოს ხანის სამარხი გათხარა.

ნასოფლარი მდ. ხრამის კანიონამდე ვრცდელდება. ნაგებობათა ნაშთები, გზები და მცირე მოედნები ზედაპირზევე შეინიშნება. თუ არქეოლოგიურ მონაცემებს გავითვალისწინებთ ამ ტერიტორიაზე ადამიანს ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით უცხოვრია. ეს ნასოფლარი ერთ-ერთი ყველაზე დიდია ისტორიულ თრიალეთში.

მღვიმე-ქვაბთა მესამე კომპლექსი კანიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირების დამაკავშირებელი გრუნტის გზის დასავლეთითაა. გამოქვაბულთა ეს კომპლექსი შვიდ ტერასაზეა განთავსებული.

პირველ ტერასაზე შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი. ამ ტერასის გამოქვაბულები გეგმაში მომრგვალო ფორმისაა. ყველას აქვს თითო კარი. დიდ გამოქვაბულებს სარკმელიც აქვთ დატანილი. ზოგიერთი გამოქვაბული თითქოს ორსართულიანია. თუმცა, დღეს მეორე სართულზე ასვლა შეუძლებელია. აქ მოხვედრა სოფ. ახალიკის მხრიდან არის შესაძლებელი. ეს კომპლექსი არქეოლოგიურად პროფ. ნ. ბახტაძემ შეისწავლა და განვითარებული შუასაუკუნეებით დაათარიღა. ზოგიერთი მღვიმის იატაკის ქვეშ უფრო ადრეულ ფენებსაც მიაგნო და ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებიც მოიპოვა.

გამოქვაბულთა მეოთხე კომპლექსი მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, სოფ. დაშ-ბაშის მოპირდაპირედაა განლაგებული.

მღვიმე-ქვაბთა მეხუთე კომპლექსი მდ. ქციის მარჯვენა ნაპირის ქართვებშია გამოკვეთილი. ისინი ძირითადად „თრიალეთის ახალქალაქის“ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია განთავსებული, იქ სადაც ე.წ. ციკლოპური კედელია გამართული.

მეექსე კომპლექსი მდინარის გაყოლებით, მდ. აბანოსხევის მიდამოებშია დაფიქსირებული, იქ სადაც აბანოსხევი და მდ. ხრამი ერთმანეთს ერთვიან. აქ, დაშ-ბაშის კანიონის თავზე ნასოფლარი ბაბია მდებარეობს. ის სოფ. კოხტას სამხრეთით, მდ. ხრამის ქარაფოვან ნაპირზე ყოფილა გაშენებული. ნასოფლარის განაპირას, ხრამის ქარაფებში, იქ სადაც მდ. აბანოსხევი ჩამოდის გამოქვაბულთა VI კომპლექსია გამართული.

გახუმტის რუკაზე, თანამედროვე სოფ. კოხტას მიდამოებში აღნიშნულია ორი სოფელი ბაბია, სოფ. ატამეთი და სოფ. ჩრდილისუბანი. ჩვენი აზრით, დიდი ბაბია უნდა იყოს სოფ. ხარებას ჩრდილოეთით არსებული ნასოფლარი, სადაც ახლა წმ. კონსტანტინეს ეკლესია დგას. მეორე ბაბია კი დღევანდელი სოფ. კოხტას სამხრეთით უნდა ყოფილიყო, სადაც ღმრთისმშობლის ეკლესია მდებარეობს.

ნასოფლარი დიდი ბაბია მდებარეობს სოფ. ახალიკის სამხრეთით 1,0 კმ და სოფ. ქვემო ხარაბას ჩრდილოეთით 1,0 კმ დაცილებით, სოფ. ახალიკიდან სოფ. ქვემო ხარაბასაკენ მიმავალ გზაზე, რომელიც მას შუაზე კვეთს. ი. ლორთქიფანიძის მიხედვით ბაბია მდებარეობდა „აბანოს ხევის მარცხნა მხარეზე, სოფ. აბანოს აღმოსავლეთით, ატამეთის ჩრდილო-დასავლეთით.“

1543 წელს ფარიშატ გერმანოზიშვილს ერგო დიდი ბაბია და ნასოფლარი ბაბია. ეს ნასოფლარი ვახუშტის დროს ისევ დასახლებული ჩანს. 1721 წლის აღწერილობით ამ სოფელში ითვლებოდა 3 მებატონე (გერმანოზიშვილები და ვარაზაშვილი) და 4 გამომლები ყმა: გერმანოზიშვილი დათუნასი - სამნაშვილი თამაზა, მირიჯანაშვილი მახარა; გერმანოზიშვილი ოთარის - მეხრიშვილი ბერუა; ვარაზაშვილის ლუარსაბის - სამადაშვილი ბერუა.

ნასოფლარი დაფარულია მიწით. მისი ტერიტორია სათიბადაა გამოყენებული. ნასოფლარს სოფ. ახალიკიდან სოფ. ქვემო ხარაბასაკენ მიმავალი გზა კვეთს, რომლის პირასაც წმ. კონსატანტინეს ეკლესია დგას. ნასოფლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას, ფერდობზე. იგი წარმოადგენს მცირე დარბაზულ ნაგებობას. ძველი, შუა საუკუნეების ეკლესია საფუძვლიანადაა გადაკეთებული ბერძნების მიერ. შეინიშნება უახლესი შეკეთების კვალიც. კედლები ნაგებია მცირე ზომის ცუდად დამუშავებული ქვით, დუღაბზე. გადახურულია თუნუქით. ინტერიერში დაცულია ქვაჯვარის ფრაგმენტი, ბაზისი და ტრაპეზის ქვა. ეკლესია შემოფარგლულია ქვის ზღუდით, რომელშიც კარია დატანებული. კარებში, ზღუდის ორივე მხარეს ქვაჯვარის ბაზისები და არქიტექტურული დეტალებია ჩაშენებული. ეკლესიის ეზოში ძველი საფლავების ქვებია, მათ შორის ცხენის ქანდაკება.

**გამოქვაბულთა VII კომპლექსი** ნასოფლარ კისიას მიდამოებში მდებარეობს. სოფ. დაშ-ბაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების გზის პირას ნასოფლარია. ის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ჩვენი აზრით, ეს ნასოფლარი ვახუშტის სოფელის ჩამონათვალში აღნიშნული სოფ. კისია უნდა იყოს. ნასოფლარი მდებარეობს თრიალეთის ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3,5 კმ-ის დაცილებით. ახალქალაქიდან დღესაც ჩამოდის საცალფეხო გზა. თუმცა, ალაგ-ალაგ შეინიშნება საურმე გზის ნაშთებიც. ნასოფლარი შეფენილი ყოფილა ციცაბო კლდის ძირში არსებულ ფერდობზე. იგი დაზიანებულია უკანასკნელ წლებში გახსნილი ქვის დასამუშავებელი კარიერის და მისკენ მიმავალი გზის გაჭრის დროს. გზის მშენებლობის დროს ფერდი ჩამოჭრილია 4-5 მ სიმაღლეზე, სადაც

კარგად ჩანს კულტურული ფენები, რომელთა სიმძლავრე 2-3 მ აღწევს. ფენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სოფელი ძლიერი ხანძრის შედეგად არის განადგურებული.

ახალი გზის პირას, კარიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 მ დაცილებით წმ. დიმიტრის ეკლესია მდებარეობს. ნასოფლარი განლაგებულია ეკლესის გარშემო, თუმცა ძირითადი ნაწილი მისგან დასავლეთით მდებარეობს. იგი დარბაზულია, ნაგებია ბაზალტის ქვით, დუღაბზე. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა. შესასვლელი არქიტრავულია და სამხრეთიდანაა გაჭრილი. ეკლესია გვიან შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა დასახლება აქ უფრო ადრე ჩანს გამართული.

ნასოფლარის განაპირას, მდ. ხრამის კანიონის ბაზალტის მასივში მღვიმეთა კომპლექსია (გამოქვაბულთა მეშვიდე კომპლექსი). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ბუზხანას“ უწოდებს, რაც ყინულის მოსაპოვებელ ადგილს ნიშნავს. ჩანს, რომ ფრიალო კლდის ძირას შეკვეთილია გამოქვაბულები, საიდანაც ყინულს იღებდნენ.

## არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების შესახებ.

საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ დაზიანებული არქეოლოგიური ობიექტები მდებარეობს სოფ. დაშ-ბაშის აღმოსავლეთით და დაშ-ბაშის კანიონის მარჯვენა ნაპირზე, წალკიდან დაშ-ბაშისაკენ მიმავალი გზის სამხრეთით 200 მ დაცილებით (ტაბ. I).

სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანდა ბრინჯაოს ხანის სამაროვანი დაახლ. 50 მეტრის სიგრძეზე. სამაროვანი განფენილია დამრეც ვაკეზე (ტაბ. II-VIII).

2020 წლის 9 სექტემბერს დაფიქსირდა ამ ობიექტის დაზიანების ფაქტი (ტაბ. II – XI), რომლის შესახებ ეცნობა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს.

2020 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა და საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შორის გაფორმდა ხელშეკრულება ამ ობიექტის არქეოლოგიური გათხრების ჩატარების თაობაზე.

საველე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო 02 ნოემბერს და მიმდინარეობდა 17 ნოემბრამდე (13 სამუშაო დღე), ლაბორატორატორიული სამუშაოები წარმართა 17 – 20 ნოემბერს (04 სამუშაო დღე)

წინამდებარე ანგარიში ეხება დაშ-ბაშის კანიონის მიმდებარედ, გაზის მილების გაყვანის დროს დაზიანებული ბრინჯაოს ხანის სამაროვანის არქეოლოგიურ შესწავლას.

**დაშ-ბაშის კანიონის მიღამოებში გამოვლენილ არქეოლოგიური ობიექტებზე ჩასატარებელი  
იყო შემდეგი სამუშაოები:**

1. პუმუსის მოხსნა  $50 \times 5.0$  მ ფართობზე სიღრმით 0,2 მ.
2. სამარხების ქვაყრილის ( $50 \times 5.0$  მ) პრეპარაცია და მიწის გატანა 10 მ-ის დაცილებით ურიკით.
3. სამარხი კამერების პრეპარაცია და მიწის გატანა 10 მ-ის დაცილებით ურიკით.
4. დაზიანებული სამარხების გამოვლენის მიზნით სამშენებლო თხრილის ორივე პროფილის გაწმენდა 50 მ სიგრძეზე.
5. სამაროვნის გათხრისას გამოვლენილი ობიექტების გრაფიკული და ფოტოფიქსაცია.
6. დოკუმენტური ანგარიშის შედგენა.

**სამუშაოებში მონაწილეობა მიიღეს: არქეოლოგებმა, ასისტენტებმა. ანთროპოლოგმა,  
არქიტექტორმა, მხატვარმა. პალინოლოგმა და მუშებმა.**

**სამუშაოთა მიმდინარეობა და შედეგები**

საველე არქეოლოგიური სამუშაოები დაიწყო ა.წ. 02 ნოემბერს. პირველ რიგში მოხდა გაზის მიღებისათვის გაჭრილი თხრილის პროფილების გაწმენდა და მშენებლობის მიმღიმარეობისას თხრილიდან ამოყრილი მიწის გატანა გასათხრელი ფართობიდან.

გაზსადენის მიერ დაზიანებულ არქეოლოგიური მონაკვეთზე სამი თხრილი იქნა გავლებული. ჩვენი მიზანი იყო სამშენებლო სამუშაობის დროს ძეგლის დაზიანების ხარისხის გარკვევა, კულტურული ფენების თანამიმდევრობის დადგენა და გადარჩენილი ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა.

**№1 თხრილი** გავლებული იქნა იმ ფართობზე, სადაც კულტურული ფენები ყველაზე მეტად იყო დაზიანებული. თხრილის სიგრძემ ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე (მცირე გადახრით) 58 მეტრს მიაღწია, სიგანე კი 6 მეტრს უდრიდა.

**№2 თხრილი** წარმოადგენს №1 თხრილის გაგრძელებას სამხრეთით. მისი სიგრძე 32 მეტრია, სიგანე 1.5 მეტრი. თხრილი მოიცავს გაზსადენის იმ მონკვეთს რომელიც მშენებლების მიერ გაუთხრელი დარჩა.

**№3 თხრილი,** წარმოადგენს №1, ძირითადი თხრილის გაგრძელებას ჩრილოეთით. მისი სიგრძე 7 მეტრია, სიგანე 1.5 მეტრი. თხრილი მოიცავს გაზსადენის იმ მონაკვეთს, რომელიც მშენებლობის დროს არ დაზიანებულა.

## თხრილი №1

თხრილი, ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით დაიყო 1 მეტრიან მონაკვეთებად. პუმუსის მოხსნისთანავე თხრილის მთელ ფართობზე გამოჩნდა ცალკეული ქვაყრილები. მათი პრეპარაციის შედეგად გაირკვა, რომ ისინი ეკუთვნოდა ნაგებობებს, სამარხებს და სამეურნეო ორმოებს.

### ნაგებობათა ნაშთები

**№1 კედელი** დაფიქსირდა №1 თხრილის ჩრდილოეთი კიდიდან 16 მეტრის დაცილებით. ის იწყება თხრილის აღმოსავლეთ პროფილთან, მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და თხრილის 28-ე მეტრზე, შედის დასავლეთ პროფილში. კედელი ნაგებია ბაზალტის ქვებით. მისი სიგანე 0.5 – 0.8 მეტრს შორის მერყეობს. ძირითადად შემორჩენილია ქვის წყობის სამი-ოთხი რიგი. კედლის გასწროვ აღმოჩნდა სხვადასხვა არტეფაქტი (ინვ. №№ 13, 19-21), რომელთა მიხედვით კედელი ადრეული შეა საუკუნეებთ შეიძლება დათარიღდეს.

**№2 კედელი** იწყება თხრილის 27-ე მეტრზე, აღმოსავლეთი პროფილიდან, კვეთს თხრილს და დასავლეთ პროფილში შედის თხრილის ჩრდილოეთი კიდიდან 49-ე მეტრის დაცილებით. კედელი ნაგებია ბაზალტის ქვებით, შემორჩენილია წყობის რამდენიმე რიგი. კედლის პრეპარაციისას აღმოჩნდა ობსიდიანის ანატკეცი.

ორივე კედელი დაზიანებულია, ისინი გაჭრილია გაზსადენის მშენებლობის დროს. დღეისათვის მათი ფუნქციის შესახებ მნელია საუბარი. არ არის გამორიცხული, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების გამიჯვნის მიზნითაა შექმნილი. თუმცა, ისინი საკმაოდ ახლოსაა ერთმანეთთან განლაგებული, რაც, თითქოს, ამ ვარაუდს გამორიცხავს.

## ქვაყრილები

№1 თხრილში ორი ქვაყრილი დაფიქსირდა.

№1 ქვაყრილი მდებარეობს №1 თხრილის ჩრდილეთი კიდიდან 5 მეტრის დაცილებით, აღმოსავლეთი პროფილის გასწვრივ. შეღებილია ბაზალტის საშუალო და წვრილი ქვებით, დაზიანებულია. შემორჩენილი დიამეტრი 1.3 მეტრია.

№2 ქვაყრილი თხრილის 39-41 მეტრს შორის დაფიქსირდა. წარმოადგენს ოვალური ფორმის ქვაყრილს, რომლის დიამეტრიც ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე 1.3 მეტრია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე კი 2.0 მეტრი.

ქვაყრილების ქვეშ კულტურული ფენები არ დაფიქსირებულა. ამდენად რთულია მათ თარიღზე და ფუნქციაზე საუბარი.

## სამარხები

№ 1 თხრილში ორი სამარხი დაფიქსირდა. ორივე ძლიერაა დაზიანებული სამშენებლო სამუშაოების დროს. ერთი მათგანი წარმოადგენს აკლდამას, მეორე ქვაყუთს.

## სამარხი №1

გამოვლინდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან 46-49 მეტრის დაცილებით. წარმოადგენს აკლდამის ტიპის სამარხ ნაგებობას. ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია სამარხის ნახევარი. მისი მეორე ნახევარი ექსკავატორის მიერაა დანგრეული.

აკლდამის კედლები შედგენილი ყოფილა ბაზალტის დიდი ფილებით. სამარხი დამსრობილია სამხრეთ-დასავლეთ ჩრდილო-აღმოსავლეთის ხაზზე. სამარხი კამერა კვადრატული ფორმისაა. მისი გარე ზომებია 2.1 X 2.1 მ. ქვების სიმაღლე 0.75 – 0.8 მ-ია. გადახურული ყოფილა ბაზალტის დიდი ფილით, რომელიც ექსკავატორს მოუცლია და სამუშაოების დაწყებისთანავე ამოყრილ მიწაში იქნა ნანახი.

სამარხი კოლექტიური ყოფილა. დღეისათვის დაფიქსირებულია (ანთროპოლოგიური კვლევა არ დასრულებულა) შვიდი მიცვალებულის ჩონჩხის ფრაგმენტები. ძვლები ცუდადაა ემორჩენილი და იშლება, რაც ართულებს მათ კვლევას. კვლევის ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ აკლდამაში სამი მცირეწლოვანი დაუკრძალავთ. ექვსი მიცვალებულის ძვლები აკლდამის ჩრდილოეთ კედელთან არის მიხვეტილი, სამარხის იატაკზე კი ერთი ზრდასრული მიცვალებულის ჩონჩხი დაფიქსირდა, რომელიც მოკრუნჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით ჩრდილოეთით დაუკრძალავთ.

სამარხეული ინვენტარი თიხის ოთხი ჭურჭლით და ტალკის თეთრი მმივებითაა წარმოდგენილი (ინვ. №№1-5). ვფიქრობთ, უკანასკნელად ჩასვენებულ მიცვალებულს მცირე ზომის კოჭობი და ტალკის მბივები ეკუთვნის. თუმცა, არტეფაქტების განლაგება ამის გადაჭრით თქმის უფლებას არ იძლევა. სამარხი ადრებრინჯაოს ხანით თარიღდება და მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება.

## სამარხი №2

გამოვლინდა №1 თხრილის ჩრდილოეთი კიდიდან 50-51 მეტრის დაცილებით, №1 სამარხის სამხრეთით 2.0 მეტრზე. წარმოადგენს ქვაყუთს. მისი გვერდები ბაზალტის ფილებითაა შედგენილი და გადახურულია ბაზალტისავე ფილებით. სამარხი ძლიერაა დაზიანებული, შემორჩენილია სამარხის ნახევარზე ნაკლები.

სამარხი ინდივიდუალურია, მასში ჩასვენებულია ერთი ზრდასრული მიცვალებული მარცხენა გვერდზე, თავით სამხრეთით. სამარხში არტეფაქტები არ დაფიქსირდა. ვფიქრობთ, სამარხის გასწვრივ, ექსკავატორის მიერ ამოყრილ მიწაში დაფიქსირებული არტეფაქტები (ინვ. №№ 7-10) ამ სამარხის კუთვნილებას წარმოადგენენ. სამარხი ადრებრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსის კულტურას მიეკუთვნება.

## თხრილი №2

წარმოადგენს №1 თხრილის გაგრძელებას სამხრეთით. ამ მონაკვეთზე გაზსადენის საჭიროებისათვის ექსკავატორით თხრილი არ ყოფილა გავლებული. ამიტომ გადაწყდა მისი შემოწმება. არქეოლოგიური თხრილის სიგრძე 32 მეტრია, სიგანე 1.5 მეტრი. პუმუსის მოხსნი

შემდეგ, თხრილის მთელ სიგრძეზე უძრავი ფენა დაფიქსირდა. მხოლოდ თხრილის 25-ე მეტრზე დაფიქსირდა ხელოვნური ქვაყრილი, რომლის აღების შემდეგ სამურნეო ორმო გამოვლინდა. ორმო მცირე ზომისაა, მისი პირის დიამეტრი 0.6 მეტრია, მირისა 0.4 მეტრი, სიმაღლე კი 0.5 მეტრს უდრის. ორმო შევსებული იყო ფხვიერი მიწით. ის გვიანდელი პერიოდის საბოძე ორმოს წარმოადგენს.

### თხრილი №3

გავლებული იქნა №1 თხრილის გაგრძელებაზე, ჩრდილოეთით. მისი სიგრძე 7 მეტრია, სიგანე 1.5 მეტრი.

გათხარა №1 არქეოლოგიურ თხრილსა და ექსკავტორით ამოღებულ თხრილს შორის დარჩენილი მცირე მონაკვეთი. პუმუსის მოხსნისთანავე კლდოვანი დედაქანი დაფიქსირდა.

საყურადღებოა, რომ საველე არქეოლოგიური სამუშაოების დროს ობსიდიანისაგან დამზადებული, მეზოლითური ეპოქის იარაღები აღმოჩნდა. ერთი ლამელა დაფიქსირდა №1 თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან 20 მეტრის დაცილებით (ინვ. №24), მეორე კი 55-ე მეტრზე (ინვ. №12). ეს აღმოჩნები მიუთითებს, რომ აქვე ახლოს ამ ეპოქის სადგომი, ან სახელოსნო უნდა იყოს. ამაზე მიუთითებს გათხრების დროს აღმოჩნილი ობსიდიანის არერთი ანატკეცი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ დაშ-ბაშის კანიონის გამოქვაბულებში ქვის ხანის, მათ შორის მეზოლითური ეპოქის არაერთი არტეფაქტია აღმოჩენილი.

### დასკვნა

წალკა-მანგლისის გაზსადენის მშენებლობისას სოფ. დაშ-ბაშის მიმდებარედ გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტი შეიცავს მეზოლითის პერიოდის (დაახლ, 10 000 წლის წინ) რამდენიმე არტეფაქტს, ადრებრინჯაოს ხანის აკლდამას და ქვაყუთს, ადრეშუასაუკუნეების ეპოქის კედლების ნაშთებს, გვიანი შუა საუკუნეების ორ ქვაყრილს.

ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად სამშენებლო ზონა გათავისუფლდა კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებისგან.

ამდენად, შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების გაგრძელება.

## **რეკომენდაცია**

წალკა-მანგილისის გაზსადენის მშენებლობისას, წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020 წელს უკვე დაზიანდა ორი არქეოლოგიური ობიექტი (თბილისი-წალკის სავტომობილო გზის და რკინიგზის ხაზის გადაკვეთასთან და დაშ-ბაშის კანიონის მიმდებარედ), რომლებიც შესწავლილი იქნა საქართველოს ეროვნული მუზეუმის მიერ. რამდენადაც ეს ორი ობიექტი მდებარეობს ერთმანეთთან ახლოს (დაახლ. 4 კმ), ხოლო გაზის ტრანსპორტირების კომპანიის მიერ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს საქმაოდ დიდ მანძილზე (30 კმ-ზე მეტი), სასურველია განხორციელდეს გაზის ტრასის არქეოლოგიური შესწავლა. აღნიშნული მონაკვეთი ნამდვილად შეიცავს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს და მშენებლობამ შეიძლება მათი დაზიანება გამოიწვიოს. ამის ნათელი მაგალითია გოხნარის (აძიკვის) წმ. გიორგის ეკლესიასთან გაზასდენის დროს დაზიანებული ნამოსახლარი ფენები.

## **საბოლოო პროდუქცია**

1. შემსყიდველისთვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია გაფორმდა არქეოლოგიური კვლევის შედეგების დოკუმენტური ანგარიშის სახით.
2. შესრულებული სამუშაოების ანგარიში შემსყიდველს წარედგინა ელექტრონული ვერსიის – კომპაქტური CD დისკის (1 ეგზემპლარი) და მყარი ასლების სახით (2 ეგზემპლარი).

## საველე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა:

1. ჯამი (ინვ. № წ. 35-1.2020), თიხის, კეცი სამფენიანია: შუაფენა ლეგა-მოშავო ფერისაა, ზედა და შიდა ფენა – მუქი ყავისფერი, წვრილი თეთრი მინარევებით კეცში. ზედაპირზე შავი ლაქა აქვს. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი დაბალი, მუცელი თანაბრად გამობერილი, რომელიც უერთდება ოდნავ მომრგვალებული ბრტყელ ძირს. მხარზე ყელის მახლობლად შვერილი აქვს, რომლის მოპირდაპირე მხარეს ორი კოპია დამერწილი. სიმაღლე 12.5 სმ, პირის დმ 18.5 სმ, ძირის დმ 8 სმ. აღმოჩნდა № 1 სამარხის ჩრდილოეთ კედელთან (ჭურჭელი A)
2. ბადია (ინვ. № წ. 35-2.2020), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, მსხვილი თეთრი მინარევებით კეცში, ცუდად გამომწვარი. პირი ოდნავ გადაშლილი და ბაკო მომრგვალებული აქვს, ყელი დაბალი და გამოყოფილია, კალთა ოდნავ მომრგვალებულ ბრტყელ ძირს უერთდება. ყელის მახლობლად ორივე მხარეს მოგრძო შვერილი აქვს დამერწილი. სიმაღლე 13 სმ, პირის დმ 27.5 სმ, ძირის დმ 8 სმ. აღმოჩნდა № 1 სამარხის აღმოსავლეთ კედელთან ცერად მიღებული (ჭურჭელი B).
3. კოჭობი ყურიანი (ინვ. № წ. 35-3.2020), თიხის, გამომწვარია სამ ფენად: შუა ფენა ლეგა-მოშავო აქვს, ზედა და შიდაპირი ღია ყავისფერი, კეცში წვრილი თეთრი მინარევებით, ზედაპირზე შავი ლაქები აქვს. პირი სწორი აქვს, ბაკო მომრგვალებული; ყელი მაღალი და ცილინდრულია, თანაბრად გამობერილი მუცელი უერთდება ოდნავ მომრგვალებულ ბრტყელ ძირს. ყელის გადასვლა მხარზე მკვეთრად წიბოიანია, ყური მიძერწილია პირთან და მხრის წიბოზე. ყურის მოპირდაპირედ მხარზე ორი რელიეფური კოპი აქვს დამერწილი. სიმაღლე 11 სმ, პირის დმ 10 სმ, ძირის დმ 4.5 სმ. აღმოჩნდა № 1 სამარხში, ჭურჭელში ჩაღებული. (ჭურჭელი C)
4. ქოთანი ყურიანი (ინვ. № წ. 35-4. 2020), თიხის, კეცი ორფენიანია: ზედაპირი ლეგა-მოშავოა, შიდაპირი – მოყავისფრო, წვრილმარცვლოვანი თეთრი მინარევებით. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო – მომრგვალებული. ყელი დაბალი ქედითაა გამოყოფილი მხრისაგან. მუცელი უერთდება ოდნავ მომრგვალებულ ძირს. ყური მიძერწილია პირსა და მხრის დასაწყისზე. აღმოჩნდა № 1 სამარხში, ცენტრალურ ნაწილში (ჭურჭელი D).
5. მძივები (ინვ. № წ. 35-5.2020), ტალკის (?), თეთრი ფერის, წარმოადგენს ცილინდრული ფორმის იოტებს. აღმოჩნდა №1 სამარხში, მიხვეტილი მიცვალებულის ძვლებს შორის.


6. ბადიის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ. 35-6.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, კეცი ორფენიანია: ზედაპირი შავი აქვს, შიდაპირი მოწითალო. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ბაკო მომრგვალებული. ყელი მხრისაგან გამოყოფილია რელიეფური ქედით, რომელზეც შემორჩენილია მოგრძო რელიეფური შეკრილი. აღმოჩნდა № 2 სამარხში.
7. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ. 35-7.2020), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, თიხაში შერეულია ქარსი და წვრილი თეთრი მინარევები. შიდაპირზე შემორჩენილია წითელი საღებავის კვალი. აღმოჩნდა №2 სამარხში.
8. ბადიის ფრაგმენტი (ინვ. № წ. 35-8.2020), თიხის, შავად გამომწვარი, ზედა და შიდაპირი მუქი ყავისფერი და ოდნავ ნაპრიალები აქვს. პირი პირი ვერტიკალური აქვს. აღმოჩნდა № 2 სამარხში.
9. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № წ.35-9.2020), თიხის, კეცი ორფენიანია: ზედაპირი შავი აქვს, შიდაპირი მოყავისფრო, წვრილი თეთრი მინარევებით. ყელისა და მხრის საზღვარზე ამოღარული სარტყელია შემორჩენილი. აღმოჩნდა № 2 სამარხში.
10. ჭურჭლის პირ-გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № წ.35-10.2020), თიხის, შავად გამომწვარი, ზედა და შიდაპირი მუქი ყავისფერი აქვს, კეცში წვრილი თეთრი მინარევებით. პირი ოდნავ გადაშლილი აქვს, ყელი მაღალი და ცილინდრულია, რომელიც გადადის მომრგვალებულ მხარში. აღმოჩნდა №2 სამარხში.
11. ანატკეცი (ინვ. № წ.35-11.2020), ობსიდიანის, ეტყობა გამოყენების კვალი. აღმოჩნდა № 2 სამარხის თავზე.
12. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № წ.35-12.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან 55 მ-ზე.
13. ანატკეცი (ინვ. № წ.35-13.2020), ობსიდიანის, 30 ც. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრამდე ფართობზე.
14. ანატკეცი (ინვ. № წ.35-14.2020), ობსიდიანის, 25 ც. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 21 მეტრიდან 40 მეტრადე ფართობზე.
15. ანატკეცი (ინვ. № წ.35-15.2020), ობსიდიანის, 15 ც. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 41 მეტრიდან 50 მეტრამდე ფართობზე.

16. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტი (ინვ. № წ. 35-16.2020), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, ზედაპირზე ორი ამოღარული ხაზით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 0-დან 10 მეტრამდე ფართობზე.
17. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ.35-17.2020), თიხის, მოყავისფროდ გამომწვარი, მსხვილი კენჭებით გეცში. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 0-დან 10 მეტრამდე ფართობზე.
18. ანატკეცები (ინვ. № წ.35-18.2020), ობსიდიანის, 6 ცალი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 0-დან 10 მეტრამდე ფართობზე.
19. ჯამის პირ-გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ.35-19.2020), თიხის, 3 ცალი, მოწითალოდ გამომწვარი, პირი ოვალურგანიველებული და დაბრტყელებული აქვს. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრის დაცილებით მეორე ქვაყრილში.
20. ჭურჭლის გვერდის ფრაგმენტები (ინვ. № წ.35-20.2020), თიხის, მოწითალოდ გამომწვარი, წვრილი თეთრი მინარევებით. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრის დაცილებით მეორე ქვაყრილში.
21. ლურსმანი, ფრაგმენტული (ინვ. № წ.35-21.2020), რკინის, ღერძი ოთხკუთხაგანიველიანი აქვს, თავი ბრტყელი. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრის დაცილებით მეორე ქვაყრილში.
22. ნატეხი (ინვ. № წ.35-22.2020), კაჟის, მოყავისფრო. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრის დაცილებით მეორე ქვაყრილში.
23. ანატკეცები (ინვ. № წ. 35-23.2020), ობსიდიანის. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრის დაცილებით მეორე ქვაყრილში.
24. ლამელის ფრაგმენტი (ინვ. № წ. 35-24.2020), ობსიდიანის. ერთი მხარე დამუშავებული აქვს. აღმოჩნდა თხრილის ჩრდილოეთ კიდიდან სამხრეთით 20 მეტრის დაცილებით მეორე ქვაყრილში.

ტაბულების აღწერილობა

- I. დაშ-ბაშის კანიონი და შემოგარენი.
- II. დაშ-ბაშის კანიონის მიმდებარედ არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რუკა, დაზიანებული სამაროვნის აღნიშვნით.
- III – XII. დაზიანებული არქეოლოლოგიური ობიექტები.
- XIII – XVI. საველე სამუშაოების დასაწყისი
- XVII-XVIII. №№ 1 – 3 თხრილები. საერთო ხედი.
- XIX-XXI. №1 თხრილი. საერთო ხედი.
- XXII-XXIII. სამარხების გახსნის პროცესი.
- XXIV. №№ 1,2 სამარსები. საერთო ხედი.
- XXV. №1 სამარხი გახსნის შემდეგ.
- XXVI. №2 სამარხი გახსნამდე.
- XXVII. №2 სამარხი გახსნის შემდეგ.
- XXVIII-XXIX. №№ 1,2 სამარხების ხედი გახსნის შემდეგ.
- XXX. №1 სამარხი. ფოტოგრამეტრია.
- XXXI №№1,2 სამარხები. ფოტოგრამეტრია.
- XXXII. №№ 1,2 სამარხები. გეგმა.
- XXXIII. №1 სამარხი. ფოტოგრამეტრია.
- XXXIV. №1 სამარხი. გეგმა.
- XXXV. №2 სამარხი. ფოტოგრამეტრია.
- XXXVI. №2 სამარხი. გეგმა.
- XXXVII. №1 სამარსის არტეფაქტები.
- XXXVIII. №2 სამარხის არტეფაქტები.
- XXXIX. №1 თხრიში აღმოჩენილი არტეფაქტები.
- XL. № 1 თხრილის ხედი.
- XLI. ქვაყრილები.
- XLII. № 2 თხრილი. სამეურნეო ორმო.
- XLIII. №1 თხრილი, №1 კედელი.
- XLIV. №1 თხრილი №2 კედელი.
- XLV. №2 თხრილი. საერთო ხედი.
- XLVI. №1 თხრილი №№1,2 კედლების ხედი.
- XLVII. №1 თხრილი. საერთო ხედი. აეროფოტო.
- XLVIII. №1 თხრილი. აეროფოტო.
- XLIX. გაზსადენის თხრილის და არქეოლოგიურად შესწავლილი მონაკვეთი საერთო ხედი. აეროფოტო.
- L. გათხრების ფოტოგრამეტრია.
- LI. გენგეგმა

ଓ আ দ ত ম ক দ ন





1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2

X



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2









1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1




2




1






2


















1-1





obj. № ғ.35-5.2020



ғ.35-3.2020

obj. № ғ.35-4.2020



obj. № ғ.35-1.2020



obj. № ғ.35-2.2020



o63. № V.35-6.2020



o63. № V.35-10.2020



o63. № V.35-7.2020



o63. № V.35-8.2020



o63. № V.35-9.2020



o63. № V.35-19.2020




o63. № V.35-19.2020



o63. № V. 35-16.2020

o63. № V.35-17.2020



o63. № V.35-20.2020





1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2



1



2








L





## დაშ-ბაშის სამაროვნის კრანიოლოგიური მასალა

**დაშ-ბაში** სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში (თრიალეთის სადაბო თემი), მდებარეობს ჭოჭიანის პლატოზე, ზღვის დონიდან 1500 მეტრზე, წალკიდან 2,5 კმ. დაშორებით. 2020 წლის ნოემბერში დაშ-ბაშში გაითხარა ორი ადრებრინჯაოს სამარხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რამდენად ცუდი ნიადაგია წალკის მუნიციპალიტეტში და რა ცუდათაა დაცული ძვლები ამ ტერიტორიაზე.

**სამარხი #1** -დან მოპოვებული მასალა წარმოდგენილია რამდენიმე მცირე ზომის პარკით. მხოლოდ ერთ ცელოფნის პარკში იყო ძლოვანი ნაშთები კბილებთან ერთად. მას ეტიკეტზე ასევე ეწერა მიცვალებული V (სურ. 1). ამ სამარხიდან წარმოდგენილი ძლოვანი ნაშთები არ იძლევა სქესის განსაზღვრის საშუალებას, მხოლოდ შესაძლოა ვარაუდის გამოთქმა (სურ. 1).

თავის ქალა ძალიან დაშლილია. მიწა წებოვანია, ძვლების მიწიდან გათავისუფლება მთლიანად დაშლის ძვალს. მთლიანობაში თავის ქალას 40-ზე მეტი ფრაგმენტი ფიქსირდება, რომლებზეც არც სქესის და ასაკის მადიფერეცირებელი ნიშნები არ აღინიშნება. შემორჩენილ ფრაგმენტებში არის საფეთქლის ძვლის ნაწილი პირამიდა, ანუ os. petrosa, რომლითაც კარგი ხარისხის დნმ გამოყოფენ და დგინდება ზუსტი ბიოლოგიური სქესი. კბილები კარგადაა წარმოდგენილი, მაგრამ ზედა და ქვედა ყბა როგორც თავის ქალას ძვლები არ არის შენარჩუნებული. შემორჩენილია ცალკეული კბილები (ნამარხ მოსახლეობის თავის ქალის ეს ნაწილი სხვა ძვლოვან ნაშთებზე უკეთ ინახება, რადგან კბილის გვირგვინი დაფარულია ემალით ანუ მინაქრით). ზედა ყბის კბილები წარმოდგენილია: საჭრელი - 2 , ეშვი - 1; მცირე საღეჭი- 4 / ; ძირითადი საღეჭი - 2 + 1 ფესვი; ქვედა ყბა საჭრელი - 2 ; ეშვი - 2; ძირითადი საღეჭი 3; მთლიანობაში მათი რაოდენობა 15 კბილი და ფესვი.

**პოსტკრანიალური ჩონჩხიდან დიფერეცირდება:** მარჯვენა ბარძაყის ძვლის დიდი ფრაგმენტი პროქსიმალური ნაწილის გარეშე, ასევე არის ბარძაყის ძვლის სხეულის მცირე ფრაგმენტი, ზედა და ქვედა ეპიფიზების გარეშე; მარჯვენა დიდი წვივის ძვლის ფრაგმენტი პროქსიმალური ეპიფიზით და დიდი წვივის მეორე ფრაგმენტი სხეულით ეპიფიზების გარეშე; მარცხენა მხრის ძვალი დისტალური ნაწილით, რომლის გვირგვინოვან ფოსოში აღინიშნება ხვრელი, მხრის მეორე ფრაგმენტი უფრო

პატარაა და აქვს დიაფიზის მოკლე ნაწილი; არის ასევე ნატეხები ბარძაყის, დიდი წვივის, მცირე წვივის, რომლებიც აღდგენას არ ექვემდებარებიან.

**დისკრეტულად-ვარირებული ნიშნები** მხრის ძვლის ზედა ქვეროკებს შორის ხვრელი (foramen intercondyloideum), რომელიც ნამარხ მოსახლეობაში იმვიაღია.

**პათოლოგიები.** ბარძაყის ძვალზე აღინიშნება პერიოსტიტი, ძვლის საზარდულას დაავადება (ანთება), რომელიც იწყება ძვლის ზედაპირულ შრეზე და შემდეგ მთელს ძვალზე ვრცელდება (სურ. 2)

მინანქრის ბზარები არის კბილების არაკარიოზული დაზიანება ხაზოვანი მოტეხილობების სახით. დასერილი მინანქარი საშიშია და შეიძლება პროგრესირდეს და საბოლოოდ გამოიწვიოს კბილის დაკარგვა. გვხვდება თითქმის ყველა კბილზე.

**დაშ-ბაში, სამარხი # 1.** მიცვალებულის ძვლები სამარხ II a არის მხოლოდ გოროხებათ გაქვავებულ მიწაში (სურ. 3).

**დაშ-ბაში, სამარხი # 1. II** სამარხში არის მიცვალებულის ძვლების ძალიან მცირე ფრაგმენტები (სურ. 3).

**დაშ-ბაში, სამარხი # 1. III** მიცვალებულის ძვლები. სურ. 6-ზე წარმოდგენილია მცირე ზომის ქალასარქველის ძვლები, რომლებიც რესტავრაციას არ ექვემდებარება და არც იძლევა ინფორმაციას დაკრძალულის სქესის და ასაკის შესახებ. ერთადერთი შეიძლება ითქვას ეს ძვლები ბავშვს არ ეკუთვნის (სურ. 3).

**დაშ-ბაში, სამარხი # 1. VI** მიცვალებულის კბილები ახალგაზრდა ინდივიდს ეკუთვნის, ამოჭრილია საჭრელი, ეშვები, მცირე ძირითადი და ძირითადი სარეჭი კბილები. კბილებზე ცვეთა, კარიესი არ აღინიშნება. საჭრელ კბილებზე ნიჩბისებრი ფაორმა და მინანქრის ბზარები აღინიშნება. ინდივიდის ასაკი 13-18 წლის ინტერვალია (სურ. 3).

**დაშ-ბაში, სამარხი # 1. VII** მიცვალებულის ძვლები სამარხში არ არის, მხოლოდ ძვალის კვალი ჩანს გოროხებად გაქვავებულ მიწაში (სურ. 3.)

**დაშ-ბაში, სამარხი # 1.** თიხის ჭურჭლის (A) ზედაპირზე თავის ქალას (ბავშვის მარცხენა შუბლის მცირე გრაგმენტი) და კბილების ფრაგმენტები იდო. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ შუბლის ძვალი ბავშვს ეკუთნის (ასაკი უცნობია), ხოლო კბილების ფრაგმენტები მოზარდს, რადგან ამოჭრილია ძირითადი კბილები, მათ შორის პრემოლარები, რაც იძლევა ასაკს 9-13 წელი. კბილებზე ცვეთა არ აღინიშნება, არის მხოლოდ მინანქრის ბზარები (სურ. 3).

ამრიგად, არსებული მონაცემებით, დაშ-ბაშის #1 სამარხში დაკრძალული №1 ( V) ინდივიდის ძლოვანი ნაშთის მიხედვით ზრდასრული იყო, ხოლო ასაკი თავის ქალას ნაკერების შეზრდის და კბილების ცვეთის მიხედვით 35-45 წელი განისაზღვრა. ამ სამარხში აუცილებელი გახდა დაკრძალულ ინდივითა მინიმალური რაოდენობის განსაზღვრა. ყოველ პაკეტში მოთავსებული კბილები ტიპის, ზედა და ქვედა ყბის მიხედვით აღირიცხა. აქვე განისაზვრა სარმევე და მუდმივი კბილები, ვაწარმოეთ კბილების შედარებითი ანალიზი ზომების და რელიეფის მიხედვით. მთლიანობაში, დაშ-ბაშის პირველ სამარხში მინიმუმ 4 ინდივიდი იყო დაკრძალული. სავარაუდოდ 1) 35-40 წლის ქალი; 2) გაურკვეული სქესის და ასაკის ინდივიდი; 3) 13-18 და 4) 9-13 წლის მოზარდები.

**დაშ-ბაში. სამარხი #2.** სამარხში დაკრძალულია ერთი ინდივიდი. თავის ქალას და ყველა გრძივი ძვალის აღდგენა არ მოხერხდა. ძვლების ვიზუალური დათვარიალებით დაკრძალული ზრდასრული იყო: მხრის ძვალის სიგანე და დელტისებრი ხორცლიანობა, რესტავრირებული შუბლის ძვლის მარჯვენა ფრაგმენტი თვალბუდით, დიდი ტაბუხის ბუდე (57 მმ), დიდი დვრილსებრი მორჩი (47 მმ), მხრის თავის სიგანე (47 მმ), თვალბუდის სიმაღლე (39), თვალბუდის სიგანე (37 მმ), მარჯვენა ბარძაყის ძვლის თავის დიამეტრი დიდი (მარჯვენა 45 მმ., მარცხენა 46 მმ.). ამ ნიშნების საფუძველზე განისაზღვრა დაკრძალულის სქესი. ასაკი განისაზღვრა თხემის ძვლის ფრაგმენტით თავის ქალას გვირგინოვანი და საგიტალური ნაკერების გადაკვეთაზე და კბილების ცვეთის მიხედვით. ამდენად დაშ-ბაშის სამაროვნის მეორე სამარხში დაკრძალული იყო 30-45 წლის მამაკაცი.

**პათოლოგიები:** კარიესი, ემალის ჰიპოპლაზია, სიცოცხლეშივე კბილის დაკარგვა. ზედა ყბაზე მარცხენა გარეთა საჭრელი კბილის არ ამოჭრა. ინდივიდი გამოირჩევა დიდი ზომის შიდა საჭრელის და არაპროპორციულად პატარა გარეთა საღეჭი კბილებით.



სურ.1. დაშ-ბაში, სამარხი 1, პირველი მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები



სურ. 2. დაშ-ბაში, სამარხი 1, ბარძაყის ძვლის პერიოსტიტი



სურ.3. დაშ-ბაში, სამარხი 1, ინდივიდების ძვლის ფრაგმენტები და კბილები თავისი ეტიკეტებით.



სურ.4. დაშ-ბაში, სამარხი 2, მეორე მიცვალებულის ჩონჩხის ძვლები



სურ.5. დაშ-ბაში, სამარხი 2, მეორე მიცვალებულის ტაბუხის ბუდე



სურ.6. დაშ-ბაში, სამარხი 2, მეორე მიცვალებულის ქვედა ყბა



სურ.7. დაშ-ბაში, სამარხი 2, მეორე მიცვალებულის ზედა ყბა



სურ.8. დაშ-ბაში, სამარხი 2, მეორე მიცვალებულის მარჯვენა თვალბუდე



სურ. 9. დაშ-ბაში, სამარხი 2, მეორე მიცვალებულის მარჯვენა თხემის ფრაგმენტი

ა(ა)იპ „სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
„თრიალეთი“

გოდერძი ნარიმანიშვილი, ნინო შანშაშვილი, მარინე კვაჭაძე,  
დიმიტრი ნარიმანიშვილი, გიორგი კარელიძე

დაშ-ბაშის კანიონში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე  
არქეოლოგიური კვლევის I ეტაპის  
ანგარიში

თბილისი

2019

## პროექტის წინა ისტორია

დაშ-ბაშის კანიონი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის (ქციის) ხეობაში, ზღ. დ. 1110-1448 მ. ქალაქ წალკიდან დაახლ. 3 კმ-ზე, სოფ. დაშ-ბაშის (თრიალეთის ახალქალაქი) მიდამოებში (ტაბ. I). წარმოადგენს ბუნების ძეგლს. ბუნების ძეგლი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. შეესაბამება IUCN III კატეგორიას. 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 41 ბუნების ძეგლია. დაშ-ბაშის კანიონი ევროპის კანიონებს შორის ერთ-ერთი დიდი კანიონია.

დაშ-ბაშის კანიონი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით. მის ფერდობებზე მიწისქვეშა წყლების მრავალი გამოსასვლელი და ჩანჩქერია, რაც სრულიად განსხვავებულ მიკროლანდშაფტს ქმნის თავისებური მიკროკლიმატით და ფაუნით. ჰავა ზომიერად ნოტიოა. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა საკმაოდ მაღალია. იანვრის საშუალო ტემპერატურა -4-6, ხოლო ივლისის +16-18 გრადუსია.

ძეგლი მდებარეობს ლავურ მაღლობზე, ვულკანოგენურ ქანებში ჩაჭრილ კალაპოტში. დაშ-ბაშის კანიონი ბუნების ძეგლია და საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია. მისი ფართობია 669 ჰა. სიგრძე 8 კმ-ს აღწევს. დაბა წალკიდან სოფ. არუხლომდე მდინარის ხეობა წარმოადგენს ვიწრო, ღრმად ჩაჭრილ კანიონს, რომლის ფსკერის სიგანე იცვლება 150-დან 400 მეტრამდე. ამ მონაკვეთზე მდინარის ხეობის ფერდობები აგებულია ვულკანური ქანებით და თითქმის ვერტიკალურია. ხეობის ფსკერი ჩახერგილია დიდი ზომის კლდოვანი ნამსხვრევებით. დაშ-ბაშის წყაროების წყლები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ჰიდროკარბონატული მაგნიუმიან-ნატრიუმიან-კალციუმიანია. მდინარის მიმდებრე ფერდობებზე გავრცელებული მცენარეულობა სხვადასხვა სახეობრივი შემადგენლობისაა, რაც განპირობებულია მდინარის ორივე მხარის სანაპირო ტერასების და მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი ფერდობების სხვადასხვაობით. ზღ.დ 1200-1600 მ-ის სიმაღლეზე გავრცელებულია იფნარ-მუხნარ-რცხილნარი ტყის ფორმაცია. ჭალის ტყე, რომელიც მდ. ხრამის ხეობის ძირზეა გავრცელებული, უმეტესად წარმოდგენილია წნორით, შავი ვერხვით და იფანით, რომელსაც ერევა ნეკერჩლის სხვადასხვა სახეობა. ბუჩქოვანი მცენარეებიდან დაფიქსირდა

ჭანჭყატი, მაყვალი, ასკილი. ბალაზოვან საფარში ჭარბად არის ღოლო, ველური პიტნა, ნარი, ჭინჭარი, დიყი და სხვა.

დაშ-ბაშის კანიონში არსებული ბიომრავალფეროვნება ორიგინალურ მიკროკლიმატს ჰქმნის. ის მნიშვნელოვან სამიგრაციო და თავშესაფარ ფუნქციას ასრულებს ცხოველებისათვის. მაღალი ტყის ზონაში ბინადრობს მურა დათვი. მდინარის მიმდებარე ჭალებში და სტეპებში არის კავკასიური მგელი, მელა, ტურა, ტყის კატა, კვერნა, დედოფალა, ევროპული კურდლელი, მინდვრის თაგვი, ტყის თაგვი, წყლის მემინდვრია, თხუნელა, ზღარბი და ღამურისებრი. მდ. ხრამის ხეობაში და მის მიმდებარე მაღალ პლატოზე სათიბებში და სასაძოვრე ტერიტორიებზე დაფიქსირებულ იქნა ფრინველთა შემდეგი სახეობები: ველის კაკაჩა, შავთავა გრატა, ტყის ჭვინტაკა, მინდვრის ბეღურა, მინდვრის ტოროლა, შოშია, მწყერი, გნოლი, კაკაბი, სვავი. ლიტერატურული წყაროების და მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, მდ. ხრამში ბინადრობს თევზის შემდეგი სახეობები: მურწა, მდინარის კალმახი, მტკვრის წვერა, ჩვეულებრივი ქაშაყი, ხრამული და სხვა.

თანამედროვე სოფ. დაშ-ბაში უძველესი ქართული სოფლის - თრიალეთის ახალქალაქის ტერიტორიაზეა გამენებული. თრიალეთის ახალქალაქი მდებარეობდა მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ემანის აღმოსავლეთით, სოფ. ნადვალეთის ჩრდილოეთით. ახალქალაქის ქვეით ქციას ერთვის აბანოს ხევი. „თრიალეთის ახალქალაქი ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. აქ სხვადასხვა დროს თრიალეთის ერისმთავართა, საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა საჯდომი იყო. ბოლო დროს კი, თვით ვახუშტი (ბატონიშვილი) ბაგრატიონსაც, როგორც ამ მხარის მმართველს, ადგილსამყოფელი თრიალეთის ახალქალაქში ჰქონდა“.<sup>24</sup> უდიდესი სიყვარულით აღწერს ვახუშტი თრიალეთს: „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალაზოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა . . . მოსავლით ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა“.<sup>25</sup>

<sup>24</sup>. რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ბეგლები. – მმ №30, 1972, გვ. 69-77.

<sup>25</sup>. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ. 42.

ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვახტანგ VI მეფობის დროს, 1721 წლიდან ქვემო ქართლის გამგებელი და მოწინავე ლაშქრის სარდალია. იმავე წელს მან გივი თუმანიშვილთან ერთად ჩატარა სადროშოს აღწერა, 1724 წელს კი ვახტანგ VI-სთან ერთად საქართველო დატოვა.<sup>26</sup>

1676-1717/24 წლებში ახალქალაქის მოურაობა ეძლევა გერმანიზიშვილებს, როგორც „იმათ მამა-პაპას ქონიათ”. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე (შანავაზ-ხანი), 10 გამომლები და 3 ბოგანო ყმა: მამასახლისი დათუნა, ნადირაშვილი როსება, ნასყიდაშვილი გოგიტა, ლვინიაშვილი ბერია, რევაზაშვილი მახარა, ჩაღრალანიძე სეხნია, ზუბიაშვილი თამაზა, ტერტერაშვილი ასლუა, ხეჩატურაშვილი დათუნა, ლომუაშვილი დათუნა, ბოგანო ნასყიდა მოლაშქრე, ბოგანო ლამაზა მოლაშქრე, ბოგანო გზირი.<sup>27</sup>

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ცხოვრობდა 55 კომლი სომეხი. დღეს აქ მათი შთამომავლები სახლობენ.

ექ. თაყაიშვილის მოგზაურობის დროს ერთ-ერთი სახლის საძირკველში აღმოჩნდა სპილენძის თეფში მხედრული წარწერით, XVII ს-ზე არა უადრესი. მასზე წარწერა იყო: „ქ: ნადირას: შვილი ელისბარისია“. თეფში იყიდა თავადამა ო. აფხაზმა და გადასცა საჩუქრად ტიფლისში ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული საზოგდოების მუზეუმს.<sup>28</sup>

**თრიალეთის ახალქალქი** (ჭაბ. XXX-XLI) გაშენებული ყოფილა მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც მდინარის მიერ წარმოქმნილი კანიონი ყველაზე ღრმაა. ამ ადგილზე აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მდინარე მკვეთრად სამხრეთისაკენ უხვევს და წარმოქმნილია ბუნებრივი კონცხი, რომელიც სამი მხრიდან კანიონის ფრიალო კედლებითაა შემოფარგლული. კონცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მაღალი მთაა. მის წერტე საუკუნოვანი მუხა დგას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა წმინდა ხედ მიიჩნევს, აქვე წმ. სოფიოს ნიშია. ამ მთის ძირში გადის ქ. წალკიდან მომავალი გზა. ეს გზა ძველი არ არის და XIX ს-ში ჩანს

<sup>26</sup>. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. რედ. ე. თაყაიშვილი. მსწრაფლმხეჭდავი „მმობა“ თბილისი, 1907. გვ. VII; ვახუშტი 1941, გვ. IX.

<sup>27</sup>. მასალანი... 1907, გვ. 14-15 ლორთქიფანიძე ო. ქვემო ქართლი, ტ. I-II, თბილისი. 1935, გვ. 286.

<sup>28</sup>. Такайшвили Е. 1913: Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, вып. III. Тифлис. стр. 78

გაჭრილი. ახალქალაქის დასავლეთით ღია სივრცეა, საიდანაც ძველი წალკიდან (დღევანდელი გუნია-ყალა) მომავალი გზა შემოდიოდა, რომელიც ახალქალაქის სამხრეთ ნაწილში გადიოდა და ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებული მცირე კლდეკარით მდ. ქციის (ხრამი) ხეობაში ჩადიოდა.

ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს ამ ადგილებს: „ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა. გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარ რ მეტი, სიგანით რპ მხარი და მეტიცა. ეძანს ქვევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი. უდ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა მას ერთსა დღესა შ“.<sup>29</sup>

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ორი ძველი ქართული ეკლესია იყო. სოფელთან მიახლოვებისთანავე ჩანს მდ. ქციის ქარაფოვანი კლდის კიდეზე, დაბალ ბორცვზე აღმართული წმ. გიორგის ტაძარი. ის ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესია, ნაგებია თლილი ქვით. ეკლესიის გუმბათი არ შემორჩენილა (XX საუკუნეში ჩატარებული რესტავრაციის დროს ეკლესია გადაიხურა სადა კონუსური ფორმის სახურავით). ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი – დასავლეთის მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთის მკლავის დასავლეთ კედელში. ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილია X-XI სს-ის მიჯნით დათარიღებული რამდენიმე წარწერა: სამხრეთის კარის თავზე მდებარე დიდი ზომის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა - „მადლითა ღმრთისაითა ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ ერისთავი.“ აღმოსავლეთის ფასადის მდიდრულად მოჩუქურთმებული სარკმლის საპირეში ჩართულია წარწერა - „ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ-ერისთავი“.

<sup>29</sup>. ვახუშტი 1941, გვ. 41-42.

გარდა ქტიტორთა წარწერებისა ეკლესიას ამკობს მღლოცველთა მოსახსენებელი წარწერები: აღმოსავლეთის ფასადზე ექ. თაყაიშვილი კითხულობს „ქრისტე შეიწყალე მელქისედეკ და შეიღნი“, ნ. შოშიაშვილის მიხედვით: „ქ(რისტე)ე შ(ეიწყალ)ე მ(ე)ლქი(სედეკ) (მალაქია?) და შ(ვ)იღნი“. სამხრეთის კარის ჩარჩოზე, მარჯვნივ თაყაიშვილის მიხედვით წერია - „ქრისტე შეიწყალე მელქისედექ კათალიკოზი“, შოშიაშვილის წაკითხვით - „ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე მ(ე)ლქ(ი)ს(ედე)ქ“. საკურთხევლის სამხრეთის კედელზე - „ქრისტე შეიწყალე ჯაგანა“. ეკლესის სამხრეთ სარკმელს ამკობს ბარელიეფი - ხელის გამოსახულება, რომელსაც ჯვარი უჭირავს; ამ სარკმლის მარჯვნივ მეორე ჯვარია გამოსახული, რომელსაც ამკობს ხუცური წარწერა: „ქრისტე შეიწყალე“. სამხრეთის კარის მახლობლად დეკორატიული ტრომპის ზედაპირზე ანგელოზის რელიეფური გამოსახულებაა წარწერით „წმინდა.“ სამხრეთ კარის ჩარჩოზე, მოსახსენიებელი წარწერის ქვევით მხედრული წარწერაა: „წმინდაი გიორგი ნაქალაქევისა“. ამ წარწერის მიხედვით ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებული.

ექ. თაყაიშვილის აზრით, ეს ეკლესია აგებული უნდა ყოფილიყო ბაგრატ IV მეფობის დროს, XI საუკუნეში, რადგან კათალიკოზი მელქისედეკი და რატი II ლიპარიტ II-ის ძე ცხოვრობდნენ ბაგრატ IV-ის დროს. ნ. შოშიაშვილი და ლ. რჩეულიშვილი დაშ-ბაშის ტაძარს X-XI სს-ის მიჯნით ათარიღებენ.<sup>30</sup> იმის გათვალისწინებით, რომ XI ს-ის დასაწყისში თრიალეთს ბალვაშები დროებით აღარ განაგებენ, დაშ-ბაშის ეკლესიის აგების თარიღად X ს-ის მიწურული (988 წლამდე) უნდა მივიჩნიოთ და რატი I ერისთავთ-ერისთავს დავუკავშიროთ.

ეკლესიის შიგნით ე. თაყაიშვილის დროს ყოფილა მხედრული წარწერებით და ადამიანების, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებით შემკული საფლავის ქვები. ასეთი ქვები ამჟამად ეკლესიის სამხრეთით გვხდება, ძირითადი სამაროვანი კი ჩრდილოეთით, ბორცვის ძირშია გამართული.

<sup>30</sup>. შოშიაშვილი ნ. ლაპიდარული წარწერები. ტ. I. თბილისი. 1980, გვ. 243-246; თაკაშვილი 1913, стр. 74-76; რჩეულიშვილი ლ. რატ ერისთავთ-ერისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქში. - ქართული ხელოვნება. №7, სერია A, 1971, გვ. 111-126; რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ძეგლები. - მმ №30, 1972, გვ. 69-77.

წმ. გიორგის ეკლესიის წინ შეიმჩნევა ციკლოპური ზღუდის ნაშთი. როგორც ჩანს, ციკლოპურ სიმაგრეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით, რადგან სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მისადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა მდ. ქციას ღრმა კანიონი დაქანებული კლდეებით. თრიალეთის მსგავსი ტიპის ციკლოპური სიმაგრეები გვიანბრინჯაორკინის ხანით თარიღდება. ლ. მელიქეთ-ბეგის აზრით, სოფელ დაშ-ბაშის თავზე არსებული ქვათა გროვა მეგალითური სისტემის ციხის ნაშთს წარმოადგენს<sup>31</sup>. ის აღნიშნავს, რომ დაშ-ბაშის წმ. გიორგის ეკლესიის წინ შეიმჩნევა „ციკლოპური ზღუდის ნაშთი: როგორც ეტყობა, ციკლოპურ ციხეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით (ტაბ. 19), რამდენადაც სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მისადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა ღრმა ხრამი დაქანებული კლდეებით“. ამ ზღუდის ანალოგად მას მიაჩნია ჰორომის სადგომი სომხეთში<sup>32</sup>.

სოფლის დასავლეთ ნაწილში, წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე ღვთისმშობლის ეკლესია დგას. ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას XIX ს-ში ეკლესია აუშენებდა. ის დღეს დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ აფსიდი და სამხრეთი კედელი. ეკლესიაზე ყოფილა წარწერები, რომელიც დღეისათვის შემორჩენილი არ არის. XIX საუკუნის ბოლოს, როცა ექ. თაყაიშვილმა აღწერა დაშ-ბაშის ეკლესიები, ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე შემორჩენილი იყო ცხრასტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტი, თაყაიშვილმა გაარჩია მე-3 და მე-4 სტიქონები: „ღმერთო ადიდე ერისთავთ-ერისთავი რატი“. შოშიაშვილი ამატებს მე-5 და მე-9 სტიქონების ნაწილს „... ადიდენ ღმერთმან ერისთავთ-ერისთავი რატი ... ელთა (ახალქალაქელთა?) ... ენი კდ“: ამავე კარის მარცხნივ ამოკეთილ ხუთსტრიქონიანი წარწერიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი გრაფემა. წარწერიანი ქვა ყოფილა ეკლესიის ეზოშიც (ქვა ექ. თაყაიშვილმა ჩამოიტანა თბილისში და გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს. ქვა ამჟამად დაკარგულია). მასზე თაყაიშვილი კითხულობს: „ქრისტე, სახელითა ღმრთისათა ჩუენ ახალქალაქელთა დაუწერეთ დაწერილი და შეწირული, შენგან კითხვითა(?) რატ ერისთავთ-ერისთავისა... “. წარწერის სრული ტექსტი „ქრისტე, სახელითა ღმრთისა თა ჩუენ, ახალქალაქელთა დაუწერეთ დაწერილი და

<sup>31</sup>. მელიქეთ-ბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი. 1938, გვ. 13.

<sup>32</sup>. მელიქეთ-ბეგი 1938, გვ. 54.

შეწირული, შენგან კითხვითა რატ ერისთავთ-ერისთავისა: წირვიდნენ ჯუარისა საყდრისა. ვინ აღმოიკითხოთ დაწერილი ...თა. ვინ...“<sup>33</sup> ამ წარწერიდან ნათელია, რომ ზემოხსენებული ეპლესია აგებული, ან განახლებული უნდა ყოფილიყო ახალქალაქელების, ან ახალქალაქელების პატრონის მიერ რატ ერისთავთ-ერისთავის დროს. უეჭველია, რომ წმ. გიორგის ეპლესის წარწერებში მოხსენიებული რატი და ღვთისმშობლის ეპლესის წარწერის რატი ერთი და იგივე პირია.

ადგილობრივმა მოსახლეობამ უკანასენელ წლებში გაასუფთავა ეპლესის ინტერიერი და ეზო. არქიტექტურული დეტალები და ძველი სამშენებლო ქვები დასაწყობებულია ეპლესის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ღვთისმშობლის ეპლესია წმ. გიორგის ეპლესის თანადროული უნდა იყოს.

წმ. გიორგის ეპლესია მეორე ეპლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით, მთაზე დგას. ეპლესია აშენებულია თანაბარი ზომის დამუშავებული ქვის კვადრებით, კედლების წყობაში გამოყენებულია ძველი ეპლესის ქვები. იგი წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთით ნახევაწრიული აფსიდით. აფსიდში ჩრდილოეთ მხარეს ნიშია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, იგი არქიტრავულია. შესასვლელის თავზე ჩაშენებულია ქვა ჯვრის გამოსახულებით. სარკმლები გაჭრილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედელში. კარნიზად გამოყენებულია ძველი ეპლესის კარნიზები. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა, რომელზეც ძველი კაპიტელი დევს, აქვეა ქვაჯვარის ერთ-ერთი მკლავი, რომელზეც ჯვრებია ამოკვეთილი. ეპლესის მახლობლად სამი თანამედროვე ნაგებობა დგას. ერთ-ერთს წმ. პავლეს სამლოცველოს უწოდებენ. წმ. გიორგის ეპლესია აგებულია VIII-IX ს-ში, გადაკეთებულია XIX ს-ის მეორე ნახევარში ბერძნების მიერ.

სოფ. დაშ-ბაშის სკოლის ეზოში დიდი სამაროვანი მდებარეობს. აქ 1937-38 წლებში გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV ათასწლეული), გვიანი ბრინჯაოს ხანის, ანტიკური ეპოქისა და ადრეული შუასაუკუნეების სამარხები.<sup>34</sup> ამჟამად სკოლის ეზო

<sup>33</sup>. Такаишвили 1913, стр. 77-78; შოშაშვილი 1980, გვ. 247-248.

<sup>34</sup>. Куфтин, дневник 1939 года, стр. 18, 42.

მოსწორებულია, დიდი ნაწილი უკავია სპორტულ მოედანს. სამარხების კვალი მიწის ზედაპირზე არ შეინიშნება.

სოფ. დაშ-ბაშში, მთის სამხრეთ ძირთან, სადაც ციკლოპური გალავნის ნანგრევებია, გვიანრომაული და სასანიდური პერიოდის სამაროვანზე 1936 წელს აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის („მტკვარ-არაქსის“ კულტურა) სამარხი. სამარხი წარმოადგენს ქვის ფილებით მოგებულ ქვაყუთს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ვერტიკალურად დაყენებული ქვა ზღუდავდა. მისი ზომებია 1.1 X 1,5 მ. გადახურული იყო დიდი ქვით. მიცვალებულის ჩონჩხი უწესრიგოდ იყო დალაგებული, მისი თავის ქალა და ყბა ორ სხვადასხვა ჯამში იდო. ძვლები იმდენად ცუდად იყო შემონახული, რომ ძნელია საუბარი, იყო აქ მეორადი დაქრძალვა, თუ დარღვეულია პირველადი.<sup>35</sup> ინვენტარს 7 თიხის ჭურჭელი წარმოადგენდა, რომლის მიხედვით, სამარხი ძვ.წ. III ათასწლ. პირველი ნახევრით დათარიღდა.<sup>36</sup>

სოფ. დაშ-ბაშის სკოლასთან 1936 წელს გაითხარა სამი ქვაყუთი. პირველი წარმოადგენდა გრძელ და ვიწრო ქვაყუთს, რომელიც 6 ქვის ფილისგადნ შედგებოდა. მიცვალებულის კარგად შენახული ჩონჩხი ზურგზე იყო გამოტილი. ინვენტარი არ იყო ჩატანებული. ორი სამარხი გაითხარა ერთმანეთთან ახლოს, სკოლიდან ჩრდილო-დასავლეთით, სკოლის მოედანზე. ორივე წარმოადგენდა 4 ქვის ფილისგან შემდგარ მოკლე ქვაყუთს. მათ გადახურვა არ ჰქონდათ. ორივეში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ მოკრუჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ინვენტარს წარმოადგენდა წითლად გამომწვარი ღოქები, მუქი ფერის კოჭობი და ერთ-ერთში იდო რკინის შუბი.<sup>37</sup> სოფ. დაშ-ბაშთან აღმოჩნდა აგრეთვე, ძვ.წ. V-IV სს-ის მცირე ზომის 3 ქვაყუთი.<sup>38</sup>

მდ. ზრამის კანიონში მღვიმე-ქვაბთა კომპლექსებია გამართული. მღვიმე-ქვაბთა კომპლექსები გამოკვეთილია ქარაფოვან კლდეში. მღვიმეთა პირველი კომპლექსი კანიონის დასაწყისშივეა (ტაბ. IV).

<sup>35</sup>. კუფტინ ბ. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941, стр. 117.

<sup>36</sup>. ჯორჯიკაშვილი ლ., გოგაძე ე. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тбилиси. 1974, с. 6.

<sup>37</sup>. კუფტინ 1939, стр. 42.

<sup>38</sup>. გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები. ტ. III. თბილისი. 1982, გვ. 57-59.

დაშ-ბაშის კანიონი წალკის ხიდთან იწყება და სოფ. დაშ-ბაშთან სრულდება (ტაბ. I-XIV). ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ქცია „თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების“.<sup>39</sup>

მდ. ქციაზე გადებული წალკის ძველი ხიდის ჩრდილოეთ ბურჯში ჩაშენებულია ეკლესიის ქვები, მათ შორის ასომთავრულწარწერიანი ქვა (ტაბ. III). ერთ-ერთი წარწერა ექ. თაყაიშვილმა ასე წაიკითხა: „სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ წმიდავ ეს ეკლესია, საყოფელი წმიდისა ღემეტრე მოწამისა, სალოცავად, აცოცხლენ ღმერთმან, საგარეოს(?) შინ(ა) ჟამთას ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ“. წარწერას ექ. თაყაიშვილი 1059-1072 წლებში, ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის ტიტულისა და მისი გადაცვალების თარიღებს შორის ათავსებს. „რაც შეეხება მირიანს, როგორც ჩანს, ის იგივე მირიან თარხონის ძე უნდა ყოფილიყო, რომელიც წინა წარწერაშია (მანგლისთან ნაპოვნი გ.ნ) მოხსენიებული“. მირიან თარხონის ძის აგებულად მიაჩნია მას ვერის ეკლესია, ასევე ქალაქი და სასახლე ატენის სიონის მახლობლად, რაზეც მისი აზრით ატენის სიონზე ამოკვეთილი წარწერა მიუთითებს.<sup>40</sup>

იმავე ბურჯის ერთ-ერთ ქვაზე შემდეგი წარწერაა: „მამად მთავარი წურწყაბელი ერისთავი გრიგოლ... (სუ)ლსა მირიანის მშობელთ სასუფეველსა შნსა“. გრიგოლ წურწყაბელი, ექ. თაყაიშვილის აზრით, ერისთავიც იყო და ეპისკოპოსიც, მსგავსი საერო უფლებებით სარგებლობდა ტბეთის ეპისკოპოსიც. მეფის კურთხევის დროს წურწყაბელი ეპისკოპოსი მეთორმეტე ადგილზე იყო. ექ. თაყაიშვილის აზრით, ხიდის მშენებლობისას გამოყენებული ქვები შესაძლებელია მოზიდეს სოფ. გუნია-ყალადან (ისტორიული წალკა), სადაც უნდა მდგარიყო წალკელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო უნდა ყოფილიყო ამ რეგიონში.<sup>41</sup>

კანიონის დასაწყისშივე, ხიდიდან 50 მ-ის დაცილებით, მდინარის მარცხნა ნაპირზე გამოქვაბულია (ტაბ. IV). 1936 წელს მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა ბ. კუფტინმა და მეზოლითური ეპოქის იარაღები მოიპოვა, თუმცა ქვედა ფენებამდე არ დასულა.<sup>42</sup> იგი

<sup>39</sup>. ქართლის ცხოვრება IV, 1973, გვ. 219.

<sup>40</sup>. Такаишвили, 1913, стр. 68-72.

<sup>41</sup>. Такаишвили 1913, стр. 72-73.

<sup>42</sup>. Куфтин, дневник 1936 года, стр. 51-52.

წარმოადგენს ბუნებრივ გამოქვაბულს, რომელიც გაჭრილია მდინარის კლდოვან, ციცაბო ნაპირზე. იგი წარმოადგენს ბუნებრივ გამოქვაბულს, რომელიც გაჭრილია მდინარის კლდოვან, ციცაბო ნაპირზე. ამ ადგილიდან იწყება კლდეში ნაკვეთი და ბუნებრივი გამოქვაბულების მთელი სისტემა, რომელიც მდინარეს თითქმის შესართავამდე მიუყვება.

წალკის კანიონში (ეძანი, ბარმაქსიზი) 1936 წელს ბ. კუფტინმა ზედა პალეოლითური (ეპიპალეოლითური) გამოქვაბული გათხარა. პალეოლითური სადგომი წარმოადგენს მოედანს კლდის ქვეშ არსებულ ღია გამოქვაბულში. გათხრები წარმოქული იყო მის შუა ნაწილში, რომელიც ებჯინებოდა იქ არსებულ ღორის სადგომის ქვის კედელს. ღორის სადგომი მხოლოდ ერთი წელი არსებობდა ამ გამოქვაბულში, მაგრამ საკმაოდ დააზიანა მიწის ზედაპირი.<sup>43</sup> ბ. კუფტინის აზრით, ხრამის ხეობაში არსებული მრავალრიცხოვანი გამოქვაბულების კვლევა დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს და სავარაუდოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ეტაპებს და ფაზების მთელ სერიას ადგილობრივი ზედაპალეოლითური ინდუსტრიის განვითარებაში.<sup>44</sup> გამოქვაბულში მოპოვებული ქვის ინდუსტრია ძირითადად ობსიდიანი იარაღებით არის წარმოდგენილი, რომელიც სავარაუდოდ ფარავნის ტბისკენ მიმავალ უღელტეხილზე მოიპოვებოდა. წითელი და ნაცრისფერი კაჟის იარაღი უფრო ხშირად ობსიდიანი იარაღის ფორმებს იმეორებენ. ობსიდიანის იარაღის უმრავლესობა საშუალო და მცირე ზომის ლამელებს წარმოადგენენ, მათ დაბოლოვებაზე ხშირად საფხეკებია წარმოდგენილი, ერთგვარი კომბინირებული იარაღებია. გვხვდება სფერული ნუკლეიდური იარაღი მოკლე ფაცეტებით, აგრეთვე სეგმენტისებური ლამელები, ზოგჯერ მათი მინიატურული სახეობა. გამოქვაბულში აღმოჩნდა რამდენიმე ასეული ობსიდიანის და კაჟის იარაღი. ოსტეოლოგიური მასალა ძირითადად ცხენის ძვლებით და კბილებითაა წარმოდგენილი. საგარაუდოდ, პალეოლითში, დიდი ზომის ველური ცხენი წალკაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და ძირითადად სანადირო ცხოველს წარმოადგენდა.<sup>45</sup>

წალკიდან იწყება კლდეში ნაკვეთი და ბუნებრივი გამოქვაბულების ახალი სისტემა, რომელიც მდ. ქცია/ხრამს თითქმის შესართავამდე მიუყვება.

<sup>43</sup> Куфтин 1936 стр. 135-136

<sup>44</sup> Куфтин 1936, стр. 43

<sup>45</sup> Куфтин 1936, стр. 44

გამოქვაბულთა მეორე კომპლექსი მდ. ქციაზე არსებული პირველი ჩანჩქერის დასვლეთითაა (ტაბ. VI). ის ძლიერაა დაზიანებული. მის დასავლეთით, მდ. ხრამის კანიონის თავზე ნასოფლარი მარიამი. ის მდებარეობს ქ. წალკის ზიდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5-ის კმ დაცილებით, სამანქანო გზის პირას, სოფ. ახალიკის გადასახვევთან. ი. ლორთქიფანიძის მიხედვით სოფ. მარიამი, ან მარიამი მდებარეობდა „ქციის მარცხნა მხარეზე, გარყლოფის სამხრეთით, აბანოს ჩრდილო-დასავლეთით. 1719 წლის სიგელის მიხედვით მოსაზღვრეა, თრიალეთის სოფლის ჩრდილისუბნის, მებატონეა გოსტაშაბაშვილი. ტოპონიმი მერიემი (მარიამი), გვხვდება სამხრეთ საქართველოში „დიდი არტაანის ლივაში“. ს. ჯიქიას აზრით, ამ სოფელში იქნებოდა ღვთისშობელის ეკლესია.

1591 წელს სოფ. მარიამის ნახევარი ებოძა იოანე ბარათაშვილს, 1693 წელს მეფე ერეკლე I უთარხნებს ჰაპუნა გოსტაშაბაშვილს თრიალეთში ნასოფლარ მარიამს. 1713 წლისათვის სოფელი აღდგენილი ჩანს, რამდენაც აქ გოსტაშაბაშვილებს ჰყავდათ 19 გამომდები და 3 ბოგანო ყმა. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე - გოსტა-შაბიშვილი, 8 გამომდები და 3 ბოგანი ყმა. გოსტაშაბაშვილი ამიღლაბარის ყმები იყვნენ: მამასახლისი ივანე, ლომიტაშვილი გიორგი, აბროსაშვილი შერმაზანა, ზაალაშვილი ბერია, კონიაშვილი ბასილა, კონიაშვილი გიორგი, ლომიტაშვილი დათუნა, იაშვილი ქიტია, ბოგანო ბერია მოლაშქრე, ბოგანო ბასილა, ბოგანო თანდილა.

ნასოფლარის ტერიტორიაზე 1990 წლამდე მხოლოდ ძველი ეკლესიის ქვებით შედგენილი ტრილითის ფორმის ნიში იდგა, რომლის ერთ-ერთ ქვაზე ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი იყო შემორჩენილი. 1991 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ნიში მოარღვია და წმ. დიმიტრის სამლოცველოს მშენებლობა წამოიწყო. ამ ტერიტორიაზე ჩატარდა მცირე არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც დაღინდა ძველი ეკლესიის გეგმა, აღმოჩნდა სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი და წარწერიანი ქვები, რომლებიც ეკლესიის საკურთხეველში იქნა მოთავსებული. სამლოცველოს მშენებლობა 1993 წელს დასრულდა. წარწერიანი ქვები ჩაშენებულ იქნა სამლოცველოს კედლებში. მოგვიანებით სამლოცველო შელესეს და შეათეთრეს ისე, რომ წარწერები აღარ ჩანს. ეკლესიის ეზოში ადამინისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებით შემკული საფლავის ქვები და ქვაჯვარის ბაზისია. ნასოფლარის ტერიტორიაზე, 1936 წელს ბ. კუფტინმა შუასაუკუნეების 6

უინვენტარო ქვაყუთი გათხარა.<sup>6</sup> ოდნავ ქვევით, წალკისაკენ მიმავალი გზის პირას კი ადრებრინჯაოს ხანის სამარხი გათხარა.

ნასოფლარი მდ. ხრამის კანიონამდე ვრცდელდება. ნაგებობათა ნაშთები, გზები და მცირე მოედნები ზედაპირზევე შეინიშნება. თუ არქეოლოგიურ მონაცემებს გავითვალისწინებთ ამ ტერიტორიაზე ადამიანს ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით უცხოვრია. ეს ნასოფლარი ერთ-ერთი ყველაზე დიდია ისტორიულ თრიალეთში.

მღვიმე-ქვაბთა მესამე კომპლექსი კანიონის მარცხენა და მარჯვენა ნაპირების დამაკავშირებელი გრუნტის გზის დასავლეთითაა (ტაბ. VII-X). გამოქვაბულთა ეს კომპლექსი შვიდ ტერასაზეა განთავსებული.

პირველ ტერასაზე შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი. ამ ტერასის გამოქვაბულები გამოქვაბულები გეგმაში მომრგვალო ფორმისაა. ყველას აქვს თითო კარი. დიდ გამოქვაბულებს სარკმელიც აქვთ დატანილი. ზოგიერთი გამოქვაბული თითქოს ორსართულიანია. თუმცა, დღეს მეორე სართულზე ასვლა შეუძლებელია. აქ მოხვედრა სოფ. ახალიკის მხრიდან არის შესაძლებელი. ეს კომპლექსი არქეოლოგიურად პროფ. 6. ბახტაძე შეისწავლა და განვითარებული შუასაუკუნეებით დაათარიღა. ზოგიერთი მღვიმის იატაკის ქვეშ უფრო ადრეულ ფენებსაც მიაგნო და ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებიც მოიპოვა.

გამოქვაბულთა მეოთხე კომპლექსი მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, სოფ. დაშ-ბაშის მოპირდაპირებაა განლაგებული (ტაბ. X-XI).

მღვიმე-ქვაბთა მესუთე კომპლექსი მდ. ქციის მარჯვენა ნაპირის ქართვებშია გამოკვეთილი. ისინი ძირითადად „თრიალეთის ახალქალაქის“ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია განთავსებული, იქ სადაც ე.წ. ციკლოპური კედელია გამართული.

მეექვსე კომპლექსი მდინარის გაყოლებით, მდ. აბანოსხევის მიდამოებშია დაფიქსირებული, იქ სადაც აბანოსხევი და მდ. ხრამი ერთმანეთს ერთვიან (ტაბ. XII-XIII). აქ, დაშ-ბაშის კანიონის თავზე ნასოფლარი ბაბია მდებარეობს. ის სოფ. კოხტას სამხრეთით, მდ. ხრამის ქარაფოვან ნაპირზე ყოფილა გაშენებული. ნასოფლარის სოფლის განაპირას, ხრამის ქარაფებში, იქ სადაც მდ. აბანოსხევი ჩამოდის გამოქვაბულთა VI კომპლექსია გამართული.

ვახუშტის რუკაზე, თანამედროვე სოფ. კოხტას მიდამოებში აღნიშნულია ორი სოფელი ბაბია, სოფ. ატამეთი და სოფ. ჩრდილისუბანი. ჩვენი აზრით, დიდი ბაბია უნდა იყოს სოფ. ხარებას ჩრდილოეთით არსებული ნასოფლარი, სადაც ახლა წმ. კონსტანტინეს ეკლესია დგას. მეორე ბაბია კი დღევანდელი სოფ. კოხტას სამხრეთით უნდა ყოფილიყო, სადაც ღმრთისმშობლის ეკლესია მდებარეობს.

ნასოფლარი დიდი ბაბია მდებარეობს სოფ. ახალიკის სამხრეთით 1,0 კმ და სოფ. ქვემო ხარაბას ჩრდილოეთით 1,0 კმ დაცილებით, სოფ. ახალიკიდან სოფ. ქვემო ხარაბასაკენ მიმავალ გზაზე, რომელიც მას შუაზე კვეთს. ი. ლორთქიფანიძის მიხედვით ბაბია მდებარეობდა „აბანოს ხევის მარცხნა მხარეზე, სოფ. აბანოს აღმოსავლეთით, ატამეთის ჩრდილო-დასავლეთით.“

1543 წელს ფარიშატ გერმანოზიშვილს ერგო დიდი ბაბია და ნასოფლარი ბაბია. ეს ნასოფლარი ვახუშტის დროს ისევ დასახლებული ჩანს. 1721 წლის აღწერილობით ამ სოფელში ითვლებოდა 3 მებატონე (გერმანოზიშვილები და ვარაზაშვილი) და 4 გამომღები ყმა: გერმანოზიშვილი დათუნასი - სამნაშვილი თამაზა, მირიჯანაშვილი მახარა; გერმანოზიშვილი ოთარის - მეხრიშვილი ბერუა; ვარაზაშვილის ლუარსაბის - სამადაშვილი ბერუა.

ნასოფლარი დაფარულია მიწით. მისი ტერიტორია სათიბადაა გამოყენებული. ნასოფლარს სოფ. ახალიკიდან სოფ. ქვემო ხარაბასაკენ მიმავალი გზა კვეთს, რომლის პირასაც წმ. კონსატანტინეს ეკლესია დგას.<sup>4</sup> ნასოფლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას, ფერდობზე. იგი წარმოადგენს მცირე დარბაზულ ნაგებობას. ძველი, შუა საუკუნეების ეკლესია საფუძვლიანადაა გადაკეთებული ბერმების მიერ. შეინიშნება უახლესი შეკეთების კვალიც. კედლები ნაგებია მცირე ზომის ცუდად დამუშავებული ქვით, დუღაბზე. გადახურულია თუნექით. ინტერიერში დაცულია ქვაჯვარის ფრაგმენტი, ბაზისი და ტრაპეზის ქვა. ეკლესია შემოფარგლულია ქვის ზღუდით, რომელშიც კარია დატანებული. კარებში, ზღუდის ორივე მხარეს ქვაჯვარის ბაზისები და არქიტექტურული დეტალებია ჩაშენებული. ეკლესიის ეზოში ძველი საფლავების ქვებია, მათ შორის ცხენის ქანდაკება.

გამოქვაბულთა VII კომპლექსი ნასოფლარ კისიას მიდამოებში მდებარეობს. სოფ. დაშ-ბაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების გზის პირას ნასოფლარია. ის მდ. ხრამის

მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ჩვენი აზრით, ეს ნასოფლარი ვახუშტის სოფლების ჩამონათვალში აღნიშნული სოფ. კისია უნდა იყოს. ნასოფლარი მდებარეობს თრიალეთის ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3,5 კმ-ის დაცილებით. ახალქალაქიდან დღესაც ჩამოდის საცალფეხო გზა. თუმცა, ალაგ-ალაგ შეინიშნება საურმე გზის ნაშთებიც. ნასოფლარი შეფენილი ყოფილა ციცაბო კლდის ძირში არსებულ ფერდობზე. იგი დაზიანებულია უკანასკნელ წლებში გახსნილი ქვის დასამუშავებელი კარიერის და მისკენ მიმავალი გზის გაჭრის დროს. გზის მშენებლობის დროს ფერდი ჩამოჭრილია 4-5 მ სიმაღლეზე, სადაც კარგად ჩანს კულტურული ფენები, რომელთა სიმბლავრე 2-3 მ აღწევს. ფენებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სოფელი ძლიერი ხანძრის შედეგად არის განადგურებული.

ახალი გზის პირას, კარიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 მ დაცილებით წმ. დიმიტრის ეკლესია მდებარეობს. ნასოფლარი განლაგებულია ეკლესიის გარშემო, თუმცა ძირითადი ნაწილი მისგან დასავლეთით მდებარეობს. იგი დარბაზულია, ნაგებია ბაზალტის ქვით, დუღაბზე. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა. შესასვლელი არქიტრავულია და სამხრეთიდანაა გაჭრილი. ეკლესია გვიან შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა დასახლება აქ უფრო ადრე ჩანს გამართული.

ნასოფლარის განაპირას, მდ. ხრამის კანიონის ბაზალტის მასივში მღვიმეთა კომპლექსია (გამოქვაბულთა მეშვიდე კომპლექსი). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ბუზხანას“ უწოდებს, რაც ყინულის მოსაპოვებელ ადგილს ნიშნავს. ჩანს, რომ ფრიალო კლდის ძირას შეკვეთილია გამოქვაბულები, საიდანაც ყინულს იღებდნენ.

ამდენად, წინამდებარე ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია დაშ-ბაშის კანიონის, სოფ. დაშ-ბაშის და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განლაგება და მათი თანამედროვე მდგომარეობა. მოკლედაა მიმოხილული ყველა ის ძეგლი, რომლებიც დაშ-ბაშის კანიონში მდებარეობენ.

ქვევით კი განხილულია ა(ა)იპ „სიძველეთა დაცვის და შესწავლის ცენტრ – თრიალეთსა“ და შპს „კას ლენდს“ შორის 2019 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მონაკვეთებზე ჩატარებული I ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები, წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები.

## I ეტაპით განსაზღვრული სამუშაოები

1. შესასწავლი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერა.
2. ობიექტის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალების შესწავლა. კერძოდ - სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში – ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აეროფოტომასალები) მოძიება.
3. შესწავლის ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი.
4. შესწავლის ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმის შედგენა.
5. არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემის და ანაზომის შედგენა.
6. კროკების შედგენა.
7. არტეფაქტების ჩახატვა და მათი ფოტოფიქსაცია.
8. შესრულებული სამუშაოს ტექსტური აღწერილობის შედგენა.

## საველე სამუშაოები:

შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო ტერიტორია სამ დამოუკიდებელ ფართობს მოიცავს. შესაბამისად, ისინი სამ არქეოლოგიურ უბნს მიეკუთვნა - I უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.527); II უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.19.23.239); III უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.526).

საველე სამუშაოები განხორციელდა ა(ა)იპ სიძველეთა დაცვის და შესწავლის ცენტრ – თრიალეთსა“ და შპს „კაას ლენდის“ შორის 2019 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და სამ უბანზე წარიმართა:

**I უბანი** მდებარეობს ქ. წალკიდან სოფ. დაშ-ბაშისაკენ მიმავალი საავტომობილი გზის პირას. ეს ტერიტორია (28 227 მ<sup>2</sup>) მოქცეულია გზასა და მდ. ქციას მარჯვენა ნაპირის კანიონს შორის (ტაბ. XV-XIX). ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების დროს I უბანზე არქეოლოგიური ობიექტები არ დაფიქსირდა. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დაშ-ბაშის კანიონის კიდიდან, იქ სადაც შპს „კაას ლენდის“ კუთვნილი ტერიტორიის საზღვარია, მდ. ქციას ნაპირებამდე ტერასები შეინიშნება, რომლებზეც ანთროპოგენული ზემოქმედების ნიშნები ჩანს. ამდენად, ხიდის ბურჯის მშენებლობისას არქეოლოგიური მეთვალყურეობა იქნება საჭირო. ისიც შესაძლებელია, რომ ბურჯის ადგილი არქეოლოგიური სადაზვერვო თხრილებით იქნას შემოწმებული.

**II უბანი** მდებარეობს მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე, დაშ-ბაშის კანიონის თავზე (ტაბ. XX-XXVIII). ტერიტორია (6 000 მ<sup>2</sup>) განთავსებულია უშუალოდ კანიონის ნაპირზე და ტერასულადაა განლაგებული – ზედა, ჩრდილოეთი ნაწილი გამლილი ველის კიდეს წარმოადგენს, ქვედა კი დაახლ. 4-6 მ-ით დაბლაა და მცირე ტერასას (VII) ქმნის. კანიონის ეს მონაკვეთი გამოქვაბულთა III კომპლექსის შემადგენლობაში ექცევა. მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე, დაშ-ბაშის კანიონის ძირიდან თავამდე VII ტერასა ფიქსირდება. ყველა ტერასაზე გამოქაბულები და ეხებია განთავსებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოქვაბულთა ამ კომპლექსებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში მიიქცია ყურადღება. 1949 წ. წალკის მიდამოებში, მდ. ხრამის კალაპოტში არქეოლოგიურ დაზერვებს აწარმოებდნენ გ. ლომთათიძე და ო. გძელიშვილი. მათ ხეობის გაყოლებაზე გამოკვეთილი გამოქვაბულების წინ და თარო კლდებზე აკრიფეს ობსიდიანის ანატეპები და ბრინჯაოს ხანის შავი კერამიკა.<sup>46</sup>

ქვემო ქართლის კლდის ძეგლების მიზანმიმართული კვლევის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეცნიერთა აკადემიის პრეზიდიუმის სპელეოლოგიური კომისიის მიერ 1960-1961 წლებში ჩატარებული ექსპედიციები. სპელეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა კ. ჯავრიშვილმა პირველად გამიჯნა ერთმანეთისაგან მდ. ხრამისა და მისი შენაკად ხეობათა მღვიმეები და ხელოვნური გამოქვაბულები. გარდა ამისა მან მოგვცა კლდის ძეგლთა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით განხილვა და მათი ჭიპოლოგიურად დაჯგუფება. კ. ჯავრიშვილმა ამ რეგიონის გამოქვაბულთა კომპლექსების აბსოლუტური უმრავლესობა ფეოდალური ხანის თავდაცვით სისტემებად – ციხე-ქვაბებად მიიჩნია.<sup>47</sup>

1984-2002 წლებში ქვემო ქართლში არსებულ ქვაბთა კომპლექსების სისტემატური კვლევა ჩატარა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით.

ნ. ბახტაძე აღნიშნავს - თრიალეთის ახალქალაქის მიდამოებში მდინარე ხრამის ფერდობების კლდოვან ქარაფებში მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ნაქალაქარის ციტადელის კონცხის ქვედა რეგისტრში გამოკვეთილი ორ იარუსიანი, თვრამეტ გამოქვაბულიანი კომპლექსი (ჩვენი ნუმერაციით V კომპლექსი) და მის პირდაპირ ხეობის მარცხნა კალთაში არსებული ორი თითო იარუსიანი (ჩვენი ნუმერაციით III და IV კომპლექსები), ერთმანეთისაგან დაახლოებით ერთი კილომეტრით დაშორებული, კომპლექსები. ამ გამოქვაბულთა გეგმარებაც ხრამის ხეობის შუაწელის ჭიპისაა - უხეშად გამოკვეთილი, არასწორი გეომეტრიული ფორმის, სხვადასხვა ზომის, უმტესად იზოლირებული სათავსებიანი. გამოქვაბულთა ჯგუფების დიდი უმრავლესობა ხეობის ძირიდან ან პლატოდან

<sup>46</sup>. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი, 1991, გვ. 14; ლომთათიძე გ., გძელიშვილი ო. თრიალეთში 1949 წ. მივლინების ანგარიში. – მიმომხილველი, ტ. 2, 1951, გვ. 325-326.

<sup>47</sup>. ჯავრიშვილი კ. ქციის ხრამის მღვიმე-გამოქვაბულები. – საქართველოს მღვიმები და გამოქვაბულები. ტ. 2, 1963, გვ. 5-21.

ადვილი მისადგომია, ამიტომ გამორიცხულია ისინი თავიდანვე თავდაცვითი მიზნით იყოს შექმნილი. რამდენადმე მიუვალია მხოლოდ მარცხენა კალთის ერთი ჯგუფი, რომელიც გეგმარებით სხვა გამოქვაბულებისაგან განსხვავდება და საფიქრებელია რომ მისკენ მიმავალი გზა შემდეგ ჩამოიშალა. ამავე, მარცხენა კალთის გამოქვაბულთა მეორე კომპლექსის ნაწილი მხოლოდ მოგვიანებით გამოუყენებიათ საფორტიფიკაციო მიზნით, რისთვისაც მარცხენა განაპირა ხუთი გამოქვაბულისაკენ მიმავალი ტერასული გასასვლელი ქვითგირის ზღუდით გადაუღობავთ, დანარჩენი სათავსები კი სრულიად გაუმაგრებელი დარჩენილა. თავდაცვითი მიზნით გადაკეთების კვალი ნაქალაქარის მიდამოების ზოგიერთ სხვა კლდის ძეგლშიც შეინიშნება. გეგმარებითა და საერთო სტრუქტურით ამ ძეგლთა შეგავსია გამოქვაბულთა მცირე რიცხოვანი ჯგუფები, რომელიც ხეობას აქედან დაწყებული 5-6 კილომეტრზე ასდევს. თანამედროვე წალკის მიდამოებში ამ გამოქვაბულთა ინტენსიობა მატულობს, გვხვდება შედარებით მოზრდილი ჯგუფები. მაგ. წალკის წყალსაცავის მახლობლად (რომელმაც უთუოდ მრავალი კლდის ძეგლი დაფარა) ხეობის მარცხენა კალთაში გამოკვეთილია ჯგუფები, რომელთა გეგმარება საფუძველს გვაძლევს ისინი კლდის სახლებად მივიჩნიოთ.

ამ ძეგლების წარმოშობის ხანაზე ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია რომ ისინი ხრამის ხეობის ზოგიერთი ძეგლის მსგავსად (ნახიდური, სამშვილდე) ბრინჯაოს ხანის კომპლექსების მსგავსია და ალბათ იმავე ეპოქას განეკუთვნება. მითუმეტეს, რომ ეს სწორედ ის გამოქვაბულებია, რომლის ტერასებზეც 1949 წ ბრინჯაოს ხანის კერამიკაა აღმოჩენილი.<sup>48</sup>

გამოქვაბულთა დიდ ნაწილში კედლების ხელოვნურად ნგრევის უტყუარი ფაქტები – ბზარებში ჩარჩენილი ხის სოლების ნაშთები დაფიქსირდა, ხოლო მრავალ სათავსში იატაკის ღრმულები, იმთავითვე, კვეთისას დაგროვილი ნამსხვრევი ღორლითაა მოსწორებული.<sup>49</sup>

ქცია-ხრამის ხეობის კლდეში ნაკვეთი კომპლექსებიდან საერთო დასახლებებად მიგვაჩნია წალკის, თრიალეთის ახალქალაქის, სამშვილდის, ქოსალარის და ნახიდურის კომპლექსები.

<sup>48</sup>. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი, 1991, გვ. 91-92; ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შესწავლისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტ., არქ. და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1987, გვ. 106-121; Бахтадзе Н. Спелеистическая карта Кциа-храмского бассейна. - Пещеры Грузии, 12, Тбилиси, 1988, с. 18-35.

<sup>49</sup>. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი, 1991, გვ. 109.

მათი შემადგენელი ქვაბთა მნიშვნელოვანი ნაწილის გეგმურ-სივრცობრივი გადაწყვეტა და საყოფაცხოვრებო პირობები ეთანხმება ამ მოსაზრებას. აღნიშნული კომპლექსები გამოკვეთილია ზეობის საკმაოდ დახრილ კლდოვან მასივებში. ისინი წარმოადგენენ ერთმანეთის გვერდით, მეტ-ნაკლები დაშორებით გამოკვეთილ ქვაბთა ჯგუფებს. თითქმის ყველა ამ კომპლექსებში შეინიშნება ზეობის ძირიდან და ზემოდან მათთან მისასვლელი 2-3 მ სიგანის გზების ნაშთები. გვხდება აგრეთვე „გაჭრილი“ გზების – კლდეკარების გამოყენებაც (სამშვილდე).

კომპლექსებში ქვაბები ჰორიზონტალურ იარუსებადაა გამოკვეთილი კლდის ბუნებრივ თუ ზელოვნურ დატერასებათა გაყოლებებზე, რომლებიც განიერ, 1-3 მ სიგანის, ღია გასასვლელებს ქმნიან. გასასვლელები ერთმანეთს უკავშირდება მცირე დახრის პანდუსებისა და საფეხურთა სისტემის საშუალებით. კომპლექსებში საცხოვრებლების უმრავლესობა თითო სათავსიანია. ამ ტიპის საცხოვრებლები უფრო ხშირად არასწორი ფორმისაა და უხეშად დამუშავებული. უფრო იშვიათად გხვდება ოვალური ან სწორკუთხედის მაგვარი გეგმის ქვაბები. მათი ფართობები 4-დან 12 კვ მ-მდეა. კედელსა და ჭერს შორის გადასვლის ხაზები არ გააჩნიათ. ქვაბები 60-100 სმ. შესასვლელებით გამოდიან ტერასებზე, რაც მათი განათებისა და ვენტილაციის ერთადერთი წყაროა. იშვიათად გვხვდება ძირითადი ფართობიდან ოდნავ გამოყოფილი უბები და ნიშები. მიუხედავად დაახლოებით ერთნაირი სტრუქტურისა, ერთმანეთის მეზობლად გამოკვეთილი ამ ტიპის ქვაბებიდან ზოგიერთი საცხოვრებელ, ხოლო ზოგი სამეურნეო სათავსოებად შეიძლება მივიჩნიოთ.

აღნიშნულ კომპლექსებში გაცილებით იშვიათია საცხოვრებლის როტული გეგმური გადაწყვეტა. ასეთებია ერთმანეთის გვერდით, ერთ ჰორიზონტალზე გამოკვეთილი, ერთმანეთთან გასასვლელებით დაკავშირებული ორ ან რამდენიმე ქვაბიანი საცხოვრებლები, რომელთა ზოგიერთ სათავსოს ტერასიდან დამოუკიდებელი შესასვლელები არ გააჩნიათ და სარკმლებით ნათდებიან. ამ ტიპის საცხოვრებლების სათავსოების გეგმარებაში ზოგჯერ კლდის სიღრმეში განვითარება იჩენს თავს, ხოლო ზოგიერთ სათავსოს უკანა მხარეს

მოზრდილი შეღრმავებები ან მკვეთრად გამოყოფილი დამწმარე სამეურნეო სათავსოები გააჩნიათ.<sup>50</sup>

6. ბახტაძე მოუთითებს, რომ ქვემო ქართლში არსებულ ქვაბთა კომპლექსებში 1984-2002 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევების შემდეგ დადასტურდა ამ ძეგლთა წინაქრისტიანულ, უფრო კი, ბრინჯაოს ხანაში წარმოშობა. ქცია-ხრამისა და მისი შენაკადების ხეობების ქვაბთა კომპლექსები მეტად ინტენსიურად ყოფილა ათვისებული განვითარებულ შუა საუკუნეებში; ქვაბებში ცხოვრების ამ ეტაპზე საერო დასახლებანი - კლდის სოფლები მოუწყვიათ, თითქმის ყველა ქვაბ-საცხოვრისის კლდოვანი იატაკი თიხატკეპნილით ან მოლესილობით დაუფარავთ, რომლებზეც დაფიქსირდა შუა საუკუნეების კულტურული ფენები. ამ ფენების აღების შემდეგ, იატაკის მოლესილობის ქვეშ, კლდოვანი იატაკის ბუნებრივ ნაპრალებში და გაუქმებულ სამეურნეო ორმოებში დაფიქსირდა ბედენური კულტურის, შუაბრინჯაოსა და გვიან ბრინჯაოს ხანის კერამიკის ფრაგმენტები (ნახიდური).<sup>51</sup> ანალოგიური სტრატიგრაფია დადასტურდა მდ. ხრამის ხეობის დანარჩენ კომპლექსებშიც (თავმრგვალა, მუგუთი, სამშვილდე, თრიალეთის ახალქალაქი და სხვ.). მოპოვებულ მასალაში აღსანიშნავია თრიალეთის ახალქალაქის მიდამოების III კომპლექსის № 10 ქვაბში აღმოჩენილი შუაბრინჯაოს ხანის კერამიკული მასალა. ამ სათავსში, შუა საუკუნეებში თიხით მოტკეპნილი კლდოვანი იატაკის ერთ-ერთ ჩაღრმავებაში აღმოჩნდა ყელდაბალი, კვერცხისებურმუცლიანი ქილის ფრაგმენტები. ჭურჭელი შავად ნაპრიალები, მოვარდისფრო-მოყვითალო სარჩულიანია. მხარი შემქულია მუცლისაკენ წაწვეტებული, პუნქტიროვან-შტამპური სამკუთხედების ერთი რიგით.<sup>52</sup> ამ კომპლექსების უძველეს ფენებში გვიანბრინჯაოს ხანის ნივთიერი მასალა გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია.

ქცია-ხრამისა და მისი შენაკადების ხეობებში დაფიქსირებულ ქვაბებში, მათ შორის დაშ-ბაშის კანიონში, მასობრივად მხოლოდ შუა საუკუნეების კულტურული ფენები იყო შემონახული.

<sup>50</sup>. ბახტაძე 6. ქცია-ხრამის ხეობის კლდის ძეგლთა ტიპოლოგიისათვის. – მასალები საქართველოს მატერიალური კულტურისა და ეკონომიკის ისტორიისათვის. 1982, გვ. 8-13.

<sup>51</sup>. ბახტაძე 6. კლდის ხუროთმოძღვრების გენეზისი და განვითარების გზები საქართველოში. 2007, გვ. 21-23.

<sup>52</sup>. ბახტაძე 6. კლდის ... 2007, გვ. 23, ტაბ 49,2.

შუა საუკუნეებში ერთი ნაწილი გამოქვაბულებისა საცხოვრისად და თავშესაფრად გამოიყენებოდა მტრის შემოსევების დროს, ხოლო მეორე ნაწილში ეკლესიები აიგო და სამონასტრო კომპლექსებად იქცა.<sup>53</sup>

შუასაუკუნეების საქართველოს საერთო თავდაცვით სისტემაში მოიაზრებს გ. გაფრინდაშვილი ქცია-ხრამის გამოქვაბულთა კომპლექსებს.<sup>54</sup>

ამრიგად, მოპოვებული არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული ქვაბები ადრე ბრინჯაოს ხანიდან ჩნდება, ხოლო განვითარებულ და გვიან შუასაუკუნეებში მათში ინტენსიური ცხოვრების კვალი ფიქსირდება.<sup>55</sup>

ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ შპს „კაას ლენდის“ კუთვნილ ტერიტორაზე VII ტერასის ერთი ნაწილი ექცევა. სამშენებლო ზონაში ხვდება ტერასის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი. სიგრძეში ტერასა მოიცავს შესასწავლ ტერიტორიას 70 მეტრის მანძილზე, მისი სიგანე კი 30 მეტრს აღწევს. ტერასა ოდნავაა დაქანებული კანიონისაკენ. ტერასის ზურგი კლდოვან მასას წარმოადგენს, რომელიც თარაზულად შვეულია. კლდოვანი ტერასის ძირში ბუნებრივი ეზია, რომელიც თითქმის პირამდეა შევსებული ჩამონაყარი მასით. ჩვენი აზრით, ტერასაზე კიდევ ერთი ეზი უნდა იყოს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთ დიდ ეზს ეკუთვნიან.

ჩვენს მიერ ნანახი ტერასა და ეზის კონტურები ძალიან გავს ბ. კუფტინის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში, წალკის წყალსაცავის დამბასთან და წალკის ზიდთან მიკვლეულ მღვიმეებსა და ეზებს, სადაც მეზოლითის ხანის ადამიანის ცხოვრების კვალი დაფიქსირდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ II უბანზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.19.23.239) ამავე ეპოქის სადგომებთან გაქვს საქმე.

<sup>53</sup>. ბახტაძე ნ. კლდის ... 2007, გვ. 23,24.

<sup>54</sup>. გაფრინდაშვილი გ. კლდეში ნაკვეთი ძეგლები საქართველოში. – სპელეოლოგთა VII სამეცნიერო სესია, 1969, გვ. 7-14.

<sup>55</sup>. ბახტაძე ნ. კლდის ... 2007, გვ. 34.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ ამ ტერიტორიაზე ჩასატარებელია არქეოლოგიური სამუშაოების II ეტაპი, რათა გაირკვეს რა სახის ეხთან გვაქვს საქმე და შეიცავს თუ არა ის კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებს.

**III უბანი** მდებარეობს სოფ. დაშ-ბაშის ტერიტორიაზე (ტაბ. XXIX-XLI). შესასწავლი ფართობი (12 077 მ<sup>2</sup>) მოქცეულია სოფელსა და დაშ-ბაშის კანიონს შორის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.526)

სოფ. დაშ-ბაშის ეს მონაკვეთი წარმოადგენს შუა საუკუნეების ნაქალაქარის ერთ-ერთ ძირითად უბანს. ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერის მიხედვით მიხედვით ეს იყო „ახალქალაქი.“ ვფიქრობთ, რომ ის ერთ-ერთი იყო შუასაუკუნეების საქართველოში წარმოშობილი ახალქალაქებიდან, რომელთა აღმოცენება IX საუკუნეში მოხდა. სოფლის ტერიტორიაზე არსებული წმ. გიორგის და ღთისმშობლის ეკლესიები, ჩანს, სწორედ ამ პერიოდშია აგებული. თრიალეთის მმართველი ბალვაშები სწორედ ახალქალაქში აგებენ ამ რეგიონში არსებულ ერთადერთ გუმბათიან ტაძარს.

ახალქალაქი ქართულ წერილობით წყაროებში XIV საუკუნიდან მოიხსენიება: 1392 წლის 1 დეკემბრით დათარიღებულ სიგელში „ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარი“ თრიალეთის სოფლებს შორის მოიხსენიება ახალქალაქი: „თრიალეთს: სოფელი ბარეთი და ცოტა ბარეთი, ქედის უბანი, მილისს: სოფელი წითელი საყდარი, ზურის უბანი, ახალშენი, კლონა, ბეშქენაშენი; ზემო ანტრაპს: ოცი კომლი კაცი და ეკლესია, სოფელი მაჩუთა, ებანი, ახალქალაქი, ნადვალევი, ორომაშენი“<sup>56</sup>.

1546 წლის სიგელში - „ახალქალაქის გამოსაღების წიგნი“ - მოცემულია გადასახადების ჩამონათვალი. ახალქალაქის მოსახლეობას უნდა გადაეხადა ფური, ცხვარი, გოჭი, ერბო, საყველიეროდ ყველი და კვერცხი, სააღდგომოდ ძროხა და სხვ. XVI საუკუნეში თრიალეთის ახალქალაქი მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნოდა.<sup>57</sup>

1676-1717/24 წლებში ახალქალაქის მოურაობა გერმანოზიშვილებს ჰქონიათ. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე (შანავაზ-ხანი), 10 გამომღები და 3 ბოგანო ყმა: მამასახლისი დათუნა, ნადირაშვილი როსება, ნასყიდაშვილი გოგიტა, ღვინიაშვილი ბერია, რევა-

<sup>56</sup>. ქართული სამართლის ძეგლები, 1970, გვ. 177.

<sup>57</sup>. ღოვანების საქართველოს სოციალური ისტორიიდან, 1940, გვ. 6.

ზაშვილი მახარა, ჩაღრაღანიძე სეხნია, ზუბიაშვილი თამაზა, ტერტერაშვილი ასლუა, ხეჩატურაშვილი დათუნა, ლომუაშვილი დათუნა, ბოგანო ნასყიდა მოლაშქრე, ბოგანო ლამაზა მოლაშქრე, ბოგანო კზირი.<sup>58</sup>

ვახუშტი ბაგრატიონს ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ მოხსენიებული აქვს თრიალეთის ახალქალაქი: „ეძანს ქუეით და ახალქალაქს ზეით გადმოდის ქცია მაღალი კლდიდამ, ვითარცა ღარიდამ, ძირს აქუს ტბა დიდი.“ (ქც 4: 319,3). „ახალქალაქს ქუეით ერთვის ქციას ხევი აბანოსი ჩდილოდამ“.<sup>59</sup>

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე პაპუნა ორბელიანი ქართლის ისტორიის აღწერისას ცნობებს გვაწვდის ქვემო ქართლის ქვაბების თავდაცვის მიზნით გამოყენებაზე.<sup>60</sup>

XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერა“-ში თრიალეთს სოფლების ჩამონათვალში მოხსენიებს ახალქალაქს.<sup>61</sup>

თრიალეთის ახალქალაქი ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. აქ სხვადასხვა დროს თრიალეთის ერისმთავრთა, საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა რეზიდენცია იყო. ვახუშტი ბაგრატიონი, ვახტანგ VI-ის ვაჟი, 1721 წლიდან მეწინავე სადროშოს, საბარათიანოს, თრიალეთის, ტაშირის, სოშნითისა და ყაიფულის ანუ მთელი ქვემო ქართლის გამგებელი და ლაშქრის სარდალი იყო. მას, როგორც ამ მხარის მმართველს, ადგილსამყოფელი თრიალეთის ახალქალაქში ჰქონდა. იმავე, 1721 წელს ვახუშტიმ, გივი თუმანიშვილთან ერთად ჩაატარა სადროშოს აღწერა.<sup>62</sup>

ამდენად, ცხადია, რომ დღევანდელი სოფ. დაშ-ბაშის ტერიტორია უძველესი დროიდან ყოფილა ადამიანის მიერ ათვისებული. სოფლის და კანიონის ტერიტორიაზე არქეოლოგიური

58. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII ს-ში, 1907, გვ. 14-15; ლორთქიფანიძე ი. ქვემო ქართლი, 1935, გვ. 286.

59. ქართლის ცხოვრება, ტ. 4, გვ. 320,8.

60. ორბელიანი პაპუნა,, ამბავნი ქართლისანი, 1981, გვ. 67-200.

61. ბაგრატიონი იოანე, ქართლ-კახეთის აღწერა, 1986, გვ. 48.

62. ჯავახიშვილი ივ. ვახუშტი ბატონიშვილი, ტ. VIII, 1977, გვ. 325; რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ძეგლები, ძეგლი მეგობარი, № 30, 1972, გვ. 69-75.

კვლევა პრაქტიკულად არ ჩატარებულა. სავარაუდოა, რომ ასეთი ძეგლები ჩვენს მიერ ჩამოთვლილზე მეტია.

ნაქალაქარის შესასწავლი მონაკვეთი (III უბანი) მდებარეობს დღევანდელი სოფ. დაშბაშის ჩრდილოეთ განაპირას, მდ. ქცია/ხრამის მარჯვენა ნაპირზე. დასახლება კანიონის კიდიდან იწყება და წმ გიორგის გუმბათიან ეკლესიამდე ვრცელდება. დასახლების ჩრდილო-დასვლეთ განაპირას, დაშ-ბაშის კანიონისაკენ ჩამავალი გზის პირას, სამაროვანია გამართული. ზედაპირზე შეინიშნება საფლავის ქვები, რომელთაგან ნაწილი ცხენის ქანდაკებას წარმოადგენს, ნაწილზე კი ადამიანები, სხვადასხვა სამეურნეო და საბრძოლო იარაღია გამოსახული. ნაქალაქარი დაზიანებულია თანამედროვე სამეურნეო საქმიანობის შედეგად. თუმცა, ალაგ-ალაგ შეინიშნება ნაგებობათა კედლები. დასახლების ცენტრში კი დიდი ქვებით ნაგები მრავალსენაკიანი ნაგებობის ნაშთებია. ვფიქრობთ, ის ვახუშტი ბაგრატიონის სასახლის ნაგრევს წარმოადგენს.

ამდენად, შპს „კას ლენდის“ სამოქმედო ტერიტორიის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათ მიერ მონიშნულ ფართობზე (III უბანი) რამდენიმე საგარაუდო და აშკარა არქეოლოგიური ობიექტია (ნაქალაქარი, სამაროვანი, გამოქვაბულები, ციკლოპური კედელი) განლაგებული, რომელთა არქეოლოგიურ შესწავლას დიდი დრო და სახსრები დასჭირდება.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ დროის და სახრების დაზოგვის მიზნით, საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ შპს „კას ლენდი“ III უბანზე დაგეგმილ სამუშაოებს სხვა ტერიტორიაზე განახორციელებს. ვფიქრობთ, ეს შესაძლებელია მოხდეს კანიონის მარცხენა ნაპირზე, II უბანის დასავლეთით არსებულ მონაკვეთზე, სადაც არქეოლოგიური ნაშთები ზედაპირულად არ შეინიშნება.

### დასკვნა:

ჩატარებული სამუშაოების შედეგად გაირკვა, რომ დაშ-ბაშის კანიონის გასწვრივ, მის მიმდებარედ და სოფ. დაშ-ბაშის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის თხუთმეტამდე ობიექტია. მათ შორის ორს, წმ. გიორგის და ლვთისმშობლის ეკლესიებს ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული. კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები

აღრიცხულია, შედგენილია შესაბამისი „სააღრიცხვო ბარათები“ და ყველა ინფორმაცია განთავსებულია კულტურული მემკვიდრეობის გის პორტალში (იხ. ელექტრონული დანართები).

შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო ტერიტორია სამ დამოუკიდებელ ფართობს მოიცავს. შესაბამისად ისინი სამ არქეოლოგიურ უბნს მიეკუთვნა - I უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.527); II უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.19.23.239); III უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.526);

I უბანზე ჩილული არქეოლოგიური ობიექტი არ დაფიქსირდა. არც საარქივო მასალებში მოიპოვება შესაბამისი ინფორმაცია. თუმცა, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე, I უბნის ჩაყოლებაზე ხელოვნური ტერასებია გამართული, რაც ადამიანის სამუურნეო საქმიანობის დამადასტურებელია.

ამდენად, I უბანზე შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება. მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას კი აუცილებელია არქეოლოგიური მონიტორინგი.

II უბანი მდ. ქციას მაღალი, ქარაფოვანი კანიონის თავზე მდებარეობს. კლდოვან მასივში შვიდი ტერასაა გამოკვეთილი. ტერასებზე ხელოვნური გამოქვაბულები და ეზებია განთავსებული. II უბანზე (85.19.23.239 ნაკვეთი) VII ტერასის ერთი მონაკვეთი ექცევა, რომელზეც განთავსებულია ერთი ეზი. აქვეა სავარაუდო მეორე ეზის არსებობა. ეს გარემოება აქ ქვის ხანის საღვომების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

II უბნის ჩაყოლებაზე, მდ. ქციას ნაპირებამდე ადამიანის მოქმედების კვალი ზედაპირულადაც კარგად ჩანს. ამ მონაკვეთზე გარკვეული არქეოლოგიური გათხრებია ჩატარებული 1984-2002 წლებში. გამოქვაბულებში გამოვლენილია ქვის ხანის, ადრე, შუა და გვანი ბრინჯაოს ეპოქების არქეოლოგიური მასალები. მირითად მონაპოვარს კი შუა საუკუნეების არტეფაქტები წარმოადგენს.

ვფიქრობთ, შპს „კაას ლენდის“ სამშენებლო სამუშაოები თუ დიდ სიღრმეზე წარიმართება, შესაძლებელია VI ტერასის გამოქვაბულებსაც დაემუქროს საფრთხე. შესაბამისად, დაშ-ბაშის

კანიონზე ასაგები წილის ბურჯების დამონტაჟების ადგილები აუცილებლად უნდა შემოწმდეს არქეოლოგიური გათხრების II ეტაპის საშუალებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ 85.19.23.239 ნაკვეთის აღმოსავლეთით ძველი (სავარაუდოდ გვიანი ბრინჯაოს ზანის) ნამოსახლარი დაფიქსირდა. ნამოსახლარსა და II უბანს მშრალი ზევი ყოფის.

ამდენად, II უბნის ტერიტორიაზე ჩასატარებელია არქეოლოგიური სამუშაოების II ეტაპი, რათა გაირკვეს რა სახის ეხთან (გამოქვაბულთან) გვაქვს საქმე და შეიცავს თუ არა ის კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებს.

III უბანი სოფ. დაშ-ბაშსა და მდ. ქციას კანიონს შორისაა მოქცეული. შპს „კაას ლენდის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 85.25.21.526) მთლიანად უკავია შუა საუკუნეების ნაქალაქარს („თრიალეთის ახალქალაქი“). მთელ ფართობზე შეინიშნება ნაგებობათა კედლები და ქუჩები. ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში შუა საუკუნეების სამაროვანია გამართული.

III უბნის დასავლეთ ნაწილში ე.წ. ციკლოპური ნაგებობის ნანგრევებია, რომლებიც ბრინჯაოს ზანას განეკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ III უბანი წმ. გიორგის და ღვთისმშობლის ეკლესიები „დაცვით ზონაში“ ექცევა, სადაც სამშენებლო სამუშაოები შეზღუდულია.

„თრიალეთის ახალქალაქის“ გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს ისტორიაში, რადგან IX-X საუკუნეებსი აქ მდებარეობდა ბაღვაშთა ერთ-ერთი რეზიდენცია. ახალქალაქში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა გამოჩენილი გეოგრაფოსი, ისტორიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე ვახუშტი ბაგრატიონი.

ამდენად, III უბანის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მთელ ფართობზე რამდენიმე სავარაუდო და აშკარა არქეოლოგიური ობიექტია (ნაქალაქარი, სამაროვანი, გამოქვაბულები, ციკლოპური კედელი) განლაგებული, რომელთა არქეოლოგიურ შესწავლა აუცილებელია. არქეოლოგიური სამუშაოების II და III ეტაპები მთელ ფართობზე უნდა განხორციელდეს.

## რეკომენდაციები:

I უბანი. მიუხედვად იმისა, რომ უბანზე არქეოლოგიური ნაშთები ზედაპირულად არ შეინიშნება, სასურველია სამშენებლოდ გათვალისწინებული მონაკვეთების არქეოლოგიური სადაზვერვო თხრილებით შემოწმება. ამით თავიდან იქნება აცილებული მშენებლობის პროცესში შესაძლო არქეოლოგიური ნაშთების გამოვლენით მოსალოდნელი შეფერხება.


II უბანი. აუცილებელია VII ტერასაზე დაფიქსირებული ეხ(ებ)ის შემოწმება არქეოლოგიური სადაზვერვო თხრილების მეშვეობით, რათა გაირკვეს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტის ხასიათი და მასშტაბი.


III უბანი. ტერიტორია მთლიანად უკავია არქეოლოგიურ ობიექტს. ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა დიდ დროს და სახსრებს მოითხოვს. ამდენად, სასურველია შპს „კას ლენდმა“ პროექტი განახორციელოს სხვა ტერიტორიაზე, თუნდაც II უბნის დასავლეთით არსებულ მიწაზე (ტაბ. XII).

ტაბულების აღწერილობა:

- I. მდ. ქცია/ზრამის ხეობა და დაშ-ბაშის კანიონის სიტუაციური გეგმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღნიშვნით.
- II. შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო არეალები. ტოპოგეგმა.
- III. 1. წალკის ძველი ხიდი; 2. წალკის ხიდში ჩაშენებული წარწერიანი ქვა.
- IV. გამოქვაბულების I კომპლექსი წალკის ხიდთან. დეტალი.
- V. დაშ-ბაშის კანიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე ნასოფლარი მარიამი.
- VI. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების II კომპლექსის ხედი აღმოსავლეთიდან.
- VII. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების II და III კომპლექსების საერთო ხედი.
- VIII. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების III კომპლექსი.
- IX. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების III კომპლექსი.
- X. დაშ-ბაშის კანიონი. 1. გამოქვაბულების III კომპლექსი. დეტალი; 2. გამოქვაბულების IV კომპლექსი.
- XI. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების IV კომპლექსი.
- XII. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების IV კომპლექსი. დეტალი.
- XIII. დაშ-ბაშის კანიონი. გამოქვაბულების IV კომპლექსი. დეტალი.
- XIV. სოფ. დაშ-ბაში. 1. წმ გიორგის ეკლესია; 2. ლვთისმშობლის ეკლესია.
- XV. შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო არეალის გეგმა I-III არქეოლოგიური უბნების აღნიშვნით.
- XVI. შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო არეალი. I უბანი. საკადასტრო გეგმა.
- XVII. შპს „კაას ლენდის“ მიერ გამოგზავნილ სურათზე დატანილი I-III უბნები.
- XVIII. I უბანი. საერთო ხედი.
- XIX. I უბანი. ხედები. დეტალი.
- XX. შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო არეალი. II უბანი. საკადასტრო გეგმა.
- XXI. II უბანი. საერთო ხედი სამხრეთიდან, კანიონის მეორე ნაპირიდან.
- XXII. II ბნის მიმდებარედ გამოვლენილი ნამოსახლარის ნაშთი.
- XXIII. II უბნის და კანიონის მარჯვენა ნაპირის საერთო ხედი ჭერასების აღნიშვნით.
- XXIV. II უბანი. გამოქვაბულების III კომპლექსის საერთო ხედი.
- XXV. II უბანი. გამოქვაბულთა III კომპლექსის აღმოსავლეთი ჯგუფი.

- XXVI. II უბანი. გამოქვაბულთა III კომლექსში გათხრილი გამოქვაბულები. 6.პატაძის მიხედვით.
- XXVII. II უბანი. 1. VI და VII ტერასების ხედი. დეტალი; 2. VI ტერასაზე არსებული გამოქვაბულები.
- XXVIII. II უბანი. სიტუაციური გეგმა ტერასების და სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტების აღნიშვნით.
- XXIX. შპს „კას ლენდის“ სამოქმედო არეალი. III უბანი. საკადასტრო გეგმა.
- XXX. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. Google-ს რუკა ნაქალაქარის უბნების აღნიშვნით.
- XXXI. III უბანი. სოფ. დაშ-ბაშის და მიდამოების რუკა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღნიშვნით.
- XXXII. III უბანი. სოფ. დაშ-ბაშის და ნაქალაქარის საერთო ხედები.
- XXXIII. III უბანი. შპს. „კას ლენდის“ მიერ გამოგზავნილ ფოტოზე დატანილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.
- XXXIV. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. აეროფოტო.
- XXXV. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. ნაქალაქარი. ნასახლართა ნაშთები. დეტალი.
- XXXVI. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. 1. ნაქალაქარის საერთო ხედი დასავლეთიდან; 2-3. ნაქალაქარი. ნამოსახლართა ნაშთები.
- XXXVII. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. 1. ხედი დასავლეთიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღნიშვნით; 2. ნაქალაქარის ხედი. ნამოსახლარების ნაშთები.
- XXXVIII. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. ნაქალაქარი, ნამოსახლართა ნაშთები.
- XXXIX. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. ნაქალაქარის საერთო ხედი წმ. გიორგის ეკლესიიდან.
- XL. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. ნაქალაქარი. საფლავის ქვები.
- XLI. III უბანი. სოფ. დაშ-ბაში. ნაქალაქარი. 1. ქვის სამეურნეო ხელსაწყო; 2. ცხენის ქანდაკება.
- XLII. შპს „კას ლენდის“ სამოქმედო არეალი. დატანილია I-III უბნები. II უბნის გვერდით ყვითლად მონიშნულია ფართობი, რომელიც III უბნის აღტერნატიული ვარიანტი შეიძლება გახდეს.







1




2






- 1 -



- 2 -





1




2



- 1 -



- 2 -



- 1 -



- 2 -

X




1




2




- 1 -




- 2 -




- 1 -



- 2 -



- 1 -




- 2 -





1




2











- 1 -



- 2 -








- 1 -




- 2 -







1





2







1



§6. 1-1




§6. 2-2



0 1 2 3 4 5 m


2




- 1 -




- 2 -












1



2









1



2





1



2



1



2



1



2

XL





1



2



ა(ა)იპ „სიძველეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
„თრიალეთი“

გოდერძი ნარიმანიშვილი

დიმიტრი ნარიმანიშვილი

„დაშ-ბაშის კანიონის“ მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე  
(საკადასტორო კოდი 85.25.21.547; 85.25.21.550)

არქეოლოგიური კვლევის I ეტაპის

ანგარიში

(IV უბანი)

თბილისი

2019

## პროექტის წინა ისტორია

დაშ-ბაშის კანიონი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის (ქციის) ხეობაში, ზღვ. 1110-1448 მ. ქალაქ წალკიდან დაახლ. 3 კმ-ზე, სოფ. დაშ-ბაშის (თრიალეთის ახალქალაქი) მიდამოებში (ტაბ. I). წარმოადგენს ბუნების ძეგლს. ბუნების ძეგლი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. შეესაბამება IUCN III კატეგორიას. 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 41 ბუნების ძეგლია. დაშ-ბაშის კანიონი ევროპის კანიონებს შორის ერთ-ერთი დიდი კანიონია.

თანამედროვე სოფ. დაშ-ბაში უძველესი ქართული სოფლის - თრიალეთის ახალქალაქის ტერიტორიაზეა გაშენებული. თრიალეთის ახალქალაქი მდებარეობდა მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ეძანის აღმოსავლეთით, სოფ. ნადვალეთის ჩრდილოეთით. ახალქალაქის ქვევით ქციას ერთვის აბანოს ხევი. „თრიალეთის ახალქალაქი ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო.

თრიალეთის ახალქალქი გაშენებული ყოფილა მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც მდინარის მიერ წარმოქმნილი კანიონი ყველაზე ღრმაა. ამ აღგილზე აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მდინარე მკვეთრად სამხრეთისაკენ უხვევს და წარმოქმნილია ბუნებრივი კონცხი, რომელიც სამი შერიდან კანიონის ფრიალო კედლებითა შემოფარგლული.

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ორი ძველი ქართული ეკლესია იყო. სოფელთან მიახლოვებისთანავე ჩანს მდ. ქციის ქარაფოვანი კლდის კიდეზე, დაბალ ბორცვზე აღმართული წმ. გიორგის ტაძარი.

სოფლის დასავლეთ ნაწილში, წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე ღვთისშობლის ეკლესია დგას. ძველი ქართული ეკლესის ნანგრევებზე აღგილობრივ სომხურ მოსახლეობას XIX ს-ში ეკლესია აუშენებია. ის დღეს დანგრეულია.

წმ. გიორგის ეკლესია მეორე ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით, მთაზე დგას. ეკლესია აგებულია VIII-IX სს-ში, გადაკეთებულია XIX ს-ის მეორე ნახევარში ბერძნების მიერ.

სოფ. დაშ-ბაშში, მთის სამხრეთ ძირთან, სადაც ციკლოპური გალავნის ნანგრევებია, გვიანრომაული და სასანიდური პერიოდის სამაროვანზე 1936 წელს აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის („მტკვარ-არაქსის“ კულტურა) სოფ. დაშ-ბაშთან აღმოჩნდა აგრეთვე, ძვ.წ. V-IV სს-ის მცირე ზომის 3 ქვაყუთი.

მდ. ხრამის კანიონში მღვიმე-ქვაბთა კომპლექსებია გამართული. მღვიმე-ქვაბთა კომპლექსები გამოკვეთილია ქარაფოვან კლდეში.

ამდენად, წინამდებარე ანგარიშის ამ ნაწილში მოცემულია დაშ-ბაშის კანიონის, სოფ. დაშ-ბაშის და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განლაგება და მათი თანამედროვე მდგომარეობა. მოკლედაა მიმოხილული ყველა ის ძეგლი, რომლებიც დაშ-ბაშის კანიონში მდებარეობენ.

2019 წელს შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო ტერიტორიაზე, რომელიც სამ დამოუკიდებელ ფართობს მოიცავს და შესაბამისად, ისინი სამ არქეოლოგიურ უბანს მიეკუთვნა - I უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.527); II უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.19.23.239); III უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.526), ჩატარდა არქეოლოგიური სამუსაების I და II ეტაპის სამუშაოები.

ქვევით კი განხილულია ა(ა)იპ „სიძველეთა დაცვის და შესწავლის ცენტრ – თრიალეთსა“ და შპს „კაას ლენდის“ შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მონაკვეთზე (საკადასტრო კოდი 85.25.21.547; 85.25.21.550) ჩატარებული I ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების შედეგები, წარმოდგენილია კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები.

## I ეტაპით განსაზღვრული სამუშაოები

1. შესასწავლი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია, მათ შორის ფოტო და ვიზუალური აღწერა.
2. ობიექტის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და საარქივო კვლევის მასალების შესწავლა. კერძოდ - სამუზეუმო და საარქივო მასალების (არსებობის შემთხვევაში – ისტორიული რუკები და გენერალური გეგმები, ისტორიული საკადასტრო და ნაგებობების გეგმები, არქივებში დაცული, ტერიტორიის ამსახველი ფოტომასალა, კოსმოსური და აეროფოტომასალები) მოძიება.
3. შესწავლილ ტერიტორიაზე მოპოვებული პირველადი ინფორმაციის საარქივო მონაცემებთან მიმართების ანალიზი.
4. შესწავლილი ტერიტორიის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმის შედგენა.
5. არქეოლოგიური კვლევისას გამოვლენილი ძეგლების განლაგების სქემის და ანაზომის შედგენა.
6. კროკების შედგენა.
7. არტეფაქტების ჩახატვა და მათი ფოტოფიქსაცია.
8. შესრულებული სამუშაოს ანგარიშის შედგენა.

### **საველე სამუშაოები:**

საველე სამუშოები განხორციელდა ა(ა)იპ სიძველეთა დაცვის და შესწავლის ცენტრ – თრიალეთსა“ და შპს „კას ლენდს“ შორის 2019 წლის 23 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე და წარიმართა IV უბანზე.

საველე სამუშაოების დროს ვიზუალურად იქნა დათვალიერებული სამშენებლოდ გამოყოფილი ტერიტორია.

IV უბანზე არქეოლოგიური ობიექტი, ან რამე არქეოლოგიური ნაშთი ჩვენს მიერ დადასტურებული არ იქნა.

აღსანიშნავია, რომ IV უბანი I უბნის მიმდებარედ მდებარეობს, სადაც ასევე არ დაფიქსირებულა არქეოლოგიური ნაშთები.

თუმცა, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე, I უბნის ჩაყოლებაზე ხელოვნური ტერასებია გამართული, რაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის დამადასტურებელია.

ამდენად, IV უბანი გარკვეულწილად მაინც რჩება არქეოლოგიურად სენსიტურ ზონაში

#### დასკვნა:

IV უბანზე ხილული არქეოლოგიური ობიექტი არ დაფიქსირდა. არც საარქივო მასალებში მოიპოვება შესაბამისი ინფორმაცია.


ამდენად, IV უბანზე შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება. მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას კი აუცილებელია არქეოლოგიური მონიტორინგი.


#### რეკომენდაცია:

მიუხედვად იმისა, რომ IV უბანზე არქეოლოგიური ნაშთები ზედაპირულად არ შეინიშნება, სასურველია სამშენებლოდ გათვალისწინებული მონაკვეთების არქეოლოგიური სადაზვევო თხრილებით შემოწმება. ამით თავიდან იქნება აცილებული მშენებლობის პროცესში შესაძლო არქეოლოგიური ნაშთების გამოვლენით მოსალოდნელი შეფერხება.

ტაბულების აღწერილობა:


- I. მდ. ქცია/ხრამის ხეობა და დაშ-ბაშის კანიონის სიტუაციური გეგმა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღნიშვნით.
- II. შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო არეალები. ტოპოგეგმა.
- III. „კაას. ლენდი“ – I-IV უბნების განლაგება. სიტუაციური გეგმა.
- IV. IV უბანი. ხედი აღმოსავლეთიდან.
- V. IV უბანი. ხედი აღმოსავლეთიდან.
- VI. IV უბნის ხედები. დეტალები.







IV



მდ.

კავკასიონის ქადაგი

იმ ტერიტორიაზე

V





1



2

ა(ა)იპ სიძველეტა დაცვისა და შესწავლის ცემტრი „თრიალეთი“

გოდერძი ნარიმანიშვილი

დიმიტრი ნარიმანიშვილი

შპს „კაას ლენდის“ კუთვნილ ტერიტორიაზე (დაშ-ბაშის კანიონი)

არქეოლოგიური მონიტორინგის

ანგარიში

თბილისი

2019

შპს „კაას ლენდის“ კუთვნილ ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნის არქეოლოგიური მონიტორინგი მიმდინარეობს ჩვენს მიერ შპს „კაას ლენდში“ წარდგენილი „დაშ-ბაშის კანიონში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე არქეოლოგიური კვლევის I ეტაპის ანგარიშის“ საფუძველზე.

I ეტაპის საველე სამუშოები განხორციელდა ა(ა)იპ „სიძველეთა დაცვის და შესწავლის ცენტრ – თრიალეთსა“ და შპს „კაას ლენდს“ შორის 2019 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით.

ანგარიშის ჩაბარების შემდეგ შპს „კაას ლედსა“ და ა(ა)იპ „თრიალეთს“ შორის მოხდა შეთანხმება I უბნის მონიტორინგის თაობაზე.

შპს „კაას ლენდის“ სამოქმედო ტერიტორია სამ დამოუკიდებელ ფართობს მოიცავს. შესაბამისად, ისინი სამ არქეოლოგიურ უბნს მიეკუთვნა - I უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.527); II უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.19.23.239); III უბანი (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.25.21.526).

ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენს I უბანი.

I უბანზე, რომელიც მდებარეობს ქ. წალკიდან სოფ. დაშ-ბაშისაკენ მიმავალი საავტომობილი გზის პირას (სურ. 1, 2), ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების დროს I უბანზე არქეოლოგიური ობიექტები არ დაფიქსირდა. შესაბამისად, ანგარიშში მითითებული იყო, რომ ამ ტერიტორიაზე შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

თუმცა, აღინიშნული იყო ისიც, რომ დაშ-ბაშის კანიონის კიდიდან, იქ სადაც შპს „კაას ლენდის“ კუთვნილი ტერიტორიის საზღვარია, მდ. ქციას ნაპირებამდე ტერასები შეინიშნება, რომლებზეც ანთროპოგენული ზემოქმედების ნიშნები ჩანს. ამდენად, ხიდის ბურჯის შენებლობისას არქეოლოგიური მეთვალყურეობა იქნება საჭირო.

ანგარიშის დასკვნით ნაწილში აღნიშნულია:

I უბანზე ხილული არქეოლოგიური ობიექტი არ დაფიქსირდა. არც საარქივო მასალებში მოიპოვება შესაბამისი ინფორმაცია. თუმცა, მდ. ქციას მარჯვენა ნაპირზე, I უბნის ჩაყოლებაზე ხელოვნური ტერასებია გამართული, რაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის დამადასტურებელია.

ამდენად, I უბანზე შესაძლებელია სამშენებლო სამუშაოების დაწყება. მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების მიმდინარეობისას კი აუცილებელია არქეოლოგიური მონიტორინგი.

დაშ-ბაშის კანიონის I უბანზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების პირველი არქეოლოგიური მონიტორინგი განხორციელდა 2019 წლის 14 აგვისტოს. ა(ა)იპ

„თრიალეთის“ წარმომადგენელმა სამშენებლო მოედანი (სურ. 3-6) დაათვალიერა ინჟინერ ავთანდალ ხომერიკთან ერთად.

„კაას ლენდის“ კუთვნილი ტერიტორია ამჟამად შემოღობილია და მიმდინარეობს მიწის სამუშაოები. მუშაობს მძიმე ტექნიკა. მიწის სამუშაობის შედეგად შექმნილია ორი ტერასა. მათი ყველაზე მაღალი პროფილის სიმაღლე 3,0 მეტრია. ტერასების ფართობი საშუალოდ 25 X 15 მეტრს უდრის. ორივე ტერასასთან მიყვანილია ტექნიკის სამოძრაო გზა. მოთხრილი მიწა განთავსებულია შემოღობილი ტერიტორიის ცენტრალურ და ჩრდილოებით ნაწილში.


ტერასების ტერიტორიის და პროფილების დათვალიერების შედეგად არქეოლოგიური ნაშთები არ დაფიქსირდა.

შემდეგი მონიტორინგის ჩატარება დაგეგმილია 27-28 აგვისტოს.


#### დასკვნა:

დღეისათვის არსებული მდგომარეობის მიხედვით იმ ტერიტორიაზე, სადაც მიწის სამუშაოები მიმდინარეობს, არქეოლოგიური ობიექტი არ დაფიქსირდა.

16. 08. 2019



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



Նյու. 5



Նյու. 6

ა(ა)იპ სიძეულეთა დაცვისა და შესწავლის ცენტრი  
თრიალეთი

გოდერძი ნარიმანიშვილი  
დიმიტრი ნარიმანიშვილი  
გიორგი კარელიძე

დაშ-ბაშის კანიონში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე  
(II უბანი) არქეოლოგიური კვლევის II ეტაპის

ანგარიში

თბილისი  
2019

## პროექტის წინა ისტორია

დაშ-ბაშის კანიონი მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის (ქციის) ხეობაში, ზღვის დონიდან 1110-1448 მ სიმაღლეზე, ქალაქ წალკიდან დაახლ. 3 კმ-ის დაცილებით, სოფ. დაშ-ბაშის (თრიალეთის ახალქალაქი) მიდამოებში (ტაბ. I). წარმოადგენს ბუნების ძეგლს. ბუნების ძეგლი არის დაცული ტერიტორიის ერთ-ერთი სახე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური სტატუსი. შეესაბამება IUCN III კატეგორიას. 2014 წლის მონაცემებით საქართველოში 41 ბუნების ძეგლია. დაშ-ბაშის კანიონი ევროპის კანიონებს შორის ერთ-ერთი დღი კანიონია.

დაშ-ბაშის კანიონი გამოირჩევა ბიომრავალფეროვნებით. მის ფერდობებზე მიწისქეშა წყლების მრავალი გამოსასვლელი და ჩანჩქერია, რაც სრულიად განსხვავებულ მიკროლანდშაფტს ქმნის თავისებური მიკროკლიმატით და ფაუნით. ჰავა ზომიერად ნოტიოა. ტემპერატურის წლიური ამპლიტუდა საკმაოდ მაღალია. ინვარის საშუალო ტემპერატურა -4-6, ხოლო ივლისის +16-18 გრადუსია.

ძეგლი მდებარეობს ლავურ მაღლობზე, ვულკანოგენურ ქანებში ჩაჭრილ კალაპოტში. დაშ-ბაშის კანიონი ბუნების ძეგლია და საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის ნაწილია. მისი ფართობია 669 ჰა. სიგრძე 8 კმ-ს აღწევს.

დაბა წალკიდან სოფ. არუხლომდე მდინარის ხეობა წარმოადგენს ვიწრო, ღრმად ჩაჭრილ კანიონს, რომლის ფსკერის სიგანე იცვლება 150-დან 400 მეტრამდე. ამ მონაკვეთზე მდინარის ხეობის ფერდობები აგებულია ვულკანური ქანებით და თითქმის ვერტიკალურია. ხეობის ფსკერი ჩახერგილია დიდი ზომის კლდოვანი ნამსხვრევებით. დაშ-ბაშის წყაროების წყლები ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ჰიდროკარბონატული მაგნიუმიან-ნატრიუმიან-კალციუმიანია. მდინარის მიმდებრე ფერდობებზე გავრცელებული მცენარეულობა სხვადასხვა სახეობრივი შემადგენლობისაა, რაც განპირობებულია მდინარის ორივე მხარის სანაპირო ტერასების და მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი ფერდობების სხვადასხვაობით. ზღვდ 1200-1600 მ-ის სიმაღლეზე გავრცელებულია იფნარ-მუხნარ-რცხილნარი ტყის ფორმაცია. ჭალის ტყე, რომელიც მდ. ხრამის ხეობის ძირზეა გავრცელებული, უმეტესად წარმოდგენილია წნორით, შავი ვერხვით და იფანით, რომელსაც ერევა ნეკერჩხლის სხვადასხვა სახეობა. ბუჩქოვანი

მცენარებიდან დაფიქსირდა ჭანჭყატი, მაყვალი, ასკილი. ბალახოვან საფარში ჭარბად არის ღოლო, ველური პიტნა, ნარი, ჭინჭარი, დიყი და სხვა.

დაშ-ბაშის კანიონში არსებული ბიომრავალფეროვნება ორიგინალურ მიკროკლიმატს ჰქმნის. ის მნიშვნელოვან სამიგრაციო და თავშესაფარ ფუნქციას ასრულებს ცხოველებისათვის. მაღალი ტყის ზონაში ბინადრობს მურა დათვი. მდინარის მიმდებარე ჭალებში და სტეპებში არის კავკასიური მგელი, მელა, ტურა, ტყის კატა, კვერნა, დედოფალა, ევროპული კურდღელი, მინდვრის თაგვი, ტყის თაგვი, წყლის მემინდვრია, თხუნელა, ზღარბი და ღამურისებრი. მდ. ხრამის ხეობაში და მის მიმდებარე მაღალ პლატოზე სათიბებში და სასაძოვრე ტერიტორიებზე დაფიქსირებულ იქნა ფრინველთა შემდეგი სახეობები: ველის კაკაჩა, შავთავა გრატა, ტყის ჭვინტაკა, მინდვრის ბელურა, მინდვრის ტოროლა, შოშია, მწყერი, გნოლი, კაკაბი, სვავი. ლიტერატურული წყაროების და მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით, მდ. ხრამში ბინადრობს თევზის შემდეგი სახეობები: მურწა, მდინარის კალმახი, მტკვრის წვერა, ჩვეულებრივი ქაშაყი, ხრამული და სხვა.

თანამედროვე სოფ. დაშ-ბაში უძველესი ქართული სოფლის - თრიალეთის ახალქალაქის ტერიტორიაზეა გაშენებული. თრიალეთის ახალქალაქი მდებარეობდა მდ. ქციის მარჯვენა მხარეზე, სოფ. ემანის აღმოსავლეთით, სოფ. ნადვალეთის ჩრდილოეთით. ახალქალაქის ქვევით ქციას ერთვის აბანოს ხევი. „თრიალეთის ახალქალაქი ფეოდალური საქართველოს მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. აქ სხვადასხვა დროს თრიალეთის ერისმთავართა, საბარათიანოს მმართველთა და სპასალართა საჯდომი იყო. ბოლო დროს კი, თვით ვახუშტი (ბატონიშვილი) ბაგრატიონსაც, როგორც ამ მხარის მმართველს, ადგილსამყოფელი თრიალეთის ახალქალაქში ჰქონდა“.<sup>63</sup> უდიდესი სიყვარულით აღწერს ვახუშტი თრიალეთს: „თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყარიანი, სანადირონი მრავალნი დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა . . . მოსავლით ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა“.<sup>64</sup>

ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი), ვახტანგ VI მეფობის დროს, 1721 წლიდან ქვემო ქართლის გამგებელი და მოწინავე ლაშქრის სარდალია. იმავე წელს მან გივი

<sup>63</sup>. რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ძეგლები. – მმ №30, 1972, გვ. 69-77.

<sup>64</sup>. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 1941, გვ. 42.

თუმანიშვილთან ერთად ჩაატარა სადროშოს აღწერა, 1724 წელს კი ვახტანგ VI-სთან ერთად საქართველო დატოვა.<sup>65</sup>

1676-1717/24 წლებში ახალქალაქის მოურაობა ეძლევა გერმანზიშვილებს, როგორც „იმათ მამა-პაპას ქონიათ”. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე (შანავაზ-ხანი), 10 გამომღები და 3 ბოგანო ყმა: მამასახლისი დათუნა, ნაღირაშვილი როსება, ნასყიდაშვილი გოგიტა, ღვინიაშვილი ბერია, რევაზაშვილი მახარა, ჩაღრალანიძე სეხნია, ზუბიაშვილი თამაზა, ტერტერაშვილი ასლუა, ხეჩატურაშვილი დათუნა, ლომუაშვილი დათუნა, ბოგანო ნასყიდა მოლაშქრე, ბოგანო ლამაზა მოლაშქრე, ბოგანო გზირი.<sup>66</sup>

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ცხოვრობდა 55 კომლი სომეხი. დღეს აქ მათი შთამომავლები სახლობენ.

ექ. თაფაიშვილის მოგზაურობის დროს ერთ-ერთი სახლის საძირკველში აღმოჩნდა სპილენძის თეფში მხედრული წარწერით, XVII ს-ზე არა უადრესი. მასზე წარწერა იყო: „ქ: ნადირას: შვილი ელისბარისია“. თეფში იყიდა თავადამა ო. აფხაზმა და გადასცა საჩუქრად ტიფლისში ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული საზოგდოების მუზეუმს.<sup>67</sup>

თრიალეთის ახალქალქი გაშენებული ყოფილა მდ. ქციის მარცხენა ნაპირზე, იქ სადაც მდინარის მიერ წარმოქმნილი კანიონი ყველაზე ღრმაა. ამ ადგილზე აღმოსავლეთისაკენ მიმავალი მდინარე მკვეთრად სამხრეთისაკენ უხვევს და წარმოქმნილია ბუნებრივი კონცხი, რომელიც სამი მხრიდან კანიონის ფრიალო კედლებითაა შემოფარგლული. კონცხის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მაღალი მთაა. მის წვერზე საუკუნოვანი მუხა დგას, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა წმინდა ხედ მიიჩნევს, აქვე წმ. სოფიოს ნიშა. ამ მთის ძირში გადის ქ. წალკიდან მომავალი გზა. ეს გზა ძველი არ არის და XIX ს-ში ჩანს გაჭრილი. ახალქალაქის დასავლეთით ღია სივრცეა, საიდანაც ძველი წალკიდან (დღევანდელი გუნია-ყალა) მომავალი გზა შემოდიოდა, რომელიც ახალქალაქის სამხრეთ ნაწილში გადიოდა და ღვთისმშობლის ეკლესიასთან არსებული მცირე კლდეკარით მდ. ქციის (ხრამი) ხეობაში ჩადიოდა.

<sup>65</sup>. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში. რედ. ე. თაფაიშვილი. მსწრაფლმბეჭდავი „მმობა“ თბილისი, 1907. გვ. VII; ვახუშტი 1941, გვ. IX.

<sup>66</sup>. მასალანი... 1907, გვ. 14-15 ლორთქიფანიძე ო. ქვემო ქართლი, ტ. I-II, თბილისი. 1935, გვ. 286.

<sup>67</sup>. Такайшвили Е. 1913: Археологические экскурсии, разыскания и заметки. – ИКОИМАО, вып. III. Тифлис. стр. 78

ვახუშტი ბაგრატიონი ასე აღწერს ამ ადგილებს: „ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა. გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ხრამსა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მხარ რ მეტი, სიგანით რპ მხარი და მეტიცა. ეძანს ქვევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდან, ვითარცა ღარიდამ. მირს აქეს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი. უდ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თვინიერ კალმახისა და სხვა თევზთა მას ერთსა დლესა შ“.<sup>68</sup>

XIX საუკუნის ბოლოს დაშ-ბაშში ორი ძველი ქართული ეკლესია იყო. სოფელთან მიახლოვებისთანავე ჩანს მდ. ქციის ქარაფოვანი კლდის კიდეზე, დაბალ ბორცვზე აღმართული წმ. გიორგის ტაძარი. ის ჯვრის ტიპის გუმბათიანი ეკლესია, ნაგებია თლილი ქვით. ეკლესიის გუმბათი არ შემორჩენილა (XX საუკუნეში ჩატარებული რესტავრაციის დროს ეკლესია გადაიზურა სადა კონუსური ფორმის სახურავით). ეკლესიას აქვს ორი შესასვლელი – დასავლეთის მკლავის სამხრეთ და ჩრდილოეთის მკლავის დასავლეთ კედელში. ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილია X-XI სს-ის მიჯნით დათარიღებული რამდენიმე წარწერა: სამხრეთის კარის თავზე მდებარე დიდი ზომის ქვაზე ამოკვეთილია წარწერა - „მადლითა ღმრთისაითა ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ ერისთავი.“ აღმოსავლეთის ფასადის მდიდრულად მოჩუქურთმებული სარკმლის საპირეში ჩართულია წარწერა - „ქრისტე ადიდე რატ ერისთავთ-ერისთავი“.

გარდა ქტიორთა წარწერებისა ეკლესიას ამკობს მლოცველთა მოსახსენებელი წარწერები: აღმოსავლეთის ფასადზე ექ. თაყაიშვილი კითხულობს „ქრისტე შეიწყალე მელქისედეკ და შვილნი“, 6. შოშიაშვილის მიხედვით: „ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე მ(ე)ლქი(სედეკ) (მალაქია?) და შ(ვ)ილნი“. სამხრეთის კარის ჩარჩოზე, მარჯვნივ თაყაიშვილის მიხედვით წერია - „ქრისტე შეიწყალე მელქისედექ კათალიკოზი“, შოშიაშვილის წაკითხვით - „ქ(რისტე) შ(ეიწყალ)ე მ(ე)ლქ(ი)ს(ედე)ქ“. საკურთხევლის სამხრეთის კედელზე - „ქრისტე

<sup>68</sup>. ვახუშტი 1941, გვ. 41-42.

შეიწყალე ჯაგანა“ . ეკლესიის სამხრეთ სარკმელს ამკობს ბარელიეფი - ზელის გამოსახულება, რომელსაც ჯვარი უჭირავს; ამ სარკმლის მარჯვნივ მეორე ჯვარია გამოსახული, რომელსაც ამკობს ხუცური წარწერა: „ქრისტე შეიწყალე“ . სამხრეთის კარის მახლობლად დეკორატიული ტრომპის ზედაპირზე ანგელოზის რელიეფური გამოსახულებაა წარწერით „წმინდა.“ სამხრეთ კარის ჩარჩოზე, მოსახსენიებელი წარწერის ქვევით მხედრული წარწერაა: „წმინდაი გიორგი ნაქალაქევისა“. ამ წარწერის მიხედვით ეკლესია წმინდა გიორგის სახელზე იყო აგებული.

ექ. თაყაიშვილის აზრით, ეს ეკლესია აგებული უნდა ყოფილიყო ბაგრატ IV მეფობის დროს, XI საუკუნეში, რადგან კათალიკოზი მელქისედეკი და რატი II ლიპარიტ II-ის ძე ცხოვრობდნენ ბაგრატ IV-ის დროს. 6. შოშიაშვილი და ლ. რჩეულიშვილი დაშ-ბაშის ტაძარს X-XI სს-ის მიჯნით ათარიღებენ.<sup>69</sup> იმის გათვალისწინებით, რომ XI ს-ის დასაწყისში თრიალეთს ბაღვაშები დროებით აღარ განაგებენ, დაშ-ბაშის ეკლესიის აგების თარიღად X ს-ის მიწურული (988 წლამდე) უნდა მივიჩნიოთ და რატი I ერისთავთ-ერისთავს დავუკავშიროთ.

ეკლესიის შიგნით ე. თაყაიშვილის დროს ყოფილა მხედრული წარწერებით და ადამიანების, სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებით შემცული საფლავის ქვები. ასეთი ქვები ამჟამად ეკლესიის სამხრეთით გვხდება, ძირითადი სამაროვანი კი ჩრდილოეთით, ბორცვის ძირშია გამართული.

წმ. გიორგის ეკლესიის წინ შეიმჩნევა ციკლოპური ზღუდის ნაშთი. როგორც ჩანს, ციკლოპურ სიმაგრეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით, რადგან სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მისადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა მდ. ქციას ღრმა კანიონი დაქანებული კლდეებით. თრიალეთის მსგავსი ტიპის ციკლოპური სიმაგრეები გვიანბრინჯაორკინის ხანით თარიღდება. ლ. მელიქშეთ-ბეგის აზრით, სოფელ დაშ-ბაშის თავზე არსებული ქვათა გროვა მეგალითური სისტემის ციხის ნაშთს წარმოადგენს<sup>70</sup>. ის აღნიშნავს, რომ დაშ-ბაშის წმ. გიორგის ეკლესიის წინ შეიმჩნევა „ციკლოპური ზღუდის ნაშთი: როგორც ეტყობა,

<sup>69</sup>. შოშიაშვილი 6. ლაპიძარული წარწერები. ტ. I. თბილისი. 1980, გვ. 243-246; თაკაშვილი 1913, стр. 74-76; რჩეულიშვილი ლ. რატ ერისთავთ-ერისთავის ნაგებობა თრიალეთის ახალქალაქში. - ქართული ხელოვნება. №7, სერია A, 1971, გვ. 111-126; რჩეულიშვილი ლ. თრიალეთის ახალქალაქის ძეგლები. – მმ №30, 1972, გვ. 69-77.

<sup>70</sup>. მელიქშეთ-ბეგი ლ. მეგალითური კულტურა საქართველოში. თბილისი. 1938, გვ. 13.

ციკლოპურ ციხეს მხოლოდ ეს ერთი ზღუდე ახლდა დასავლეთით, რამდენადაც სწორედ ამ მხრიდან იყო იგი მოსადგომი, დანარჩენი მხრიდან კი მას უვლიდა ღრმა ხრამი დაქანებული კლდებით“. ამ ზღუდის ანალოგად მას მიაჩნია ჰორომის სადგომი სომხეთში<sup>71</sup>.

სოფლის დასავლეთ ნაწილში, წმ. გიორგის ეკლესიის სამხრეთით, მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე ღვთისმშობლის ეკლესია დგას. ძველი ქართული ეკლესიის ნანგრევებზე ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას XIX ს-ში ეკლესია აუშენებია. ის დღეს დანგრეულია. შემორჩენილია მხოლოდ აფსიდი და სამხრეთი კედელი. ეკლესიაზე ყოფილა წარწერები, რომელიც დღეისათვის შემორჩენილი არ არის. XIX საუკუნის ბოლოს, როცა ექ. თაყაიშვილმა აღწერა დაშ-ბაშის ეკლესიები, ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთის კარის თავზე შემორჩენილი იყო ცხრასტრიქონიანი წარწერის ფრაგმენტი, თაყაიშვილმა გაარჩია მე-3 და მე-4 სტიქონები: „ღმერთო ადიდე ერისთავთ-ერისთავი რატი“. შოშიაშვილი ამატებს მე-5 და მე-9 სტიქონების ნაწილს „... ადიდენ ღმერთმან ერისთავთ-ერისთავი რატი ... ელთა (ახალქალაქელთა?) ... ენი კდ“. ამავე კარის მარცხნივ ამოკვეთილ ხუთსტრიქონიანი წარწერიდან შემორჩენილია მხოლოდ სამი გრაფემა. წარწერიანი ქვა ყოფილა ეკლესიის ეზოშიც (ქვა ექ. თაყაიშვილმა ჩამოიტანა თბილისში და გადასცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს. ქვა ამჟამად დაკარგულია). მასზე თაყაიშვილი კითხულობს: „ქრისტე, სახელითა ღმრთისათა ჩუენ, ახალქალაქელთა დაუწერეთ დაწერილი და შეწირული, შენგან კითხვითა(?) რატ ერისთავთ-ერისთავისა...“. წარწერის სრული ტექსტი „ქრისტე, სახელითა ღმრთისა თა ჩუენ, ახალქალაქელთა დაუწერეთ დაწერილი და შეწირული, შენგან კითხვითა რატ ერისთავთ-ერისთავისა: წირვიდნენ ჯუარისა საყდრისა. ვინ აღმოიკითხოთ დაწერილი ...თა. ვინ...“<sup>72</sup> ამ წარწერიდან ნათელია, რომ ზემოხსენებული ეკლესია აგებული, ან განახლებული უნდა ყოფილიყო ახალქალაქელების, ან ახალქალაქელების პატრონის მიერ რატ ერისთავთ-ერისთავის დროს. უეჭველია, რომ წმ. გიორგის ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული რატი და ღვთისმშობლის ეკლესიის წარწერის რატი ერთი და იგივე პირია.

ადგილობრივმა მოსახლეობამ უკანასკნელ წლებში გაასუფთავა ეკლესის ინტერიერი და ეზო. არქიტექტურული დეტალები და ძველი სამშენებლო ქვები დასაწყობებულია ეკლესიის

<sup>71</sup>. მელიქეთ-ბეგი 1938, გვ. 54.

<sup>72</sup>. თაკაშვილი 1913, სტ. 77-78; შოშიაშვილი 1980, გვ. 247-248.

აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით. ღვთისმშობლის ეპლესია წმ. გიორგის ეპლესიის თანადროული უნდა იყოს.

წმ. გიორგის ეპლესია მეორე ეპლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით, მთაზე დგას. ეპლესია აშენებულია თანაბარი ზომის დამუშავებული ქვის კვდრებით, კადლების წყობაში გამოყენებულია ძველი ეპლესის ქვები. იგი წარმოადგენს დარბაზულ ნაგებობას, აღმოსავლეთით ნახევაწრიული აფსიდით. აფსიდში ჩრდილოეთ მხარეს ნიშია. შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, იგი არქიტრავულია. შესასვლელის თავზე ჩაშენებულია ქვა ჯვრის გამოსახულებით. სარკმლები გაჭრილია დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედელში. კარნიზად გამოყენებულია ძველი ეპლესის კარნიზები. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა, რომელზეც ძველი კაპიტელი დევს, აქვეა ქვაჯვარის ერთ-ერთი მკლავი, რომელზეც ჯვრებია ამოკვეთილი. ეპლესიის მახლობლად სამი თანამედროვე ნაგებობა დგას. ერთ-ერთს წმ. პავლეს სამლოცველოს უწოდებენ. წმ. გიორგის ეპლესია აგებულია VIII-IX სს-ში, გადაკეთებულია XIX ს-ის მეორე ნახევარში ბერძნების მიერ.

სოფ. დაშ-ბაშის სკოლის ეზოში დიდი სამაროვანი მდებარეობს. აქ 1937-38 წლებში გაითხარა მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ.წ. IV ათასწლეული), გვიანი ბრინჯაოს ხანის, ანტიკური ეპოქისა და ადრეული შუასაუკუნეების სამარხები.<sup>73</sup> ამჟამად სკოლის ეზო მოსწორებულია, დიდი ნაწილი უკავია სპორტულ მოედანს. სამარხების კვალი მიწის ზედაპირზე არ შეინიშნება.

სოფ. დაშ-ბაშში, მთის სამხრეთ ძირთან, სადაც ციგლოპური გალავნის ნანგრევებია, გვიანრომაული და სასანიდური პერიოდის სამაროვანზე 1936 წელს აღმოჩნდა ადრებრინჯაოს ხანის („მტკვარ-არაქსის“ კულტურა) სამარხი. სამარხი წარმოადგენს ქვის ფილებით მოგებულ ქვაფუთს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ვერტიკალურად დაყენებული ქვა ზღუდავდა. მისი ზომებია 1.1 X 1,5 მ. გადახურული იყო დიდი ქვით. მიცვალებულის ჩოხჩი უწესრიგოდ იყო დალაგებული, მისი თავის ქალა და ყბა ორ სხვადასხვა ჯამში იდო. ძვლები იმდენად ცუდად იყო შემონახული, რომ მნელია საუბარი, იყო აქ მეორადი დაკრძალვა, თუ

<sup>73</sup>. კუფტინ, დневник 1939 წელი, გვ. 18, 42.

დარღვეულია პირველადი.<sup>74</sup> ინვენტარს 7 თიხის ჭურჭელი წარმოადგენდა, რომლის მიხედვით, სამარხი ძვ.წ. III ათასწლ. პირველი ნახევრით დათარიღდა.<sup>75</sup>

სოფ. დაშ-ბაშის სკოლასთან 1936 წელს გაითხარა სამი ქვაყუთი. პირველი წარმოადგენდა გრძელ და ვიწრო ქვაყუთს, რომელიც 6 ქვის ფილისგადან შედგებოდა. მიცვალებულის კარგად შენახული ჩონჩხი ზურგზე იყო გაშოტილი. ინვენტარი არ იყო ჩატანებული. ორი სამარხი გაითხარა ერთმანეთთან ახლოს, სკოლიდან ჩრდილო-დასავლეთით, სკოლის მოედანზე. ორივე წარმოადგენდა 4 ქვის ფილისგან შემდგარ მოკლე ქვაყუთს. მათ გადახურვა არ ჰქონდათ. ორივეში აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი ძლიერ მოკრუჩხულ პოზაში, მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთ-დასავლეთით. ინვენტარს წარმოადგენდა წითლად გამომწვარი დოქები, მუქი ფერის კოჭობი და ერთ-ერთში იდო რკინის შუბი.<sup>76</sup> სოფ. დაშ-ბაშთან აღმოჩნდა აგრეთვე, ძვ.წ. V-IV სს-ის მცირე ზომის 3 ქვაყუთი.<sup>77</sup>

მდ. ხრამის კანიონში მღვიმე-ქვაბთა კომპლექსებია გამართული. მღვიმე-ქვაბთა კომპლექსები გამოკვეთილია ქარაფოვან კლდეში. მღვიმეთა პირველი კომპლექსი კანიონის დასაწყისშივეა.

დაშ-ბაშის კანიონი წალკის ხიდთან იწყება და სოფ. დაშ-ბაშთან სრულდება. ვახუშტი ბაგრატიონი წერს: ქცია „თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დახრამდების“.<sup>78</sup>

მდ. ქციაზე გადებული წალკის ძველი ხიდის ჩრდილოეთ ბურჯში ჩაშენებულია ეკლესის ქვები, მათ შორის ასომთავრულწარწერიანი ქვა. ერთ-ერთი წარწერა ექ. თაყაიშვილმა ასე წაიკითხა: „სახელითა ღმრთისათა მე მირიან თარხონის ძემან აღვაშენე და ღირს ვიქმენ წმიდაო ეს ეკლესია, საყოფელი წმიდისა დემეტრე მოწამისა, სალოცავად, აცოცხლებ ღმერთმან, საგარეოს(?) შინ(ა) უამთას ბაგრატ მეფეთა მეფე სევასტოსი ამინ“. წარწერას ექ. თაყაიშვილი 1059-1072 წლებში, ბაგრატ IV-ის მიერ სევასტოსის ტიტულისა და მისი გადაცვალების თარიღებს შორის ათავსებს. „რაც შეეხება მირიანს, როგორც ჩანს, ის იგივე მირიან თარხონის ძე უნდა ყოფილიყო, რომელიც წინა წარწერაშია (მანგლისთან ნაპოვნი გ.6) მოხსენიებული“. მირიან თარხონის ძის აგებულად მიაჩნია მას ვერის ეკლესია,

<sup>74</sup>. Куфтин Б. Археологические раскопки в Триалети. Тбилиси. 1941, стр. 117.

<sup>75</sup>. Жоржикашвили Л., Гогадзе Э. Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы. Тб. 1974, с. 6.

<sup>76</sup>. Куфтин 1939, стр. 42.

<sup>77</sup>. გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები. ტ. III. თბილისი. 1982, გვ. 57-59.

<sup>78</sup>. ქართლის ცხოვრება IV, 1973, გვ. 219.

ასევე ქალაქი და სასახლე ატენის სიონის მახლობლად, რაზეც მისი აზრით ატენის სიონზე ამოკვეთილი წარწერა მიუთითებს.<sup>79</sup>

იმავე ბურჯის ერთ-ერთ ქვაზე შემდეგი წარწერაა: „მამად მთავარი წურწყაბელი ერისთავი გრიგოლ... (სუ)ლსა მირიანის მშობელთ სასუფეველსა შნსა“. გრიგოლ წურწყაბელი, ექ. თაყაიშვილის აზრით, ერისთავიც იყო და ეპისკოპოსიც, მსგავსი საერო უფლებებით სარგებლობდა ტბეთის ეპისკოპოსიც. მეფის კურთხევის დროს წურწყაბელი ეპისკოპოსი მეთორმეტე ადგილზე იყო. ექ. თაყაიშვილის აზრით, ზიდის მშენებლობისას გამოყენებული ქვები შესაძლებელია მოზიდეს სოფ. გუნდა-ყალადან (ისტორიული წალკა), სადაც უნდა მდგარიყო წალკელი ეპისკოპოსის საკათედრო ტაძარი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო უნდა ყოფილიყო ამ რეგიონში.<sup>80</sup>

კანიონის დასაწყისშივე, ზიდიდან 50 მ-ის დაცილებით, მდინარის მარცხენა ნაპირზე გამოქვაბულია. 1936 წელს მცირე მასშტაბის სამუშაოები ჩაატარა ბ. კუფტინმა და მეზოლითური ეპოქის იარაღები მოიპოვა, თუმცა ქვედა ფენებამდე არ დასულა.<sup>81</sup> იგი წარმოადგენს ბუნებრივ გამოქვაბულს, რომელიც გაჭრილია მდინარის კლდოვან, ციცაბო ნაპირზე. იგი წარმოადგენს ბუნებრივ გამოქვაბულს, რომელიც გაჭრილია მდინარის კლდოვან, ციცაბო ნაპირზე. ამ ადგილიდან იწყება კლდეში ნაკვეთი და ბუნებრივი გამოქვაბულების მთელი სისტემა, რომელიც მდინარეს თითქმის შესართავამდე მიუყვება.

წალკის კანიონში (ებანი, ბარმაქსიზი) 1936 წელს ბ. კუფტინმა ზედა პალეოლითური (ეპიპალეოლითური) გამოქვაბული გათხარა. პალეოლითური სადგომი წარმოადგენს მოედანს კლდის ქვეშ არსებულ ღია გამოქვაბულში. გათხრები წარმოებული იყო მის შუა ნაწილში, რომელიც ებჯინებოდა იქ არსებულ ღორის სადგომის ქვის კედელს. ღორის სადგომი მხოლოდ ერთი წელი არსებობდა ამ გამოქვაბულში, მაგრამ საკმაოდ დააზიანა მიწის ზედაპირი.<sup>82</sup> ბ. კუფტინის აზრით, ზრამის ზეობაში არსებული მრავალრიცხოვანი გამოქვაბულების კვლევა დიდ სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს და სავარაუდოდ წარმოაჩენს სხვადასხვა ეტაპებს და ფაზების მთელ სერიას ადგილობრივი

<sup>79</sup>. Такаишвили, 1913, стр. 68-72.

<sup>80</sup>. Такаишвили 1913, стр. 72-73.

<sup>81</sup>. Куфтин, дневник 1936 года, стр. 51-52.

<sup>82</sup>. Куфтин 1936 стр. 135-136

ზედაპალეოლითური ინდუსტრიის განვითარებაში.<sup>83</sup> გამოქვაბულში მოპოვებული ქვის ინდუსტრია ძირითადად ობსიდიანი იარაღებით არის წარმოდგენილი, რომელიც სავარაუდოდ ფარავნის ტბისკენ მიმავალ უღელტეხილზე მოიპოვებოდა. წითელი და ნაცრისფერი კაჟის იარაღი უფრო ხშირად ობსიდიანი იარაღის ფორმებს იმეორებენ. ობსიდიანის იარაღის უმრავლესობა საშუალო და მცირე ზომის ლამელებს წარმოადგენენ, მათ დაბოლოვებაზე ხშირად საფხეკებია წარმოდგენილი, ერთგვარი კომბინირებული იარაღებია. გვხვდება სფერული ნუკლეიდური იარაღი მოკლე ფაცეტებით, აგრეთვე სეგმენტისებური ლამელები, ზოგჯერ მათი მინიატურული სახეობა. გამოქვაბულში აღმოჩნდა რამდენიმე ასეული ობსიდიანის და კაჟის იარაღი. ოსტეოლოგიური მასალა ძირითადად ცხენის ძვლებით და კბილებითაა წარმოდგენილი. სავარაუდოდ, პალეოლითში, დიდი ზომის ველური ცხენი წალკაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო და ძირითადად სანადირო ცხოველს წარმოადგენდა.<sup>84</sup>

წალკიდან იწყება კლდეში ნაკვეთი და ბუნებრივი გამოქვაბულების ახალი სისტემა, რომელიც მდ. ქცია/ხრამს თითქმის შესართავამდე მიუყვება.

გამოქვაბულთა მეორე კომპლექსი მდ. ქციაზე არსებული პირველი ჩანჩქერის დასვლეთითაა. ის ძლიერაა დაზიანებული. მის დასავლეთით, მდ. ხრამის კანიონის თავზე ნასოფლარი მარიამი. ის მდებარეობს ქ. წალკის ხიდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 1,5-ის კმ დაცილებით, სამანქანო გზის პირას, სოფ. ახალიკის გადასახვევთან. ი. ლორთქიფანიძის მიხედვით სოფ. მარიამი, ან მარიამნი მდებარეობდა „ქციის მარცხნა მხარეზე, გარყოფის სამხრეთით, აბანოს ჩრდილო-დასავლეთით. 1719 წლის სიგელის მიხედვით მოსაზღვრეა, თრიალეთის სოფლის ჩრდილისუბნის, მებატონეა გოსტაშაბაშვილი. ტოპონიმი მერიემი (მარიამი), გვხვდება სამხრეთ საქართველოში „დიდი არტაანის ლივაში“. ს. ჯიქიას აზრით, ამ სოფელში იქნებოდა ღვთისმშობელის ეკლესია.

1591 წელს სოფ. მარიამის ნახევარი ებობა იოანე ბარათაშვილს, 1693 წელს მეფე ერეკლე I უთარხნებს პაპუნა გოსტაშაბაშვილს თრიალეთში ნასოფლარ მარიამს. 1713 წლისათვის სოფელი აღდგენილი ჩანს, რამდენაც აქ გოსტაშაბაშვილებს ჰყავდათ 19 გამომღები და 3 ბოგანო ყმა. 1721 წლის აღწერით ითვლებოდა 1 მებატონე - გოსტა-

<sup>83</sup>. კუფტინ 1936, სტ. 43

<sup>84</sup>. კუფტინ 1936, სტ. 44

შაბიშვილი, 8 გამომდები და 3 ბოგანი ყმა. გოსტაშაბაშვილი ამილდაბარის ყმები იყვნენ: მამასახლისი ივანე, ლომიტაშვილი გიორგი, აბროსაშვილი შერმაზანა, ზაალაშვილი ბერია, კონიაშვილი ბასილა, კონიაშვილი გიორგი, ლომიტაშვილი დათუნა, იაშვილი ქიტია, ბოგანო ბერია მოლაშქრე, ბოგანო ბასილა, ბოგანო თანდილა.

ნასოფლარის ტერიტორიაზე 1990 წლამდე მხოლოდ ძველი ეკლესიის ქვებით შედგენილი ტრილითის ფორმის ნიში იდგა, რომლის ერთ-ერთ ქვაზე ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი იყო შემორჩენილი. 1991 წელს ადგილობრივმა მოსახლეობამ ნიში მოარღვია და წმ. დიმიტრის სამლოცველოს მშენებლობა წამოიწყო. ამ ტერიტორიაზე ჩატარდა მცირე არქეოლოგიური გათხრები, რომლის დროსაც დაღინდა ძველი ეკლესიის გეგმა, აღმოჩნდა სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი და წარწერიანი ქვები, რომლებიც ეკლესიის საკურთხეველში იქნა მოთავსებული. სამლოცველოს მშენებლობა 1993 წელს დასრულდა. წარწერიანი ქვები ჩაშენებულ იქნა სამლოცველოს კედლებში. მოგვიანებით სამლოცველო შელესეს და შეათეთრეს ისე, რომ წარწერები აღარ ჩანს. ეკლესიის ეზოში ადამინისა და საყოფაცხოვრებო ნივთების გამოსახულებით შემკული საფლავის ქვები და ქვაჯვარის ბაზისია. ნასოფლარის ტერიტორიაზე, 1936 წელს ბ. კუფტინმა შუასაუკუნეების 6 უინვენტარო ქვაფუთი გათხარა.<sup>6</sup> ოდნავ ქვევით, წალკისაკენ მიმავალი გზის პირას კი ადრებრინჯაოს ხანის სამარხი გათხარა.

ნასოფლარი მდ. ხრამის კანიონამდე ვრცდელდება. ნაგებობათა ნაშთები, გზები და მცირე მოედნები ზედაპირზევე შეინიშნება. თუ არქეოლოგიურ მონაცემებს გავითვალისწინებთ ამ ტერიტორიაზე ადამიანს ადრებრინჯაოს ხანიდან გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით უცხოვრია. ეს ნასოფლარი ერთ-ერთი ყველაზე დიდია ისტორიულ თრიალეთში.

მღვიმე-ქვაბთა მესამე კომპლექსი კანიონის მარცხნა და მარჯვენა ნაპირების დამაკავშირებელი გრუნტის გზის დასავლეთითაა. გამოქვაბულთა ეს კომპლექსი შვიდ ტერასაზეა განთავსებული.

პირველ ტერასაზე შემორჩენილია კარიბჭის ნაშთი. ამ ტერასის გამოქვაბულები გამოქვაბულები გეგმაში მომრგვალო ფორმისაა. ყველას აქვს თითო კარი. დიდ გამოქვაბულებს სარკმელიც აქვთ დატანილი. ზოგიერთი გამოქვაბული თითქოს ორსართულიანია. თუმცა, დღეს მეორე სართულზე ასვლა შეუძლებელია. აქ მოხვედრა სოფ. ახალიკის მხრიდან არის შესაძლებელი. ეს კომპლექსი არქეოლოგიურად პროფ. 6. ბახტაძემ

შეისწავლა და განვითარებული შუასაუკუნებით დაათარიღა. ზოგიერთი მღვიმის იატაკის ქვეშ უფრო ადრეულ ფენებსაც მიაგნო და ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალებიც მოიპოვა.

გამოქვაბულთა მეოთხე კომპლექსი მდ. ხრამის მარცხენა ნაპირზე, სოფ. დაშ-ბაშის მოპირდაპირედაა განლაგებული.

მღვიმე-ქვაბთა მეხუთე კომპლექსი მდ. ქციის მარჯვენა ნაპირის ქარფებშია გამოკვეთილი. ისინი ძირითადად „თრიალეთის აზალქალაქის“ ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია განთავსებული, იქ სადაც ე.წ. ციკლოპური კედელია გამართული.

მეექვსე კომპლექსი მდინარის გაყოლებით, მდ. აბანოსხევის მიდამოებშია დაფიქსირებული, იქ სადაც აბანოსხევი და მდ. ხრამი ერთმანეთს ერთვიან. აქ, დაშ-ბაშის კანიონის თავზე ნასოფლარი ბაბია მდებარეობს. ის სოფ. კოხტას სამხრეთით, მდ. ხრამის ქარაფოვან ნაპირზე ყოფილა გაშენებული. ნასოფლარის სოფლის განაპირას, ხრამის ქარაფებში, იქ სადაც მდ. აბანოსხევი ჩამოდის გამოქვაბულთა VI კომპლექსია გამართული.

ვახუშტის რუკაზე, თანამედროვე სოფ. კოხტას მიდამოებში აღნიშნულია ორი სოფელი ბაბია, სოფ. ატამეთი და სოფ. ჩრდილისუბანი. ჩვენი აზრით, დიდი ბაბია უნდა იყოს სოფ. ხარებას ჩრდილოეთით არსებული ნასოფლარი, სადაც ახლა წმ. კონსტანტინეს ეკლესია დგას. მეორე ბაბია კი დღევანდელი სოფ. კოხტას სამხრეთით უნდა ყოფილიყო, სადაც ღმრთისმშობლის ეკლესია მდებარეობს.

ნასოფლარი დიდი ბაბია მდებარეობს სოფ. ახალიკის სამხრეთით 1,0 კმ და სოფ. ქვემო ხარაბას ჩრდილოეთით 1,0 კმ დაცილებით, სოფ. ახალიკიდან სოფ. ქვემო ხარაბასაკენ მიმავალ გზაზე, რომელიც მას შუაზე კვეთს. ი. ლორთქიფანიძის მიხედვით ბაბია მდებარეობდა „აბანოს ხევის მარცხენა მხარეზე, სოფ. აბანოს აღმოსავლეთით, ატამეთის ჩრდილო-დასავლეთით.“

1543 წელს ფარიშატ გერმანოზიშვილს ერგო დიდი ბაბია და ნასოფლარი ბაბია. ეს ნასოფლარი ვახუშტის დროს ისევ დასახლებული ჩანს. 1721 წლის აღწერილობით ამ სოფელში ითვლებოდა 3 მებატონე (გერმანოზიშვილები და ვარაზაშვილი) და 4 გამომღები ყმა: გერმანოზიშვილი დათუნასი - სამნაშვილი თამაზა, მირიჯანაშვილი მახარა; გერმანოზიშვილი ოთარის - მეხრიშვილი ბერუა; ვარაზაშვილის ლუარსაბის - სამადაშვილი ბერუა.

ნასოფლარი დაფარულია მიწით. მისი ტერიტორია სათიბადაა გამოყენებული. ნასოფლარს სოფ. ახალიკიდან სოფ. ქვემო ზარაბასაკენ მიმავალი გზა კვეთს, რომლის პირასაც წმ. კონსატანტინეს ეკლესია დგას.<sup>4</sup> ნასოფლარის ჩრდილო-აღმოსავლეთ განაპირას, ფერდობზე. იგი წარმოადგენს მცირე დარბაზულ ნაგებობას. ძველი, შუა საუკუნეების ეკლესია საფუძვლიანადაა გადაკეთებული ბერძნების მიერ. შეინიშნება უახლესი შეკეთების კვალიც. კედლები ნაგებია მცირე ზომის ცუდად დამუშავებული ქვით, დუღაბზე. გადახურულია თუნუქით. ინტერიერში დაცულია ქვაჯვარის ფრაგმენტი, ბაზისი და ტრაპეზის ქვა. ეკლესია შემოფარგლულია ქვის ზღუდით, რომელშიც კარია დატანებული. კარებში, ზღუდის ორივე მხარეს ქვაჯვარის ბაზისები და არქიტექტურული დეტალებია ჩაშენებული. ეკლესის ეზოში ძველი საფლავების ქვებია, მათ შორის ცხენის ქანდაკება.

გამოქვაბულთა VII კომპლექსი ნასოფლარ კისიას მიდამოებში მდებარეობს. სოფ. დაშბაშის სამხრეთ-აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების გზის პირას ნასოფლარია. ის მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ჩვენი აზრით, ეს ნასოფლარი ვახუშტის სოფლების ჩამონათვალში აღნიშნული სოფ. კისია უნდა იყოს. ნასოფლარი მდებარეობს თრიალეთის ახალქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთით 3,5 კმ-ის დაცილებით. ახალქალაქიდან დღესაც ჩამოდის საცალფეხო გზა. თუმცა, ალაგ-ალაგ შეინიშნება საურმე გზის ნაშთებიც. ნასოფლარი შეფენილი ყოფილა ციცაბო კლდის ძირში არსებულ ფერდობზე. იგი დაზიანებულია უკანასკნელ წლებში გახსნილი ქვის დასამუშავებელი კარიერის და მისკენ მიმავალი გზის გაჭრის დროს. გზის მშენებლობის დროს ფერდი ჩამოჭრილია 4-5 მ სიმაღლეზე, სადაც კარგად ჩანს კულტურული ფენები, რომელთა სიმბლავო 2-3 მ აღწევს. ფენებზე დაკვირვება გვთვენებს, რომ სოფელი ძლიერი ხანძრის შედეგად არის განადგურებული.

ახალი გზის პირას, კარიერის სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 მ დაცილებით წმ. დიმიტრის ეკლესია მდებარეობს. ნასოფლარი განლაგებულია ეკლესიის გარშემო, თუმცა ძირითადი ნაწილი მისგან დასავლეთით მდებარეობს. იგი დარბაზულია, ნაგებია ბაზალტის ქვით, დუღაბზე. აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა აქვს. საკურთხეველში დგას ტრაპეზის ქვა. შესასვლელი არქიტრავულია და სამხრეთიდანაა გაჭრილი. ეკლესია გვიან შუასაუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს, თუმცა დასახლება აქ უფრო ადრე ჩანს გამართული.

ნასოფლარის განაპირას, მდ. ხრამის კანიონის ბაზალტის მასივში მღვიმეთა კომპლექსია (გამოქვაბულთა მეშვიდე კომპლექსი). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ბუზხანას“

უწოდებს, რაც ყინულის მოსაპოვებელ ადგილს ნიშნავს. ჩანს, რომ ფრიალო კლდის ძირას შეკვეთილია გამოქვაბულები, საიდანაც ყინულს იღებდნენ.

## 2019 წელს II უბანზე ჩატარებული I ეტაპის სამუშაოები

პროექტის ამ ნაწილში განხილულია ა(ა)იპ „სიძველეთა დაცვის და შესწავლის ცენტრ – თრიალეთსა“ და შპს „კაას ლენდს“ შორის 2019 წლის 30 მაისს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მონაკვეთებზე ჩატარებული I ეტაპის არქეოლოგიური სამუშაოების ის შედეგები და დასკვნები რომლებიც ეხება II უბანს.

**II უბანი** მდებარეობს მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე, დაშ-ბაშის კანიონის თავზე (ტაბ. XXII). ტერიტორია (6 000 მ<sup>2</sup>) განთავსებულია უშუალოდ კანიონის ნაპირზე და ტერასულადაა განლაგებული – ზედა, ჩრდილოეთი ნაწილი გაშლილი ველის კიდეს წარმოადგენს, ქვედა კი დაახლ. 4-6 მ-ით დაბლაა და მცირე ტერასას (VII) ქმნის. კანიონის ეს მონაკვეთი გამოქვაბულთა III კომპლექსის შემადგენლობაში ექცევა. მდ. ქციას მარცხენა ნაპირზე, დაშ-ბაშის კანიონის ძირიდან თავამდე VII ტერასა ფიქსირდება. ყველა ტერასაზე გამოქვაბულები და ეხებია განთავსებული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოქვაბულთა ამ კომპლექსებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში მიიქცია ყურადღება. 1949 წ. წალკის მიდამოებში, მდ. ხრამის კალაპოტში არქეოლოგიურ დაზერვებს აწარმოებდნენ გ. ლომთათიძე და ო. გძელიშვილი. მათ ხეობის გაყოლებაზე გამოკვეთილი გამოქვაბულების წინ და თარო კლდეებზე აკრიფეს ობსიდიანის ანატკეცები და ბრინჯაოს ხანის შავი კერამიკა.<sup>85</sup>

ქვემო ქართლის კლდის ძეგლების მიზანმიმართული კვლევის პირველ ცდად უნდა ჩაითვალოს საქართველოს მეცნიერთა აკადემიის პრეზიდიუმის სპელეოლოგიური კომისიის მიერ 1960-1961 წლებში ჩატარებული ექსპედიციები. სპელეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა კ. ჯავრიშვილმა პირველად გამიჯნა ერთმანეთისაგან მდ. ხრამისა და მისი შენაკად ხეობათა მღვიმეები და ხელოვნური გამოქვაბულები. გარდა ამისა მან მოგვცა კლდის

<sup>85</sup>. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი, 1991, გვ. 14; ლომთათიძე გ., გძელიშვილი ო. თრიალეთში 1949 წ. მივლინების ანგარიში. – მიმომხილველი, ტ. 2, 1951, გვ. 325-326.

ძეგლთა ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით განხილვა და მათი ტიპოლოგიურად დაჯგუფება. კ. ჯავრიშვილმა ამ რეგიონის გამოქვაბულთა კომპლექსების აბსოლუტური უმრავლესობა ფერდალური ხანის თავდაცვით სისტემებად – ციხე-ქაბებად მიიჩნია.<sup>86</sup>

1984-2002 წლებში ქვემო ქართლში არსებულ ქვაბთა კომპლექსების სისტემატური კვლევა ჩაატარა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქვემო ქართლის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ბახტაძის ხელმძღვანელობით.

ნ. ბახტაძე აღნიშნავს - თრიალეთის ახალქალაქის მიდამოებში მდინარე ხრამის ფერდობების კლდოვან ქარაფებში მრავალი გამოქვაბულია გამოკვეთილი. განსაკუთრებით საყურადღებოა ნაქალაქარის ციტადელის კონცხის ქვედა რეგისტრში გამოკვეთილი ორ იარუსიანი, თვრამეტ გამოქვაბულიანი კომპლექსი (ჩვენი ნუმერაციით V კომპლექსი) და მის პირდაპირ ხეობის მარცხნა კალთაში არსებული ორი თითო იარუსიანი (ჩვენი ნუმერაციით III და IV კომპლექსები), ერთმანეთისაგან დაახლოებით ერთი კილომეტრით დაშორებული, კომპლექსები. ამ გამოქვაბულთა გეგმარებაც ხრამის ხეობის შუაწელის ტიპისაა - უხეშად გამოკვეთილი, არასწორი გეომეტრიული ფორმის, სხვადასხვა ზომის, უმტესად იზოლირებული სათავსებიანი.

გამოქვაბულთა ჯგუფების დიდი უმრავლესობა ხეობის ძირიდან ან პლატოდან ადვილი მისადგომია, ამიტომ გამორიცხულია ისინი თავიდანვე თავდაცვითი მიზნით იყოს შექმნილი. რამდენადმე მიუვალია მხოლოდ მარცხნა კალთის ერთი ჯგუფი, რომელიც გეგმარებით სხვა გამოქვაბულებისაგან განსხვავდება და საფიქრებელია რომ მისკენ მიმავალი გზა შემდეგ ჩამოიშალა. ამავე, მარცხნა კალთის გამოქვაბულთა მეორე კომპლექსის ნაწილი მხოლოდ მოგვიანებით გამოუყენებიათ საფორტიფიკაციო მიზნით, რისთვისაც მარცხნა განაპირა ხუთი გამოქვაბულისაკენ მიმავალი ტერასული გასასვლელი ქვითკირის ზღუდით გადაუდობავთ, დანარჩენი სათავსები კი სრულიად გაუმარებელი დარჩენილა. თავდაცვითი მიზნით გადაკეთების კვალი ნაქალაქარის მიდამოების ზოგიერთ სხვა კლდის ძეგლშიც შეინიშნება. გეგმარებითა და საერთო სტრუქტურით ამ ძეგლთა მსგავსია გამოქვაბულთა მცირე რიცხოვანი ჯგუფები, რომლებიც ხეობას აქვთ დაწყებული 5-6 კილომეტრზე ასდევს. თანამედროვე წალკის მიდამოებში ამ გამოქვაბულთა ინტენსიობა მატულობს, გვხვდება

86. ჯავრიშვილი კ. ქციის ხრამის მღვიმე-გამოქვაბულები. – საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები. ტ. 2, 1963. გვ. 5-21.

შედარებით მოზრდილი ჯგუფები. მაგ. წალკის წყალსაცავის მახლობლად (რომელმაც უთუოდ მრავალი კლდის ძეგლი დაფარა) ხეობის მარცხნა კალთაში გამოკვეთილია ჯგუფები, რომელთა გეგმარება საფუძველს გვაძლევს ისინი კლდის სახლებად მივიჩნიოთ.

ამ ძეგლების წარმოშობის ხანაზე ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია რომ ისინი ხრამის ხეობის ზოგიერთი ძეგლის მსგავსად (ნახილური, სამშვილდე) ბრინჯაოს ხანის კომპლექსების მსგავსია და ალბათ იმავე ეპოქას განეკუთვნება. მითუმეტეს, რომ ეს სწორედ ის გამოქვაბულებია, რომლის ტერასებზეც 1949 წ ბრინჯაოს ხანის კერამიკაა აღმოჩენილი.<sup>87</sup>

გამოქვაბულთა დიდ ნაწილში კედლების ხელოვნურად ნგრევის უტყუარი ფაქტები – ბზარებში ჩარჩენილი ხის სოლების ნაშთები დაფიქსირდა, ხოლო მრავალ სათავსში იატაკის ღრმულები, იმთავითვე, კვეთისას დაგროვილი ნამსხვრევი ღორლითაა მოსწორებული.<sup>88</sup>

ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ შპს „კას ლენდის“ კუთვნილ ტერიტორაზე VII ტერასის ერთი ნაწილი ექცევა. სამშენებლო ზონაში ხვდება ტერასის უკიდურესი აღმოსავლეთი ნაწილი. სიგრძეში ტერასა მოიცავს შესასწავლ ტერიტორიას 70 მეტრის მანძილზე, მისი სიგანე კი 30 მეტრს აღწევს. ტერასა ოდნავაა დაქანებული კანიონისაკენ. ტერასის ზურგი კლდოვან მასას წარმოადგენს, რომელიც თარაზულად შვეულია. კლდოვანი ტერასის ძირში ბუნებრივი ეხია (ტაბ. II, III), რომელიც თითქმის პირამდეა შევსებული ჩამონაყარი მასით. ჩვენი აზრით, ტერასაზე კიდევ ერთი ეხი უნდა იყოს. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ისინი ერთ დიდ ეხს ეკუთვნიან.

ჩვენს მიერ ნანახი ტერასა და ეხის კონტურები ძალიან გავს ბ. კუფტინის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში, წალკის წყალსაცავის დამბასთან და წალკის ხიდთან მიკვლეულ მღვიმებსა და ეხებს, სადაც მეზოლითის ხანის ადამიანის ცხოვრების კვალი დაფიქსირდა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ II უბანზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 85.19.23.239) ამავე ეპოქის სადგომებთან გაქვს საქმე.

<sup>87</sup>. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი, 1991, გვ. 91-92; ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლთა შესწავლისათვის. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ისტ., არქ. და ხელოვნების ისტორიის სერია, № 4, 1987, გვ. 106-121; Бахтадзе Н. Спелеистическая карта Кциа-храмского бассейна. - Пещеры Грузии, 12, Тбилиси, 1988, с. 18-35.

<sup>88</sup>. ბახტაძე ნ. ქვემო ქართლის კლდის ძეგლები. თბილისი, 1991, გვ. 109.

ამიტომ, მიგვაჩნია, რომ II უბანზე ჩასატარებელია არქეოლოგიური სამუშაოების II ეტაპი, რათა გაირკვეს რა სახის ეხთან გვაქვს საქმე და შეიცავს თუ არა ის კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებს.

II უბანი ძლ. ქციას მაღალი, ქარაფოვანი კანიონის თავზე მდებარეობს. კლდოვან მასივში შვილი ტერასაა გამოკვეთილი. ტერასებზე ხელოვნური გამოქვაბულები და ენებია განთავსებული. II უბანზე (85.19.23.239 ნაკვეთი) VII ტერასის ერთი მონაკვეთი ექცევა, რომელზეც განთავსებულია ერთი ეზი (ტაბ. II, III). აქვეა სავარაუდო მეორე ეზის არსებობა. ეს გარემოება აქ ქვის ხანის სადგომების არსებობაზე უნდა მიუთითებდეს.

II უბნის ჩაყოლებაზე, ძლ. ქციას ნაპირებამდე ადამიანის მოქმედების კვალი ზედაპირულადაც კარგად ჩანს. ამ მონაკვეთზე გარკვეული არქეოლოგიური გათხრებია ჩატარებული 1984-2002 წლებში. გამოქვაბულებში გამოვლენილია ქვის ხანის, ადრე, შუა და გვანი ბრინჯაოს ეპოქების არქეოლოგიური მასალები. ძირითად მონაპოვარს კი შუა საუკუნეების არტეფაქტები წარმოადგენს.

ვფიქრობთ, შპს „კაას ლენდის“ სამშენებლო სამუშაოები თუ დიდ სიღრმეზე წარიმართება, შესაძლებელია VI ტერასის გამოქვაბულებსაც დაემუქროს საფრთხე. შესაბამისად, დაშ-ბაშის კანიონზე ასაგები ხიდის ბურჯების დამონტაჟების ადგილები აუცილებლად უნდა შემოწმდეს არქეოლოგიური გათხრების II ეტაპის საშუალებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ 85.19.23.239 ნაკვეთის აღმოსავლეთით ძველი (სავარაუდო გვიანი ბრინჯაოს ხანის) ნამოსახლარი დაფიქსირდა. ნამოსახლარსა და II უბანს მშრალი ხევი ყოფის.

ამდენად, II უბნის ტერიტორიაზე ჩასატარებელია არქეოლოგიური სამუშაოების II ეტაპი, რათა გაირკვეს რა სახის ეხთან (გამოქვაბულთან) გვაქვს საქმე და შეიცავს თუ არა ის კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებს.

## 2019 წელს II ეტაპზე შესრულებული სამუშაოები

„დაშ-ბაშის კანიონში და მის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე არქეოლოგიური კვლევის I ეტაპის ანგარიშის“ საფუძველზე II უბნის ტერიტორიაზე ჩატარდა

არქეოლოგიური სამუშაოების II ეტაპი, რომლის მიზანს წარმოადგენდა აქ დაფიქსირებილი ეხის და მისი მიმდებარე ტერიტორიის კვლევა.

„კაას ლენდის“ კუთვნილ ტერიტორიაზე ორი სავარაუდო არქეოლოგიური ობიექტი (ეხი) ფიქსირება. უშუალოდ სამშენებლო არეალში მოხვდა ერთი მათგანი. ეს ეხი ნაწილობრივ ექცევა დაკიდული ხიდის ქვეშ და ეს მდგომარეობა მას საფრთხეს არ უქმნის. თუმცა, ხიდის ორი ბურჯის ამოყვანა უშუალოდ ეხის წინ არსებულ მოედაზეა დაგეგმილი. ხიდის ორი მცირე ბურჯის მშენებლობაც ეხის წინ არსებულ ტერასაზეა ნავარაუდევი. ამდენად, არქეოლოგიურად შემოწმდა ეს მონაკვეთებიც. თხრილი იქნა გავლებული ხიდის ზედა პლატფორმაზეც.

ექსპედიციამ ველზე იმუშავებს 6 სამუშაო დღის მანძილზე, (საველე სამუშაოების განხორციელდა 2019 წლის 07 – 14 სექტემბერს), ლაპორატორიულ სამუშაოებს კი 4 დღე დაეთმო (15 - 18 სექტემბერი).

### სამუშაოთა მიმდინარეობა

დაშ-ბაშის კანიონზე დაგეგმილი პროექტიდან გამომდინარე, II უბანზე განხორციელდა არქეოლოგიური სამუშაოების II ეტაპი. გეგმით გათვალისწინებული, უშუალოდ ხიდის ბურჯების არეალები დაკონკრეტებული არ იყო, კომპანიას მონიშნული ჰქონდა მხოლოდ მისი შესაძლო ასათვისებელი ტერიტორიის პერიმეტრი რკინის მცირე ზომის ჯოხებით და ზედ მობმული თეთრ-წითელი ლენტით.

ხიდის ბურჯების განლაგების სქემის (ტაბ. I) მიხედვით II უბანზე გაიჭრა ხუთი თხრილი. ოთხი თხრილი გავლებული იქნა VII ტერასაზე, ერთი კი ეხის თავზე, კანიონის თავზე არსებული თხემის კიდეზე (ტაბ. I).

VII ტერასაზე გავლებული თხრილებიდან ორი ეხის წინ ორი თხრილი კი ეხის ჩრდილოეთით მდებარეობს. ხოლო V თხრილი (ზომით - 5მX1მ) მონიშნა ზედა ტერასაზე, ხიდის სავარაუდო გადმოსასვლელზე (ტაბ. VI, XX, XXI).

არქეოლოგიური სამუშაოების ათვლის, 0 წერტილად აღებულ იქნა ეხის თავზე, კლდოვან დედაქანზე ამოკვეთილი და წითლად შერებილი ურთიერთგადამკვეთი ხაზები,

ცენტრში ყვითელი ჩაღრმავებით (GPS კოორდინატები: 4605233.56; 427051.04; ზღვის დონიდან 1521.71).

VII ტერასის ბუნებრივი მდგომარეობის და დამხრობის გათვალისწინებით, 4 თხრილი მოინიშნა ტერასის პარალელურად, ჩრდილოეთიდან სამხრეთის დამხრობით. თხრილებიდან მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენა დასაწყობდა თხრილების დასავლეთ კიდესთან. დასაწყობებული ჰუმუსის კორდები ასევე წარმოადგენდა ფერდობზე ქვების შესაძლო დაგორების წინაღობას.

### სადაზვერვო თხრილები:

**თხრილი № 1:** თხრილი მდებარეობს VII ტერასაზე არსებული ეზის წინ. თხრილის ზომა - 5X1მ (ტაბ. VII, VIII, XX, XXI)

თხრილის ეტაპობრივი დაღრმავებისას ცენტრალურ ნაწილში გამოიკვეთა სხვადასხვა ზომის კლდოვანი ქვების ქაოსური გროვა. თხრილი ქვების გროვის გარშემო დაღრმავდა და სამხრეთ მხარეს გამოიკვეთა უძრავი მოყვითალო ფენა.

თხრილის ცენტრალურ ნაწილში არსებული ქვების ნაწილი მოიხსნა და მთლიანი სივრცე დაღრმავდა გრუნტის დონემდე. გრუნტს წარმოადგენს მკვრივი ყვითელი მიწა.

აღმოსავლეთ ჭრილში ჰუმუსოვანი ფენის სისქეა - 40-50 სმ. თხრილის პროფილის სიმაღლე 60-70 სმ. თხრილის დასავლეთ პროფილის სიმაღლეა 48-59 სმ; ჩრდილოეთი პროფილისა - 55 სმ. სამხრეთისა კი 42-60 სმ-ს უდრის. თხრილში კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა.

ჰუმუსის მოხსნის დროს, თხრილის სამხრეთ-დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში აღმოჩდა:

- 1). კერამიკის ფრაგმენტი, უხეშად გამომწვარი, მოწითალო, თეთრი ფერის ჩანართებით, რელიეფური ხაზით, სიგრძე - 4.6 სმ, სიგანე - 2.5 სმ. კეცის სისქე - 0.65 სმ. (ტაბ. XXII).
- 2). კერამიკის მცირე ზომის ფრაგმენტი, მოწითალო, უხეშად გამომწვარი, მინარევებით, სიგრძე - 2 სმ. კეცის სისქე - 0.65 სმ. (ტაბ. XXII).
- 3). მიწის ზედაპირიდან 60 სმ-ის (0 წერტილიდან - 8,13მ), თხრილის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში აღმოჩდა: ობსიდიანის ანატკეცი. სიგრძე - 5.3 სმ. (ტაბ. XXII).

**თხრილი № 2:** მდებარეობს VII ტერასაზე, მონიშნული თხრილების უკიდურეს სამხრეთ მხარეს. თხრილის ზომა - 3X1მ. მოიხსნილი ჰუმუსოვანი ფენა და დასაწყობდა დასავლეთ კედელზე. თხრილის ეტაპობრივი დაღრმავებისას გამოიკვეთა საშუალო და მოზრდილი ზომის ქვები. ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან ჭრილში დიდი ზომის ქვა შედიოდა, სიგრძე - 70 სმ; სამხრეთის ჭრილთან ორი დიდი ქვა დაფიქსირდა, საერთო ზომით - 75სმ. თხრილი დაღრმავდა გრუნტის დონემდე. მოიხსნა რამოდენიმე ქვა. უძრავ ფენას წარმოადგენდა ღია ფერის კლდოვანი მასა (ტაბ. IX, X, XI, XXI).

აღმოსავლეთ ჭრილში ჰუმოსოვანი ფენის სისქეა - 50 სმ. ხოლო მთლიანი ჭრილის სიმაღლე - 60-70 სმ-ია. დასავლეთი პროფოლში ჰუმოსოვანი ფენის სისქეა - 40 სმ. ხოლო მთლიანი ჭრილის სისქე - 55-60 სმ.;

თხრილში კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა.

**თხრილი № 3:** თხრილი მდებარეობს VII ტერასაზე, მონიშნული თხრილების დასალეთ კიდეზე. თხრილის ზომა - 3X1მ (ტაბ. XI, XII, XX, XXI).

თხრილში ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის დროს აღმოჩდა:

- 1). თიხის ჭურჭლის ძირის და გვერდის პატარა ფრაგმენტი, მოწითალო-ჩალისფერი, კარგად განლექილი, სიგრძე - 5 სმ. კეცის სისქე - 0.53 სმ. (ტაბ. XXII).
- 2). მცირე კერამიკის ფრაგმენტი, ჩალისფერი, სიგრძე - 2.5 სმ; კარგად განლექილი, კეცის სისქე - 0.43 სმ.

3). ბაზალტის ხელცული? (სიგრძე - 10სმ; ტაბ. XXII)

თხრილის აღმოსავლეთ ნაწილში ჰუმუსოვანი ფენის მოხსნის შემდეგ ქვის ყრილი დაფიქსირდა. ცენტრალურ და სამხრეთ ნაწილში კლდოვანი მასა აღმოჩდა, ხოლო სამხრეთ ჭრილში სამი მცირე ზომის ქვა აღმოჩდა ერთ ხაზზე, საერთო სიგრძით - 72 სმ. თხრილის ჩრდილო -აღმოსავლეთ ნაწილში, აღმოსავლეთი კედლის ზედაპირიდან 43 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩდა:

1. კერამიკის ფრაგმენტი, გარე პირი ჩალისფერი, შიდა პირი - მოწითალო. კიდეზე ნახვრეტის კვალით. სიგრძე - 3 სმ, კეცის სისქე - 0.5 სმ. (ტაბ. XXII).

თხრილის დასავლეთ ნაწილში, დაღრმავების დროს 0 წერტილიდან 58 სმ-ის (-10,58 მ-ის დონეზე) სიღრმეზე აღმოჩდა:

1. ობსიდიანის ანატკეცი, სიგრძე - 4 სმ. (ტაბ. XXII).

თხრილის ჭრილები დავიდა უძრავ ფენამდე, რომელიც ყვითელი ფერის კლდოვან ზედაპირს წარმოადგენს.

აღმოსავლეთ ჭრილში ჰუმოსოვანი ფენის სისქეა - 30 სმ. ხოლო მთლიანი ჭრილის სისქე - 37-50 სმ. ჩრდილოეთის ჭრილში ჰუმოსოვანი ფენის სისქეა - 20 სმ. ხოლო მთლიანი ჭრილის სისქე - 32 სმ.

თხრილში კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა.

**თხრილი № 4:** მდებარეობს VII ტერასაზე თხრილების ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. თხრილის ზომა - 38X1მ. ჰუმუსოვანი ფენა მოიჭრა და დასაწყობდა თხრილის დასავლეთ მხარეს. დაღრმავებისას გამოიკვეთა უწესრიგოდ განლაგებული სხვადასხვა ზომის ბაზალტის ქვები (ტაბ. XIII, XIV, XX, XXI).

თხრილის ცენტრალურ ნაწილში, ჰუმუსის მოხსნის დროს აღმოჩდა:

1) კერამიკის ფრაგმენტი, ჩალისფერი, კარგად განლექილი, თხელკეციანი, სიგრძე - 3.5სმ. კეცის სისქე - 0.59 სმ. (ტაბ. XXII).

2) კერამიკის ფრაგმენტი, მცირე ზომის, თხელკეციანი, გარე პირი ჩალისფერი, შიდა პირი მოწითალო, მინარევებიანი, სიგრძე - 2სმ. კეცის სისქე - 0.38 სმ. (ტაბ. XXII).

3) კერამიკის ფრაგმენტი, თხელკეციანი, ჩალისფერი, მინარევებიანი, სიგრძე - 2.8სმ. კეცის სისქე - 0.36 სმ. (ტაბ. XXII).

4) ობსიდიანის ანატკეცი, ყავისფერი მინარევით, სიგრძე - 2.7სმ. (ტაბ. XXII).

თხრილის ჩრდილოეთ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 100 სმ-ის (0 წერტილიდან -5.67

გ) სიღრმეზე აღმოჩდა კერამიკის ორი მცირე ფრაგმენტი:

1). კერამიკის ფრაგმენტი, ჩალისფერი, კარგად განლექილი, სიგრძე - 4 სმ. კეცის სისქე - 0.61 სმ. (ტაბ. XXII).

2). კერამიკის ფრაგმენტი, ჩალისფერი, კეცი - წითელი, სიგრძე - 3 სმ. კეცის სისქე - 0.39 სმ. (ტაბ. XXII).

თხრილი დავიდა ყვითელ გრუნტამდე, რომლის ზედაპირზე დაყრილია ქვები. აღმოსავლეთი ჭრილის სისქეა - 87-97 სმ. დასავლეთი ჭრილის სისქეა - 66-76 სმ. ჩრდილოეთი ჭრილის სისქეა გრუნტამდე - 76-88 სმ. სამხრეთი ჭრილის სისქეა - 82 სმ.

თხრილში კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა.

**თხრილი № 5:** თხრილი მდებარეობს ზედა ტერასაზე. თხრილის ზომა - 50X12. თხრილი მოინიშნა ჩრდილოეთიდან - სამხრეთის დამხრობით. თხრილის აღგილმდებარეობა შეირჩა არსებული გეოლოგიური შურფების გვერდით. გეოლოგიური შურფების GPS კოორდინატები: 8427134/4607192; 8427132/4607196. თხრილებიდან მოხსნილი პუმუსოვანი ფენა დასაწყობდა თხრილების აღმოსავლეთ კიდესთან. დასავლეთი ჭრილის ზედაპირიდან 34-37 სმ-ის სიღრმეზე, ხოლო აღმოსავლეთ ჭრილიდან 30-31 სმ-ის სიღრმეზე გამოვლინდა კენჭოვანი ფენა. ხოლო თხრილის ჩრდილო ნაწილში კლდოვანი მასა. კენჭოვნი ფენა დაფიქსირდა და შემდეგ მოიხსნა. დავედით გრუნტამდე. სამხრეთ ნაწილში გრუნტს წარმოადგენს პემზისებრი სიმაგრე, ხოლო ჩრდილოეთ ნაწილში - კლდოვანი ფენა (ტაბ. XV, XVI, XXI, XXII)

აღმოსავლეთი ჭრილის სისქეა - 33-47 სმ. დასავლეთი ჭრილის სისქეა - 52-62 სმ. ჩრდილოეთი ჭრილის სისქეა - 37-54 სმ. სამხრეთი ჭრილის სისქეა - 50 სმ.

თხრილში კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა.

**რეკულტივაცია:** მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ, ხუთივე თხრილი კვლავ შეივსო მიწით და დასაწყობებული პუმუსოვანი ფენით დაიფარა (ტაბ. XVII – XIX).

**დასკვნა:** მე-2 უბანზე გაჭრილ თხრილებში კულტურული ფენა არ დაფიქსირებულა. ზოგიერთ თხრილში (№№ 1.3,4) აღმოჩენილი კერამიკის მცირე ფრაგმენტები და ობსიდიანის ანატეცები (ტაბ. XXII) გადაადგილებულია და ძირითადად მოპოვებულია ზედაპირის აღების დროს.

ეს არტეფაქტები დაცურებული უნდა იყოს VII ტერასის უკიდურესი სამხრეთი ნაწილიდან, იქ სადაც ეხი მდებარეობს.

ამდენად:

1. II უბანზე ადამიანის მოქმედების კვალი შეინიშნება და შესაბამისად, ეხის არსებობა დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს.
2. სამშენებლო არეალში დაფიქსირებული ეხი ნაწილობრივ ექცევა დაკიდული ხიდის ქვეშ (ტაბ. I) და ეს მდგომარეობა მას საფრთხეს არ უქმნის.

3. სამშენებლო მოედანზე კულტურული ფენა მხოლოდ ეხის წინ გვხდება. დანარჩენი ფართობი არქეოლოგიური ნაშთებისაგან თავისუფალია.

4. უშუალოდ ეხის წინ, ხიდის ბურჯების საყრდენებამდე, მიწის სამუშაოების ჩატარება არ შეიძლება, რადგან ის არქეოლოგიურად სენსიტური ზონაა.

5. ხიდის ბურჯების საყრდენებისათვის გათვალისწინებულ მოედნებზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება შესაძლებელია.


#### **რეკომენდაცია:**

ხიდის ბურჯების მშენებლობისათვის მიწის სამუშაოების წარმოებისას აუცილებელია არქეოლოგის მეთვალყურეობა.

18. 09. 2019

## ტაბულების აღწერილობა

- I. შპს „კაას ლენდის“ კუთვნილი ტერიტორიის II არქეოლოგიური უბანი. მონიშნულია ხიდის საყრდენი ბოძების ფუნდამენტის ადგილები.
- II. II უბანი. ეზის საერთო ხედები.
- III. II უბანი. ეზის ხედი. დეტალი.
- IV. ხიდის ბურჯების გასამართი ტერიტორია. საერთო ხედი.
- V. თხრილების ხედი გათხრების დაწყებამდე.
- VI. II უბნის და თხრილების საერთო ხედი I უბნიდან.
- VII. თხრილი №1. გათხრების პროცესი.
- VIII. თხრილი №1. გეგმა და ჭრილები.
- IX. თხრილი №2. გათხრების პროცესი.
- X. თხრილი №2. გეგმა და ჭრილები.
- XI. თხრილი №3. გათხრების პროცესი.
- XII. თხრილი №3. გეგმა და ჭრილები.
- XIII. თხრილი №4. გათხრების პროცესი.
- XIV. თხრილი №4. გეგმა და ჭრილები.
- XV. თხრილი №5. გათხრების პროცესი.
- XVI. თხრილი №5. გეგმა და ჭრილები.
- XVII. თხრილების რეკულტივაცია.
- XVIII. თხრილების რეკულტივაცია.
- XIX. №5 თხრილის რეკულტივაციის პროცესი.
- XX. II უბანი. თხრილების განლაგება. გეგმა.
- XXI. მდ. ხრამის ხეობა და თხრილების განლაგება. გენგეგმა.
- XXII. თხრილებში აღმოცენილი არტეფაქტები.









1



2

V



1



2



1



2



1




2

დაჭ-ბაში 2019


II უბანი

ოხრილი № 1



1 : 1

0-7.13



2 : 2

0-7.13



0 50 100 150



1




2

X

დაშ-ბაში 2019

II უბანი

№2 თხრილი




1 : 1

1513.89



2 : 2

1513.89



0 50 100 150



1



2

დაშ-ბაში 2019

II უბანი  
თხრილი №3



1 : 1

1511.71



2 : 2

1511.71



0      50      100      150




1



2

დაშ-ბაში 2019  
II უბანი  
თხრილი №4



1 : 1

1517.04



2 : 2

1517.04



0      50      100      150



1




2

დაშ-ბაში 2019

II უბანი

ოხრილი №5

1 - 1

1520.98

2 - 2

1520.98



0 50 100 150



1



2



1. თხრილი 3



2. თხრილი 4



1. თხრილი 5



2. თხრილი 5

XX



